ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №31 (1732) | 17 – 23 აგვისტო. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

ვახტანგ რჩეულიშვილი:

## შევარდნაძის რეჟიმს რომ შეეძლოს ასლანის მოცილება, დიდი ხნის წინათ მოიცილებდა...



მეორე გვერდი

## გამოსაცდელი კვირა უზენაესი სასამართლოსთვის



მესამე გვერდი

„ვარდიკოს არმიასა და თევზაძის არმიას შორის არავითარი განსხვავება არ არის“...



მეშვიდე გვერდი

## აუცილებელია ეროვნულმა პარტიებმა შექმნან ერთიანი საარჩევნო ბლოკი

მეექვსე გვერდი

## „ლენინისა და ჯუღაშვილის გასაკეთებელი დღევანდელმა ხელისუფლებამ პირნათლად განახორციელა!..“



მე-11 გვერდი

წარსულის ფურცლები

## 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

*ლეო რუხაძის დღიურებიდან*



მერვე გვერდი

## პრესის ქმედითობის „საპანაშვიდო მუსიკა“

მე-12 გვერდი

## რომელი ინფექციური დაავადება გვემუქრება

მე-11 გვერდი

## ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა დაუშვებელია

მე-10 გვერდი

## რაში ცდებიან ბ-ნი კოტე მახარაძე და მისი ვექილი

მეორე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### „ქორო, ნუ ფრენ ჩვენს ეზოსა...“



შევარდნაძის მთა-თუშეთში სტუმრობისას, თავზე უცნობმა თვითმფრინავებმა გადაუფრინეს. ამბობენ, ზოგიერთ ჩინოვნიკს ფერიც კი წაუვიდაო. მაგრამ მაშინ ამას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს. ვერ მიაქციეს მაშინაც, როცა სომხეთში მომავალმა ავიაგამანადგურებლებმა, როგორც საკუთარ ეზოს, ისე გადაგვიფრინეს. მომხდარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად უსუსურია ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, პაპუასებივით მუშტი ვიქნიოთ, იქნებ მაშინ მაინც დაგვანებონ თავი.

### „მომენატრა ბათუმი...“

სამწლიანი პაუზის შემდეგ (როცა ფრაქცია „აღორძინება“ გაიხლიჩა) ვიცე-სპიკერი და „აღორძინების“ ყოფილი წევრი, ედვარდ სურმანიძე ბათუმში ჩავიდა (ეტყობა, ბათუმის მონატრებამ და ზაფხულის სიცხემ, შავი ზღვის გახსენებამ სძლია პარტიულ დაპირისპირებებს). მან განაცხადა: „იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგებს არ გააყალბებენ, აჭარაში მოქალაქეთა კავშირი ბათუმშიც და ქობულეთშიც გაიმარჯვებს“-ო.

### „კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ“

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში საქართველოდან მოქალაქეების გატაცების საწინააღმდეგო საზოგადოებრივი კომიტეტის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა, სადაც განიხილეს ჩრდილო კავკასიაში მძევლებად მყოფი ჩვენი მოქალაქეების დახსნის პრობლემები. როგორც ვიცით, ამჟამად 30-მდე საქართველოს მოქალაქეა გატაცებული. მათ გასათავისუფლებლად კი დიდძალ თანხებს ითხოვენ. შეხვედრაზე მძევალთა ნათესავებმა განაცხადეს, რომ რჩებათ ერთადერთი გზა — თვითონაც მოიტაცონ ჩეჩენი მოქალაქეები და შემდეგ გაცვალონ.

საქართველოს ხელისუფლება უკვე ოფიციალურად აფრთხილებს ჩვენს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ ჩრდილო კავკასიაში არა მხოლოდ რაიმე საქმიანი მუშაობის წარმოებაზე, არამედ საერთოდ, იქ ჩასვლაზეც კი!

### მშვიდობით, მზიურო აჭარავ!



რუსეთის მთავარი მესაზღვრე ამ დღეებში მზიურ აჭარასა და აფხაზეთს ესტუმრა (ყველას როგორ ზაფხულში მოუნდა საქმიანი ვიზიტებით ჩამოსვლა). რუსეთ-საქართველოს შეთანხმების საფუძველზე, რუსმა მესაზღვრეებმა 1999 წლის 1 ნოემბრამდე უნდა აიკრიფონ გუდა-ნაბადი. მანილოვმა რუსი მესაზღვრეების ოჯახების შემდგომი დასახლებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების მოსაგვარებლად გამართა კონსულტაციები თავის თანამემამულეებთან. მანილოვი მათ ყველანაირად უზრუნველყოფას შეპირდა.

ჩვენ კი ჩვენი მხრიდან დავძენდით, ოღონდ გაიყვანეთ და რაც გინდათ, ის ჰქენით.

### ზამთარშიც მაღალი ტემპერატურა იქნება?!

ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამჯერ შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს სადგურ „ქართლი-2“-ის დაზიანების გამო. როგორც ამბობენ, აუტანელი სიცხეები ელსადენების გადახურებას იწვევს. კიდევ კარგი, ზაფხული იწურება და ასეთი აუტანელი სიცხეები არ იქნება, მაგრამ ზამთარში რომ გაითიშება დენი, მაშინ ნეტავ, რას დააბრალებენ?

### „კუდამოძუებული“ ქართველები



ომალოს დაბომბვის შემდეგ სკანდალად იქცა აფხაზეთში ქართველი მესაზღვრეების არშეშვების ფაქტი. წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, რუსეთის სასაზღვრო სამსახურის უფროსის ალექსანდრე მანილოვის თანმხლები ქართული დელეგაციის წევრები აფხაზურმა მხარემ ენგურის ხიდიდან უკან გამოაბრუნა. მოლაპარაკების ჩაშლის მთავარ მიზეზად აფხაზებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ფოთში ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნა დაასახელეს. ორი დღის წინ სწორედ ამ მანევრების გამო სოხუმმა სრული მობილიზაცია გამოაცხადა.

აფხაზებმა ქართველთა უკან დაბრუნების მიზეზად დაასახელეს ის, რომ ვერ უზრუნველყოფდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა უსაფრთხოებას. იმის ფონზე, რომ შეხვედრა ცოტა ხნით ადრე შეთანხმებული იყო, როგორც აფხაზურ, ისე რუსულ მხარესთან, ასეთი განცხადება მოულოდნელი და გაუგებარი აღმოჩნდა.

### ოსეთი ბლოკადაში მოექცევა




თბილისი იძულებულია ცხინვალთან განწყვიტოს საბაჟო ურთიერთობა. ქართული მხარის წინადადებით, საბაჟო შემოსავლები შუაზე უნდა გაიყოს ცხინვალმა და საბაჟოს ახალმა მეპატრონემ, ბრიტანულმა კომპანიამ „აი-თი-ესმა“. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, როკის გვირაბი ყველანაირი აქციზიანი ტვირთისათვის დაიკეტა.

თბილისსა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას შორის საბაჟო თანამშრომლობის შესახებ და ბრიტანულ კომპანია „აი-თი-ესის“ შესვლასა და კონტროლზე მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. როგორც ოსეთის ხელისუფლება აცხადებს, როკის გვირაბთან ქართველ მებაჟეებს არ მიუშვებს. სამაგიეროდ კი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა ოსეთში შემომავალი აქციზური ხაზის დაკეტვა გადაწყვიტა. საბაჟოს ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ იძულების მეთოდით ცხინვალიდან შემოსული კონტრაბანდული ტვირთის მოძრაობაც შეწყდება. თუ ოსეთის მხარე მოლაპარაკების მეორე რაუნდზეც ვერ მიაღწევს შეთანხმებას, იგი ბლოკადაში მოექცევა.

---

## ინტერვიუ

### ვახტანგ რჩეულიშვილი:

# შევარდნაძის რეჟიმს რომ შეეძლოს ასლანის მოცილება, დიდი ხნის წინათ მოიცილებდა...



**— ბატონო ვახტანგ, დღეს ყველაზე აქტუალური თემა საქართველოში ომალოს დაბომბვაა. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით?**

— მე 1996 წელს გამოვედი პარლამენტში და მივმართე პარლამენტარებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის, რუსეთის მაგალითზე ვამბობ, მოქმედებების შეფასებისას და მოთხოვნებისას, ყოველთვის უნდა ვიყოთ რეალისტები. ვისგან ვითხოვთ მშვიდობის დამყარებას აფხაზეთში, რუსეთისგან, რომელსაც ჩეჩნეთისთვის და დაღესტნისთვის ვერ მოუვლია? მოვიყვანე ერთი მაგალითი: ერთ-ერთი რუსი მფრინავი წერდა გაზეთში 1996 წლის მაისში, რომ შარშან, ე.ი. 1995 წელს, მე ვიფრინე 95 საათი მთელი წლის განმავლობაში. წელს სავარჯიშო ფრენა არ გამიკეთებია, ჩემი ამერიკელი კოლეგა კი, წელიწადში, მინიმუმ 300 სთ-ს დაფრინავსო.

> **შევარდნაძისთვის არამყარი ცემენტისაგან საქართველო აღმოჩნდა შეკრული და დაიკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო, ახლა, ბლოკების ცემენტში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, ამას ვინ ჩივის.**

ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკულად, რუსეთის არმიასა და საჰაერო ძალებში სავალალო მდგომარეობაა, ისინი კარგავენ პროფესიონალიზმს. მე ომალოს დაბომბვას უფრო მივაწერ არაპროფესიონალიზმს და შემთხვევითობას, თუ სხვა საბუთი არ ჩამივარდა ხელში, რომელიც დაადასტურებს ბოროტ განზრახვას რუსეთის სამხედრო ძალების მიერ. აქ უფრო უნდა ვილაპარაკოთ შემთხვევითობაზე, რომელიც გამოწვეულია მფრინავთა დაბალი პროფესიონალიზმით. ის, რომ გადმოკვეთეს საქართველოს საჰაერო სივრცე, ჩემში არავითარ გაკვირვებას არ იწვევს. თვითმფრინავი, რომელიც აპირებს დაღესტანში ობიექტის დაბომბვას, გადმოკვეთდა საქართველოს საჰაერო სივრცეს (რადგან ფრენას აქვს თავისი კანონები — თვითმფრინავმა დიდი წრე უნდა დაარტყას, ობიექტს რომ მიუახლოვდეს). ამ ფაქტიდან მე არ გავაკეთებდი დასკვნას, რომ რუსეთი ცდილობს ამ კონფლიქტში საქართველოს ჩაბმას, თუ არ მექნებოდა ამის დამადასტურებელი საბუთები.

მე კიდევ ერთხელ ვამბობ, შორსა ვარ ვამტკიცო, რუსეთი ან საქართველო იმართება ეფექტიანად. სადაც ჩვენთან მმართველ პარტიას შეუძლია რუსეთის საელჩოს წინ პიკეტები მოაწყოს, სულაც არ არის გამორიცხული, რუსეთის ხელისუფლებაშიც ასეთი არასერიოზული ძალები იყვნენ. საქართველოს ტრაგედიაა, რომ ასეთი ხელისუფლება ჰყავს, რუსეთის ტრაგედიაც საკუთარი ხელისუფლებაა.

მე ტრაგედიას ამ დაბომბვისაგან არ შევქმნი. ჩემთვის მთავარია იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც დაიჭრნენ. ერთ-ერთმა უზარმაზარი ტრავმა მიიღო — კიდური დაკარგა. აი, ეს არის ჩემთვის უზარმაზარი ტრაგედია. საერთოდ, უსუსური ხელისუფლების ხელში უწინარესად მოსახლეობა ზარალდება.

**— დაღესტანსა და ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები მოახდენენ თუ არა საქართველოზე გავლენას?**

— როგორ არ მოახდენენ, პოლიტიკაზეც მოახდენენ და საერთოდ, არ შეიძლება კავკასიაში სადმე იყოს ცხელი წერტილი და ჩვენზე არ იმოქმედოს, გინდა ყარაბაღი იყოს, გინდა ჩეჩნეთ-დაღესტანი და სხვა. ჩვენ ვართ ერთი რეგიონი. მიუხედავად საქართველოს საზღვრებისა, კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები ერთმანეთში დიდ ზეგავლენას ახდენენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

---

### ნოდარ ნათაძე

# რაში ცდებიან ბატონი კოტე მახარაძე და მისი ვექილი

ამ ცოტა ხნის წინ მსახიობმა კოტე მახარაძემ ინტერვიუში გამოთქვა რამდენიმე უპატივცემლო ფრაზა (არ ვამბობ „მკრეხელური ფრაზა“-მეთქი, რადგან მკრეხელობა უფრო რთული მოვლენა გახლავთ და მასზე მსჯელობის უფლებას თავს ვერ მივცემ) ქეთევან წამებულის მისამართით. ქეთევან წამებული ერთი ყველაზე დიდ მოწამეთაგანია ქრისტიანობის ისტორიაში, ერთი ყველაზე გულმტკიცე და სულით შეუძვრელ ადამიანთაგანია (და არა მხოლოდ ქალთაგანია) კაცობრიობაში საერთოდ და ერთი უკანასკნელთაგანია (ან, ეგებ, უკანასკნელიც) იმათ შორის, ვისაც ჩვენს განათლებულ ბოლო საუკუნეებში ქრისტიანობისათვის თავის გაწირვა მოუხდა. მისი მკვლელიც — შაჰ-აბასი — ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფიგურაა აღმოსავლეთის ისტორიაში, რომელსაც „ბრიტანული ენციკლოპედია“ — ეს ძუნწზე ძუნწი შედევრი დღევანდელი კულტურისა — რამდენსამე გვერდს (!) უძღვნის. ასე რომ, ირონიის საგანი ქეთევანის ღვაწლსა და ბიოგრაფიაში არაფერი ჩანს. მიუხედავად ამისა, სახა;ხო მსახიობი გვიცხადებს, მე არ მაინტერესებს ქეთევანის ღვაწლი, მე მაინტერესებს მხოლოდ ის შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ხანდაზმული, მაგრამ მშვენიერი მანდილოსანი (მისი ძე თეიმურაზი ამ დროს უკვე კარგა ხანია კახეთის ტახტზე ზის) ტანგაძრცვილი მოახდენდა შაჰზეო[1] (აქ ბ-ნი მახარაძე ისტორიულ შეცდომას უშვებს: თუმცა ქართველ დედოფალს ჯალათებმა გახურებული მაშებით ძუძუები დააგლიჯეს და ამ პროცესში, ცხადია, ტანსაცმელს ვერ შეარჩენდნენ, შაჰი მას ვერ ნახავდა, რადგან წამებას, რომელიც შირაზში მოხდა და არა ისპაჰანში, პირადად არ დასწრებია). მსახიობი, ეტყობა, ფიქრობს, ადამიანთა მამოძრავებელ გულისთქმათა შორის სქესობრივი ლტოლვის ძლიერი როლის აღმოჩენა თანამედროვე მეცნიერების მიღწევააო (თუმცა სინამდვილეში ამ აღმოჩენის ხანდაზმულობა დაახლოებით 90 წლით იზომება) და ჩემი განცხადებით ეს მეცნიერებაში გაუწაფავი კაცი თანამედროვე აზროვნების დონეზე ვდგებიო. თავისდასაუბედუროდ, იგი ამჯერადაც შეცდა: თანამედროვე მეცნიერებამ იცის არა მხოლოდ ის, რომ სქესობრივი ლტოლვა ადამიანთა მრავალი გულისთქმის ფარული მამოძრავებელი ზამბარაა, არამედ ისიც, რომ იგი არც ერთადერთი ასეთი ზამბარაა, არც ყველაზე ძლიერი და არც ყველაზე მაღალი. შეცდომის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ იმ სხვა ზამბარათა და ღირებულებათა დანახვას, ცოტა არ იყოს, თავის აწევა და მაღლა ახედვა სჭირდება, თავის აწევისთვის კი ყველა სულდგმულის (მათ შორის — ყველა ძუძუმწოვრის) ანატომია მოწყობილი ვერ გახლავთ.

სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ვეხებით, ახსნას მოითხოვს და ამიტომ იძულებული გახლავართ, მკითხველს ერთი-ორი ანალიტიკური სვლა შევთავაზოთ. რატომ თვლის ბ-ნი მახარაძე საჭიროდ და რატომაა მისთვის სასიამოვნო, რომ ზემოთ ციტირებული ფრაზა წარმოთქვას? ამის ახსნის ორი (ურთიერთშემავსებელი) გზა არსებობს.

**პირველი.** კულტუროლოგიასა და სოციოლოგიაში ცნობილია მახინჯი მოვლენა, რომელსაც „მარგინალური (ანუ განაპირა) ცივილიზაცია“ ეწოდება. ვთქვათ, ევროპიდან რომელსამე ჯუნგლებიან ქვეყანაში შედის ცივილიზაციის სხვადასხვა ელემენტები: ალკოჰოლი, ნარკომანია, ორგანიზებული პროსტიტუცია, უმაღლესი მათემატიკა, კანტის ფილოსოფია და ბეთჰოვენის მუსიკა. პირველი სამი მკვიდრდება და ფეხს იკიდებს, რადგან ადვილი ასათვისებელია, ბოლო სამი კი ვერ მკვიდრდება, რადგან მათ ათვისებას წინასწარმოცემული დონე სჭირდება. ამგვარად, იქმნება ნაგვისგან შემდგარი ფსევდოკულტურა და სწორედ მას ეწოდება ზემოხსენებული აუგი სახელი.

დღეს საქართველოში ინერციით დარჩენილ ნაკომუნისტარ ფსევდოელიტას საშუალება აქვს, რომ ჭეშმარიტ ღირებულებებს, მათ შორის — ეროვნულ ტრადიციულ ღირებულებებს ცუდად გაგებული და დასავლეთთან შეცდომით გაიგივებული ფსევდოღირებულებები დაუპირისპიროს: რომელსამე ხანდაზმულ ფსევდო პოეტესას საშუალება აქვს, ამაღლებული ცნება „თავისუფლებისა“ გაიგოს როგორც ლოგინში ურთიერთობის თავისუფლება, ხაზინის ძარცვის თავისუფლება და ა. შ. და ამის საფუძველზე „ფუნდამენტალისტები“ უწოდოს სტუდენტებს, რომლებიც ბ-ნ ლომოურის, ასათიანისა და მათ მსგავსთა ხელით ქართული სიწმინდეების განიავების მცდელობას ებრძვიან. სინამდვილეში „თავისუფლების“ ცნება სხვას ნიშნავს. იგი გულისხმობს, პირველ ყოვლისა და უპირატესად, სამყაროსთვის იმ სახის მიცემის თავისუფლებას, რომელსაც სუბიექტი საჭიროდ თვლის (რა თქმა უნდა, საკუთარი სამშობლოს აყვავების ჩათვლით), რის გამოც იგი თავის თავს სამოქმედოდ უდგენს იმ კანონს, რომელიც, მისი აზრით, სამყაროსთვის საყოველთაო კანონად გამოსადეგი ოპტიმალური კანონია. ამ კანონს ეწოდება „თავისუფლების კანონი“ (ეს ტერმინი ჯერ კიდევ ახალ აღთქმაში იხმარება) და მის დადგენას სუბიექტის მიერ ეწოდება „თავისუფლება“ ამ სიტყვის სრული აზრით. ეს თავისუფლებაა, სხვათა შორის, ადამიანური ზნეობის ერთადერთი შესაძლო თეორიული საფუძველიც. ეს არც თუ მარტივი ჭეშმარიტება კანტის მიერ დასაბუთებული გახლავთ. მაგრამ ზემოხსენებული ერთუჯრედიანი პოეტესისათვის და ინერციით შემორჩენილი ერთ- და ორუჯრედიანი დანარჩენი კომუნისტური ფსევდოელიტისათვის იგი ისევე მიუწვდომელია, როგორც ჯუნგლის მკვიდრთათვის — უმაღლესი მათემატიკა.

აი, ამ მარგინალური ცივილიზაციის სულისკვეთებას განასახიერებს ის მიდგომა ეროვნული სიწმინდეებისადმი, რომელსაც ჩვენი შენიშვნა ეხება. როგორც ვხედავთ, მას საკმაოდ მარტივი მექანიზმი — უჰორიზონტობა — აქვს.

**მეორე.** მდარე სულისკვეთების ადამიანებს (ან, თუ გნებავთ, უფრო ზოგადად: მდარე ადამიანებს) ამაღლებული, კეთილშობილური სულისკვეთების ადამიანთა ჩაქოლვის დიდი მისწრაფება ახასიათებთ. ესეც, სამწუხაროდ, ტიპიური მოვლენა გახლავთ. ღარიბის ანტიპათია მდიდრისადმი (რაც ისტორიაში ხშირად მოქმედებს, როგორც რევოლუციური ფაქტორი) თავისი ძალითა და სიმწვავით, სამწუხაროდ, ვერ შეედრება უსწავლელის სიძულვილს ნასწავლისადმი, უნიჭოსას — ნიჭიერისადმი და, განსაკუთრებით, — ზნეობრივი პლებეისას ზნეობ-

*1 „შაჰს გული წაუვიდა, როცა ქეთევანი შიშველი იხილა. მე ეს უფრო მომწონს, და არა ის, რომ მკერდს აგლეჯდნენ და ითმენდა. რატომ ითმენდა მერე!“*

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

## წერილი 4. თურქეთის გარშემო დღესდღეობით არსებული რეალიები და მისი შეიარაღებული ძალები

მართალი რომ ვთქვათ, მე-4 წერილში გვინდოდა თურქეთისა და მის მოკავშირეთა სავარაუდო სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებზე გვესაუბრა, მაგრამ ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შეტევითი დანიშნულების წინ წამოწევისას საქართველოს პარლამენტში თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით დაკავებული თანამდებობის პირებისა და სპეციალისტებისაგან ამ მოსაზრებისადმი ისეთ წინააღმდეგობას წავაწყდით, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ, მათ მიერ გამოთქმული არგუმენტების გარჩევა და შეფასება.

პირველი, რითაც ხსნიან და ამართლებენ ეს სპეციალისტები 90-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალების მკვეთრ გაძლიერებას, არის ნატოს კოლექტიური თავდაცვის სივრცეში ამ ქვეყნის საფლანგო მდებარეობა. უნდა ითქვას, რომ 1990 წლის შემოდგომაზე CFE ხელშეკრულების დადებისას, ამას მართლაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ორივე (ჩრდილოეთ და სამხრეთ) ფლანგზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში დიდი უპირატესობა გააჩნდა ჩრდილოატლანტიკური კავშირის სახელმწიფოებთან შედარებით, მაგრამ დღესდღეობით ამ ფაქტორის მნიშვნელობა კარგად ჩანს თუნდაც ნატოს მეორე საფლანგო სახელმწიფოს — ნორვეგიის მაგალითზე. 90-იანი წლების განმავლობაში ნორვეგიას თავისი თავდაცვის ხარჯები ფაქტიურად არ შეუცვლია და დაახლოებით 3,6 მლრდ ამერიკული დოლარის დონეზე დატოვა, ხოლო, რაც შეეხება შეიარაღებული ძალების რიცხოვნებას, იგი 1991 წლის 32700 ადამიანიდან 1998-ში დაახლოებით 28000-მდე ჩამოიყვანა. და ეს მაშინ, როდესაც ამ ქვეყანას უშუალოდ ემეზობლება რუსეთის ფედერაციის ლენინგრადის სამხედრო ოლქი. ამრიგად, როგორც ვხედავთ, მხოლოდ საფლანგო მდებარეობა ვერ გამოდგება თურქეთის სამხედრო მანქანის გაძლიერების ასახსნელად.

მეორე არგუმენტი ამის სასარგებლოდ, არის ის გარემოცვა, რომელიც თურქეთს გააჩნია — სირია, ერაყი, ირანი, არასტაბილური მდგომარეობა კავკასიაში და აგრეთვე ქურთების სეპარატისტული შეიარაღებული მოძრაობა თავად ქვეყნის შიგნით. ახლა ეს არგუმენტიც განვიხილოთ. ცივი ომის პერიოდში თურქეთსა და საბერძნეთს შავი ზღვის სრუტეების ზონაში (აღმოსავლეთ და დასავლეთ თრაკიაში) მუქარას უქმნიდნენ ბულგარეთის, რუმინეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ოდესისა და ნაწილობრივ, კიევის სამხედრო ოლქებში განლაგებული ჯარები. მათ სახმელეთო კომპონენტში მთლიანობაში შედიოდა 4 სატანკო, 25 მოტომსროლელი, 1 საჰაერო-სადესანტო, 1 საარტილერიო დივიზიები, 4 სატანკო, 4 საჰაერო-სადესანტო, 13 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ბრიგადები და სხვა ჯარები. 1991 წლის მონაცემებით, მათ შეიარაღებაში ნაჩვენები იყო სულ 8624 საბრძოლო ტანკი, 7192 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 8169 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების 238 გასაშვები დანადგარი, 55 დამრტყმელი ვერტმფრენი.



აღმოსავლეთ ანტალიაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორია უშუალოდ ესაზღვრებოდა თურქეთს და ამ მიმართულებით მე-3 თურქული არმიის ოთხი ქვეითი დივიზიის, 3 ჯავშანსატანკო, 2 მექანიზებული და 4 ქვეითი ბრიგადის საპირისპიროდ ამიერკავკასიისა და ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქებში განლაგებული იყო 13 მოტომსროლელი (მათ შორის 2 სასწავლო), 1 საჰაერო- სადესანტო და 1 საარტილერიო დივიზიები, 1 საჰაერო-სადესანტო, 2 სპეციალური დანიშნულების, 6 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ბრიგადები, 8 საარტილერიო ბრიგადა (პოლკი და დამრტყმელი ვერტმფრენების პოლკი. მათი პირადი შემადგენლობა დაახლოებით 150-200000 ადამიანს მოითვლიდა, ხოლო შეიარაღებაში 1991 წელს შედიოდა სავარაუდოდ 2500 საბრძოლო ტანკი, 2500 ქვეითი საბრძოლო მანქანა, 3500 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# გამოსაცდელი კვირა უზენაესი სასამართლოსთვის

ეს კვირა, შეიძლება ითქვას, გადახალისებულ-რეფორმირებული უზენაესი სასამართლოსთვის და მისი ასევე ახალი თავმჯდომარის, ბატონი ლადო ჭანტურიასთვის ერთგვარად გამოსაცდელი კვირა იქნება, ანუ ქვეყნის მოსახლეობა დაინახავს იმას, დემოკრატიული და მიუკერძოებელია უზენაესი სასამართლო თუ კვლავ ხელისუფლებისა და სხვადასხვა მაფიოზური კლანების მიერაა მართული იგი. თუ რატომ დაინახავს ამას მოსახლეობა და როგორ დარწმუნდება მართლმსაჯულების უზენაეს მსახურთა მიუკერძოებლობასა თუ არაობიექტურობაში მაინცდამაინც ამ კვირაში, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, უზენაესი სასამართლო განიხილავს ქართული ფირმა „ჯეოსელისა“ და თურქული ფირმა „გიურტელის“ გახმაურებულ საქმეს. გათვითცნობიერებულმა მკითხველმა იცის და ამის შესახებ ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ ვწერდით, რომ თავის დროზე ეს საქმე განიხილა მთაწმინდის რაიონის ძველმა სასამართლომ და ამ რაიონის მოსამართლე თალაკვაძემ, რომელმაც ფრიად ტენდენციური განაჩენი გამოიტანა და დააკმაყოფილა თურქული მხარე. თუ რა დაინტერესება ჰქონდა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს და მოსამართლე თალაკვაძეს იმაში, რომ თურქული მხარის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, ამაზე ჩვენც და მასმედიის სხვა საშუალებებიც გასაგებად მიანიშნებდნენ. ამჯერად, საქმე უკვე რეფორმირებულ უზენაეს სასამართლოშია განსახილველად და 19 აგვისტოს, შესაძლოა, თავად ლადო ჭანტურია წარუძღვეს. სასამართლოს სხდომას, თუ, რა თქმა უნდა, გაითვალისწინა „ჯეოსელის“ ადვოკატის მოთხოვნები და იმედია, ბატონი ლადო, გამომდინარე თავად რეფორმირებული სასამართლოს ინტერესებიდან, გაითვალისწინებს ამ მოთხოვნას და შეეცდება დაამტკიცოს, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დაფარული და სამართალსაც შეუძლია პური ჭამოს, ანუ ყოფილი მოსამართლის, თალაკვაძის მრუდედ ნაკერი გადაწყვეტილება გაასწოროს და ამით სამართალმაც იზეიმოს.

მეორე დღეს, 20 აგვისტოს, ასევე დიდი სასამართლო განხილვაა დაგეგმილი უზენაეს სასამართლოში. ამ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე პრეზიდენტს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცს, შვიდი წლის წინ რეკვიზირებული შენობის (ბუნების დაცვის საზოგადოების კუთვნილ შენობაზეა საუბარი) ღირებულების კომპენსაციას თხოვს და ეს თანხა არცთუ ისე ცოტაა: თუ არ ვცდები, 2 მილიონ 160 ათასი ამერიკულ დოლარს შეადგენს. ბუნების დაცვის კავშირი (ყოფილი ბუნების დაცვის საზოგადოება) შვიდი წელია იბრძვის სიმართლის მისაღწევად და ყველა სასამართლო ინსტანციებში შვიდწლიანი დავისა და ბევრგან გამარჯვების შემდეგ, საბოლოო სიტყვა 20 აგვისტოს, უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის. ეს პროცესიც, ისევე როგორც „ჯეოსელ-გიურტელის“ პროცესი, ერთგვარი სასინჯი ქვაა უზენაესი სასამართლოს ახალი შემადგენლობისათვის, ანუ იმედს ვიტოვებთ, რომ უზენაესი სასამართლო მისი თავმჯდომარის, ბატონ ლადო ჭანტურიას მეთაურობით, იქნება მიუკერძოებელი, ობიექტური და „ჯეოსელსაც“ და ბუნების დაცვის კავშირსაც სიმართლეს აპოვნინებს.

ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო... დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, თუმცა გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვიყოთ, განსაკუთრებით ჩვენ, მასმედიის წარმომადგენლები: მოვიმარჯვოთ კალმები, გადამღები აპარატურა და მოვემზადოთ „საუკუნის პროცესებისათვის“, რათა საქართველოს მოსახლეობას გავაგებინოთ, თუ როგორი მართლმსაჯულება გვყავს ჩვენ, — მართლაც ობიექტურები და მიუკერძოებლები თუ მავანთა და მავანთა დაკვეთის შემსრულებლები.

**სერგო ჯანაშია**

# ინტერვიუ

## ინტერვიუ იმაზე, თუ რატომ უნდა მოვიდეს პოლიტიკაში მსახიობი, როგორ გავათევინოთ ღამე ლექტორებს ღია ცის ქვეშ და შესაძლებელი ტერაქტის შესახებ

**ინტერვიუ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ მდივანთან, ბატონ თამაზ გოლაძესთან**

**— პოლიტიკაში ხელოვანთა, მსახიობთა მოსვლა უცხო არ არის ჩვენი სინამდვილისათვის.**

— მე, საერთოდ, მართალი გითხრათ, არ მესმის, პოლიტიკაში რატომ არ უნდა მოვიდეს მსახიობი და რატომ უნდა მოვიდეს ინჟინერი. რა, მსახიობი რაღაც განყენებული პროფესია გახლავთ თუ რა? თუ იმ კუთხით გულისხმობთ, რომ მსახიობს თუ ერთხელ მაინც გადაუყლაპავს სცენის მტვერი, მერე მთელი ცხოვრება ვერ მოეშვება, გეთანხმებით, მაგრამ აქაც არის რაღაც ნიუანსები — როცა სცენის მტვერს ყლაპავდნენ, მაშინ ცოტა სხვა დამოკიდებულება იყო მსახიობებთან, მსახიობობასთან. ახლა, პირიქით შეიცვალა ყველაფერი.

**— მსახიობმა როლები უნდა ითამაშოსო, რეჟისორმა — სპექტაკლები და ფილმები დადგასო, ფიქრობს ბევრი.**

— მე სხვანაირად მიმაჩნია. პარლამენტში უნდა იყოს ისეთი სპექტრი შეკრებილი, რომელიც გააადვილებს მუშაობას. ძირითადი ბირთვი უნდა იყოს იურისტები, რომლებიც, როცა საკანონმდებლო ბაზის, კანონის შექმნაზე იმუშავებენ, ხიდივით უნდა იყოს იმ დარგის წარმომადგენელი, რომელმაც კარგად იცის ესა თუ ის სფერო. ოღონდ უნდა იყოს სუფთა ხელებით, გულით და გონებით. ვინ შედის და ვის უნდა პარლამენტარობა, სხვა საკითხია, თორემ, როგორც ასეთი, პოლიტიკაში პიროვნება რა პროფესიის იქნება, რა მნიშვნელობა აქვს.

**— ბერიას როლის შემსრულებელი თავს პოლიტიკაში როგორ გრძნობთ?**

— მე ყოველთვის წინააღმდეგი ვარ და ვიქნები ამა თუ იმ პიროვნების ზედაპირული შეფასებისა, მითუმეტეს, როცა ბერიაზეა საუბარი. გარკვეული დრო, პერიოდი სჭირდება, რომ რეალურად შეფასდეს პიროვნებაც და მოვლენაც. მე სხვადასხვა მოსაზრებები მოვისმინე ამ ფილმის გადაღების დროს (ბატონმა თამაზმა ლავრენტი ბერიას როლი შეასრულა პოზნერის „სტალინგრადში"), იმ შეხვედრებისას, რომელიც მე მქონდა, ბევრი კარგიც მოვისმინე და ბევრი ცუდიც. მე მგონია, რომ საერთოდ ზედაპირული შეფასებებია. როცა გვჭირდება, ხან ცუდად გამოვიყენებთ, ხან კარგად.

შეხედულება უნდა იცვლებოდეს ობიექტურად, ისე კი არ უნდა იყოს, მე მოვიდე დღეს და დავუშვათ, ვილაცა არ მომწონდეს და აბსოლუტურად გავანადგურო, უსაფუძვლოდ, ყოველგვარი დოკუმენტური წყაროების გარეშე.

სხვათა შორის, ერთ-ერთი მსახიობური თვისებაა: ინსტიტუტში ასწავლიან ეტიუდებს — არსებულ სიტუაციაში რას მოიმოქმედებ. გეტყვიან რაღაც სიტუაციას და შენც შესაბამისად რაღაცა უნდა მოიმოქმედო.

**— ეი. მსახიობი ყველაზე კარგი პოლიტიკოსი გამოდის.**

— ყოველ შემთხვევაში, ხელსაკრავი არ არის.

**— მოდით, ახლა საკრებულოს პრობლემებს შევეხოთ. საკრებულოში ბევრ საკითხზე თითქმის მუშტი-კრივში გადასული დავაა. თქვენს ფრაქციას რა პოზიცია უჭირავს და საერთოდ, რას აკეთებს?**

— ჩვენ, როცა წინასაარჩევნოდ ხალხს შევპირდით, შევალთ საკრებულოში და ამა და ამ საკითხს გადავწყვეტთო, თითქმის ყველა პრობლემა გადავჭერით. თითქმის ვამბობ, თორემ პრობლემებს რა გამოლევს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს გაკეთებულ საქმეს რაც შეეხება, ეს არის უფასო სამედიცინო დახმარება-03, 25 ?? არის უფასო. ძალაში შევიდა 20 წლამდე და 65 წელს ზემოთ ასაკის ადამიანთა უფასო მომსახურება. შემოვიდა 4 ახალი მანქანა. მოგეხსენებათ, საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ვლადიმერ კახაძე, ჩვენი ფრაქციის წევრია. ის ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მოვლენებს.

X-XI კლასებისათვის უფასო სწავლება შემოვიღეთ, თუმცა, გვედავებოდნენ, ვისაც შესაძლებლობა აქვს, იმან გადაიხადოსო.

**— ეი. ქონებრივი ცენზის მიხედვით?**

— დიახ, მაგრამ ჩვენ მაინც მივაღწიეთ იმას, რომ სოციალურად დაუცველმა ბავშვმა, ვისაც სწავლა უნდა, მაგრამ ამის თანხა

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# დოლარი

ქვეყანა იქცა „ბარდაგად", რაც გაბატონდა დოლარი  
ყველამ ერთბაშად დაკარგა, რიდი, ზნეობა, მორალი  
უტევს კანონს და სამართალს, იქცა მოუხდელ სახადად,  
კაცებს კაცობა წაართვა, ქალებს ნამუსი ახადა.  
რკინა ცვილივით დაადნო, მქმნელმა უგვანო საქმეთა,  
ტრფობის ბორკილი დაადო და რომანებში ჩაკეტა.  
ყველა ფლიდსა და გარეწარს, გაუხსნა მწვანე გზა შარა  
რწმენის კედელი დალეწა, იმედის ბურჯი დაშალა  
იწყო უზნეო პარპაში, დაგვყო და დაგვანაწილა,  
ძმა ძმას წაჰკიდა მამა შვილს, შვილმა მშობელი გაწირა,  
ვინც ია ვარდებს უფენდა, გახიზნა უცხო მხარეში  
ბევრი კი თურქ ეფენდის გახადა პირის ფარეში.  
დაუმორჩილა ქალი ფულს, მისცა ბოზობის სანქცია  
დედა უტირა სიყვარულს მრუშობად გადააქცია.  
სინდის ნამუსს და ზნეობას ეძგერა როგორც რაკეტა  
სათნოება და სიქველე ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა

**ალმანზორ თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

## ვახტანგ რჩეულიშვილი:

# შევარდნაძის რეჟიმს რომ შეეძლოს ასლანის მოცილება, დიდი ხნის წინათ მოიცილებდა...

**— პანკისის ხეობა და იქ მყოფი ვაჰაბისტები ახლა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.**

— ვაჰაბიზმი უზარმაზარი პრობლემაა. იგი არ ცნობს არც საზღვრებს, არც სახელმწიფოებს, არც ეროვნებას და მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ნიშნით ანსხვავებს ადამიანებს. მე მიმაჩნია, ყველა ექსტრემისტული მიმართულება, გინდა მუსულმანური, გინდა ქრისტიანული, საშიშია საზოგადოებისათვის. ჩვენთვის, რასაკვირველია, გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს პანკისის ხეობაში ვაჰაბიზმი. პანკისის ხეობის საკითხი საქართველოს არა აქვს მოგვარებული, სასაზღვრო ჯარს ძალიან დიდი პრობლემები აქვს. მე შევხვდი მოსახლეობას პანკისში. ისინი ძალზე დაუცველად გრძნობენ თავს. პანკისის ხეობა არის ერთ-ერთი პირველი ზრუნვის ობიექტი ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. იქ უნდა დამყარდეს გარანტირებული მშვიდობა. მშვიდობა იქ დღესაც არის, მაგრამ ისეთი, რომელსაც ყოველ წუთს რაღაც უბედურება რომ შეიძლება მოჰყვეს. ეს არის წერტილი საქართველოში, რომელიც ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს მთავრობისაგან. ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე სასაზღვრო ზოლი, სადაც ჯერ შეიძლება არ იყოს რაიმე პრობლემა, მაგრამ მომავალში იჩინოს თავი. ამიტომაც სახელმწიფოებრიობის გაძლიერება აუცილებელია ყველგან.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენს ბლოკს, „საქართველოს აღორძინება"-ს რაც შეეხება, მართლა არამყარი და მალეშლადი ცემენტისაგან არის შეკრული?**

— შევარდნაძისთვის არამყარი ცემენტისაგან საქართველო აღმოჩნდა შეკრული და დაიკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო, ახლა, ბლოკების ცემენტში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, ამას ვინ ჩივის. საქართველოს უბედურებაა, როცა თავისი ხალხის არ სჯერა სახელმწიფოს პრეზიდენტს. ჩვენც ხომ მისი მოსახლეობა ვართ. რა, ვახტანგ რჩეულიშვილი უცხო ქვეყნის აგენტია თუ მოქალაქე? ან ასლან აბაშიძე მტერი არის თუ საქართველოს მოქალაქე? როდესაც პრეზიდენტი შენს ხალხს გაყოფს მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, როდესაც იქცევი ერთი პარტიის პრეზიდენტად, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე დრო არის, შეიცვალოს საქართველოში ხელისუფლება და მოვიდეს ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც ხალხის ნდობა ექნება და რომლის ნდობაც ხალხს ექნება.

**— არჩევნების შემდგომ თქვენი ბლოკის დაშლის საშიშროება ხომ არ არის?**

— საქართველოს გამოგლიჯეს აფხაზეთი და სამაჩაბლო და ახლა ბლოკს რომ პარტია არ გამოგლიჯონ, როგორც გადაიბირეს ლეიბორისტები, ვინ მისცემს ამის გარანტიას? ვერავინ. ჩვენ იმიტომ დავიწყეთ ფიქრი არჩევნებამდე ბლოკის შექმნაზე და არა არჩევნების შემდგომ, პარლამენტში მოსულებმა უფრო რომ გავამყაროთ ეს ბლოკი და გადაბირების შანსები ნაკლები დავტოვოთ. ჩვენი ბლოკი ბევრად უფრო მყარია შიგნიდან, ვიდრე თავად მოქალაქეთა კავშირი. ძალიან შორეულ მომავალზე რა გითხრათ, მაგრამ ბლოკს კარგა ხანს დაშლა არ უწერია.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში თუ ასლან აბაშიძემ გაიმარჯვა, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო?**

— ძალიან კარგი., უნიკალური შანსია. ბლოკს რამოდენიმე კანდიდატურა ჰყავს — ასლან აბაშიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, აკაკი ასათიანი და მე. ჩვენ უპირატესობას მივანიჭებთ კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად რომელიმე პიროვნებას. პირველი ამოცანა არის აფხაზეთის დაბრუნება. ყველაზე მეტი შანსი ამაში აქვს ასლან აბაშიძეს. სოფლის მეურნეობის აღორძინების შესაძლებლობა ყველაზე მეტი

**მოქკავშირს აქვს ავადმყოფური ფსიქოლოგია, ოღონდ სხვამ არ გააკეთოს, მისი ავტორიტეტი არ გაიზარდოს, და სჯობს აფხაზეთი დაკარგული დარჩეს.**



აქვს ჯუმბერ პატიაშვილს. ჯერ დავადგინოთ პრიორიტეტი და მერე გეტყვით, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი.

**— თქვენ რა უპირატესობა გაქვთ?**

— მე? მე რა უპირატესობა მაქვს და — ვარ მათზე ახალგაზრდა, თან წინა წლების რეჟიმში ნაკლებად ვიყავი ჩათრეული, უფრო მეტი შანსი მაქვს ახალ დროში ჩავეწერო. მაგრამ ამ ეტაპზე მე მათ მივანიჭებდი უპირატესობას და კერძოდ, ასლან აბაშიძეს. მე ჩემი მოსვლის შემთხვევაში ხალხს ვერ მივცემდი აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის გარანტიას.

**— ასლან აბაშიძე როგორ გადაწყვეტს?**

— შევარდნაძემ მე ოთხი წლით მომწყვიტა ყველა კონტაქტს კავკასიის ლიდერებთან. მე მათთან უკეთესი კონტაქტები მქონდა, ვიდრე შევარდნაძეს აქვს. ჩემი ვიცე-სპიკერობისას მე დავდიოდი კავკასიაში, რამოდენიმეჯერ პოპოვს შევხვდი, ჩამოვიტანე კონკრეტული წინადადებები მის ვიზიტთან დაკავშირებით. შევარდნაძემ ეს ორი წლით გადადო, ახლა უნდა მისი ჩამოყვანა. ორი წლით გადაინაცვლა აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტამ. მე იმას კი არ ვამბობ, მარტო პოპოვი გადაწყვეტს ამ პრობლემას. კავკასიის მთა არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა აფხაზეთის საკითხის მოგვარებისა.

მოქკავშირს აქვს ავადმყოფური ფსიქოლოგია, ოღონდ სხვამ არ გააკეთოს, მისი ავტორიტეტი არ გაიზარდოს, და სჯობს აფხაზეთი დაკარგული დარჩეს. 1996 წელს მაგათ პოლიტსაბჭოზე პირდაპირ გააკეთეს განცხადება, რჩეულიშვილი რომ აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს, ენერგიული კაცია, რაღაცას მიაღწევს და მერე ჩვენ რა ვქნათ არჩევნებზეო. აი, ასეთი ავადმყოფური ფსიქოლოგიის ხალხია.

ასლან აბაშიძეს აქვს პლიუსები, ავტორიტეტი. დღევანდელი კავშირები რუსეთთან, კავკასიის მთასთან, თურქეთთანაც. აფხაზეთის დღევანდელ, ფაქტიურ ხელისუფლებაშიც დიდი ავტორიტეტი აქვს. აფხაზეთი კი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ფსიქოლოგიურად და მენტალურად საქართველოს რეგიონია, რაც თვითონაც მშვენივრად იციან. რეალურად, არძინბას უფრო მეტი ნდობა აქვს ასლან აბაშიძის, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის. ამიტომაც ვამბობ, ასლანს უფრო მეტი შანსი აქვს ეს პრობლემა გადაწყვიტოს, ვიდრე — შევარდნაძეს. საქართველოს მოსახლეობა ამაში უნდა გაერკვეს. უნდა გაერკვეს რა პრიორიტეტს ანიჭებს უპირატესობას.

თუ ეს პრიორიტეტი არის აფხაზეთი — მხარი უნდა დაუჭირონ ასლან აბაშიძეს, თუ ეს არის სოფლის მეურნეობა — ჯუმბერ პატიაშვილს.

**დღევანდელი მდგომარეობა, შევარდნაძის ხელში, რამდენიმე წელიწადში სანატრელად მოეჩვენებათ.**

**— კი მაგრამ, მარტო აფხაზეთი და სოფლის მეურნეობა უშველის საქართველოს?**

— არა, მარტო ესენი რატომ. მე გეუბნებით, ჩადით ბათუმში და ნახეთ. თბილისში მაჩვენეთ მომუშავე სამრეწველო ობიექტები, რას უშვებენ და მე გაჩვენებთ, რას უშვებს ბათუმი. ეს არის სამხედრო კატარღა. დღეს შემიძლია სიამაყით განვაცხადო: არსებობს საქართველოში დამზადებული უახლესი სამხედრო-საზღვაო კატარღა, რომელიც თავისი სტანდარტებით კი არ ჩამოუვარდება აშშ-ს მსგავსი ტიპის ხომალდებს, არამედ გარკვეული პარამეტრებით კიდევაც სჯობს.

**— ბატონო ვახტანგ, ვიცით, რომ ცსკ-თან გაქვთ გარკვეული შეუთანხმებლობა.**

— ცენტრალური საარჩევნო კომისია არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას. ლაგოდეხის არჩევნებში ისეთი დარღვევები იყო, რომ შეაძრწუნა მთელი ცივილიზებული ევროპული საზოგადოება — ევროსაბჭო, ევროკავშირი, ვინც დაინტერესდა. იქ გაგზავნილმა კასეტებმა ყველა შეაძრწუნა, ჩვენი ცსკ-ს გარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისია გახლავთ, ფაქტიურად, სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ასრულებს მოქალაქეთა კავშირის დაკვეთას. ცხადია, ჩვენ მასთან გვექნება დაპირისპირება. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ცსკ-ს თავმჯდომარე რომ პატივცემული ადამიანია საზოგადოებაში. პირიქით, ეს უფრო უარესია. უარესია, როცა ისეთი ადამიანი ასრულებს ხელისუფლების დაკვეთებს, რომელსაც საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტი აქვს.

**რეალურად, არძინბას უფრო მეტი ნდობა აქვს ასლან აბაშიძის, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის.**

ცსკ, სასამართლოები — ისეთი სტრუქტურებია, რომლებიც კონსტიტუციას უნდა იცავდეს და სამართალს ემსახურებოდეს, მაგრამ ისინი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ. ეს უბედურებაა ერისათვის. მოქალაქეთა კავშირმა, როცა ყველა საკრებულოების დეპუტატებს გაუუქმა სადეპუტატო იმუნიტეტი, ამაზე ცსკ-მ თვალი დახუჭა. საარჩევნო კანონში წერია, რომ საკრებულოს დეპუტატებს იმუნიტეტი უნდა ჰქონდეთ. მარტო ჩვენი პარტიიდან მთელ საქართველოში 700-ზე მეტი დეპუტატი გვყავს, ბლოკს კი — 1500-ზე მეტი. ეს ის ხალხი იყო, ვისი დაჭერის, დაშინების უფლება არ ჰქონდა პოლიციას. 1500 კაცს რომ მოუხსნი იმუნიტეტს და ეტყვის პოლიცია, შენ დაგიჭერ, შენ შვილსაც დავიჭერო, ეს პირდაპირ დაშინების და შანტაჟის მცდელობაა. ჩვენთან კი არჩევნებს პოლიცია იგებს. ჩვენ ყველამ ვიცით, შევარდნაძის რეჟიმი კვირაიას ზურგზეა მოსული.

მე მიმაჩნია, საქართველოში კანონთან ახლოს არ გაუვლია არც პრეზიდენტს და არც მოქალაქეთა კავშირს. კონსტიტუციის გარანტი უნდა იყოს პრეზიდენტი. სამწუხაროდ, მისი პირველი დამრღვევი თვითონ არის, როცა ითავსებს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობას. ამიტომ ჩვენ მისი და ცსკ-ს იმედი არა გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლას შევწყვეტთ.

**ცენტრალური საარჩევნო კომისია გახლავთ, ფაქტიურად, სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ასრულებს მოქალაქეთა კავშირის დაკვეთას.**

**— რამდენი პარტია მოვა პარლამენტში ამ არჩევნების შემდეგ?**

— წესით, უნდა მოვიდეს ორი — ჩვენი ბლოკი და მოქალაქეთა კავშირი. თუ შემთხვევითობაზეა ლაპარაკი, ედპ-ს, ლეიბორისტებს და სახალხოს შანსი აქვს. მეწარმეებსაც აქვთ შანსი, თუკი მოძებნეს კავშირი. აი, სახალხო და მეწარმეები ერთად გადალახავდნენ ბარიერს.

**— წინასაარჩევნო ბერკეტები მოქალაქეთა კავშირის ხელშია, თქვენ რას დაუპირისპირებთ?**

— ჩვენს ხელშეუხებლობას. ისინი ვერ ეხებიან აჭარას. რჩეულიშვილის პარტიის განადგურება ცალკე ძალიან ადვილია. აბა, სცადონ, აბაშიძე გაანადგურონ, ბევრს რომ ცდილობენ. მე გეტყვით — ვერ გაანადგურებენ იმიტომ, რომ ავტონომიაა აჭარის. საერთაშორისო საზოგადოება დაიცავს მას. აჭარის ავტონომიის განადგურების უფლებას შევარდნაძეს და მის რეჟიმს არ მისცემენ. ამიტომ ასლან აბაშიძის დაცულობის ხარისხი არის უფრო მეტი, ვიდრე კაკო ასათიანის, ვახტანგ რჩეულიშვილის, ჯუმბერ პატიაშვილის — ერთად აღებული. შევარდნაძის რეჟიმს რომ შეეძლოს ასლანის მოცილება, დიდი ხნის წინათ მოიცილებდნენ, მაგრამ ვერ იცილებს. რჩეულიშვილი მოიცილეს, ასათიანი, პატიაშვილი მოიცილეს, ზვიადისტები ხომ საერთოდ „კალიმაზე" ჰყავთ გაგზავნილი. ასლან აბაშიძე არის ერთადერთი კაცი, რომელიც რეალურად უპირისპირდება მათ ისე, რომ არ აძლევს შესაძლებლობას თავის გაჭყლეტისა. ეს არის ჩვენი შანსი. ცალ-ცალკე ასლანიც, ვახტანგ რჩეულიშვილიც, ასათიანიც და პატიაშვილიც წაგებულია, მხოლოდ ერთად გვაქვს უნიკალური შანსი, 51% გადავლახოთ.

ამიტომ გავერთიანდით. ამით საქართველოს აქვს ერთადერთი შანსი, მოიცილოს შევარდნაძის პარტია. თუ უნდა ეს მოსახლეობას, ჩვენ ამის შანსს ვაძლევთ, თუ არ უნდა და კიდევ ამ მდგომარეობაში უნდა ყოფნა, მე ვაფრთხილებ — დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძის ხელში, რამდენიმე წელიწადში სანატრელად მოეჩვენებათ. ნურავინ ნუ დაიჯერებს, რომ ეს მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება. შევარდნაძის პარტიის ხელში ეს მდგომარეობა გაუარესდება. ამიტომ აქ ლაპარაკია საქართველოს გადარჩენაზე. მოსახლეობას აქვს შანსი, უფრო ცუდი არ გახდეს მისი მდგომარეობა და კონკრეტული საკითხი ჩვენ გადავწყვიტოთ, აფხაზეთის საკითხი იქნება ეს, თუ გაჭირვებული პენსიონერების საკითხი. ჩავიდნენ ბათუმში და ნახონ, რა მდგომარეობაა — ფაბრიკა-ქარხნებიც მუშაობს და პენსია-ხელფასებიც დროულად რიგდება. თუ ასეთ ცხოვრებას გაჭირვებულად ცხოვრება ურჩევნიათ...

**— მოსახლეობას ჰპირდებით, რომ თქვენს ხელში ყველაფერი კარგად იქნება?**

— ყველაფერი კარგად მხოლოდ ღმერთის ხელში იქნება. ჩვენ ვპირდებით, რომ ბევრად უკეთესად იქნება საქმე, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და ბევრად უარესად იქნება, თუ ისევ ესენი დარჩებიან ხელისუფლებაში.

**ამრიტა ჯანაშია**

მეორე გვერდიდან

არა აქვს, დაამთავროს უფასოდ სკოლა.

სხვას რაც შეეხება, ბავშვთა №1 საავადმყოფო მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადავიდა, ბალნეოლოგიური კურორტის გაყიდვა ავკრძალეთ, რაც მთავარია, ძალიან ბევრი განცხადება, საჩივარი და თხოვნა შემოდის მოსახლეობიდან.

საკრებულოს შექმნიდან მხოლოდ 8 თვეა გასული, ეს დრო არ იძლევა საშუალებას, ყველაფერი სრულყოფილად იყოს საკრებულოში. უამრავი რაღაცა სრულყოფას საჭიროებს. ჯერ, ელემენტარულად, საკრებულომ ვერ მიაღწია თავისი ფუნქციების რეალიზებას. არის წინააღმდეგობები, არ იძლევიან ამის საშუალებას, ჩვენც მოვისუსტებთ. საკრებულო ახალი ორგანოა, ახალი ორგანო კი ყოველთვის დიდი წინააღმდეგობებით იკავებს ადგილს სხეულში.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ

# ინტერვიუ იმაზე, თუ რატომ უნდა მოვიდეს პოლიტიკაში მსახიობი, როგორ გავათევინოთ ღამე ლექტორებს ღია ცის ქვეშ და შესაძლებელი ტერაქტის შესახებ

მივედით იქამდე, თუ როგორ უნდა ვითანამშრომლოთ, რა ნორმები უნდა დავიცვათ.

მე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი ფრაქცია და მეც, მოსახლეობას, რომლებიც თხოვნით მოგვმართავენ, ვეხმარებით.

ახლა ძალიან აქტუალური პრობლემაა სტუდქალაქში მაცხოვრებელი ხალხის გამოსახლების საკითხი. იქაც ძალიან აქტიურად ჩავერთეთ.

**— გამოსახლებული ხალხი სად უნდა წავიდეს?**

— არსად არ უნდა გასახლდნენ. ჯერ უნდა გავერკვეთ სიტუაციაში, თუ რა ხდება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდგომ უნდა გადავწყვიტოთ გასახლება-არგამოსახლება. ამ გამოთავისუფლებულ ბინებში უნდა შევიდნენ სტუდენტები, რომელთაც საცხოვრებელი არა აქვთ და, როგორც ამბობენ, ვაგზალზე ათევენ ღამეს.

**— კი, მაგრამ სტუდქალაქის საცხოვრებელ კორპუსებში ხომ პროფესორ-მასწავლებლებიც ცხოვრობენ...**

— დიახ, მეც ეს მინდოდა მეთქვა. ჩვენ რა, ლექტორები გამოვყაროთ გარეთ და იმათ ვათევინოთ ღია ცის ქვეშ ღამე? ამიტომ ვამბობ, ჯერ უნდა გავერკვეთ სიტუაციაში და მერე მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოებრივად იქნება გადაწყვეტილი და არა ვიღაცის სურვილისა და გუნება-განწყობილების მიხედვით.

**— ვინ მიიღო გადაწყვეტილება?**

— მე არ ვიცი, გადაწყვეტილება ვინ მიიღო, ჩვენთან შემოვიდა განცხადება, რომ შეაქვთ სარჩელი და სასამართლოები ღებულობენ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

**— მოსარჩელე ვინ არის?**

— სტუდქალაქის სამმართველო და ნაწილობრივ, განათლების სამინისტრო.

**— ?**

*დამშვიდობებისას ბატონ თამაზს თავისუფლების მოედანზე მიმდინარე დიდ „ალმშენებლობით" მშენებლობა-რესტავრაციაზე ვკითხე, თუ ვინ აკეთებს და რატომ (ვიფიქრე, საკრებულოში მაინც ეცოდინებათ ამის შესახებ-მეთქი). გაოცებულთა და გაკვირვებულთა რიგებში მეც ჩამთვალეთ, ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს, ისიც არ ვიცით, ვინ აკეთებს და რატომ აკეთებს. აი, ასე მეხივით დაგვეცემიან, დილით მოვლენ, ათხრიან, დათხრიან, რაღაცას გააკეთებენო, — მიპასუხა ბატონმა თამაზმა.*

*ბატონმა ვიქტორ მოსიძემ კი, რომლის კაბინეტიდან ხელისგულზე მოჩანდა თავისუფლების მოედანი და მანქანების გრუხუნისგან ყველაფერი ზანზარებდა, ღიმილით დაამატა: ზამთარში რომ ეგ ფილაქნები მოიყინება, მოცურდება პრეზიდენტის მანქანა, დაემსგავსება ტერაქტს და დააბრალებენ ტერორისტებსო.*

**ამრიტა ჯანაშია**

მესამე გვერდიდან

# ისწრობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

ულ-ტაქტიკური რაკეტების 180 გასაშვები დანადგარი, 60-მდე დამრტყმელი ვერტმფრენი.

გარდა ამისა, ცივი ომის პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა ჰქონდა იმავე სირიის, ერაყისა და ქურთისტანის მუშათა პარტიის მმართველ წრეებთან. ამიტომაც მას მეტნაკლები კოორდინირებით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძალისა და საშუალებისა დაპირისპირება შეეძლო, და აპირებდა კიდეც, თურქეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

დღესდღეობით ბულგარეთი, რუმინეთი,



უკრაინა, მოლდოვა და ამიერკავკასიის სახელმწიფოები მოსკოვს უკვე აღარ ემორჩილებიან. მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო კრემლი ვერც სირიას, ერაყსა და ქურთ სეპარატისტებს უნდა უწევდეს უწინდელ ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას, ხოლო თურქეთის წინააღმდეგ მათი ერთობლივი მოქმედებების შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რაც შეეხება უკანასკნელ ათწლეულში კავკასიაში გაჩაღებულ ეთნიკური შეფერილობის პოლიტიკური კონფლიქტების გავლენას თურქეთის უსაფრთხოებაზე, არა გვგონია, რომ აქედან გამოწვეული შეშფოთებები რაიმე შედარებაში მოდიოდნენ იმ მუქარასთან, რომელსაც თუნდაც ცივი ომის მიწურულს უქმნიდა თურქეთს კავკასიაში განლაგებული 15 საბჭოთა დივიზია და 20-მდე ბრიგადა და პოლკი მათ ხელთ არსებული ძალებითა და საშუალებებით. ასე რომ, 90-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის მკვეთრად ამაღლების ასახსნელად ვერც ამ ქვეყნის გეოგრაფიული გარემოცვა გამოდგება.

მაგრამ აღნიშნული ქართველი სპეციალისტების მხრიდან თურქეთის თანამედროვე შეიარაღებული ძალების შეტევითი დანიშნულების თეზისის მიუღებლობამ და მათმა რჩევამ გადაგვაწყვეტინა თავად საქართველოში თურქეთის სამხედრო ატაშესთან პოლკოვნიკ ვედათ ილდიზთან საუბარი აღნიშნულ საკითხებზე. მაგრამ, სანამ ბატონ ატაშესთან ჩვენი საუბრის შესახებ გავაგრძელებდეთ წერას, გვინდა მკითხველს ერთი ინფორმაციაც მივაწოდოთ უკვე გეოპოლიტიკის სფეროდან, რომლის გაშლასაც თურქეთის შეიარაღებული ძალების შესახებ დასკვნით წერილში ვაპირებდით, სადაც ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სავარაუდო გეგმების შესახებ გვინდა ვისაუბროთ, მაგრამ ვინაიდან ბატონ პოლკოვნიკთან ლაპარაკის დროს, ეს თემაც წამოიჭრა, ამიტომ ორიოდე სიტყვით მასზეც შევჩერდებით. ეს არის 80-იანი წლების შუახანებში ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, შემდგომში პრეზიდენტის, ან განსვენებული თურგუთ ოზალის მიერ დასავლური პრესისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამი, რომ თურქეთს დიდი პრეტენზიები არ გააჩნია, ვინაიდან ეს არის რეგიონული სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთამდეო.

ბატონმა თურქეთის სამხედრო ატაშემ განგვიცხადა, რომ დღევანდელ თურქეთს არ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები სხვა სახელმწიფოთა მიმართ; რომ თურგუთ ოზალის ზემოთ აღნიშნული გამონათქვამი მხოლოდ მისი პირადი აზრი შეიძლება იყო და არა ქვეყნის პოლიტიკის წარმმართველი იდეოლოგიური თეზისი; რომ 90-იან წლებში თურქეთის შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე გადაიარაღების პროცესი აიხსნება იარაღის მოძველებული სისტემების ახლით შეცვლისა და არსებულის მოდერნიზების ბუნებრივი მოთხოვნილებებით; რომ სახმელეთო ჯარებში დივიზიებიდან ბრიგადულ სისტემაზე გადასვლით საერთო ჯამში საბრძოლო ბატალიონების რაოდენობა დიდად არ შეცვლილა; რომ საჰაერო ძალებში ჰაერში საწვავით გამწყობი (ტანკერი) თვითმფრინავების გასამმაგება განპირობებულია არა შორ მანძილებზე სახმელეთო მიზნების დასაბომბად საბრძოლო ავიაციის გაშვების აუცილებლობით, არამედ, პირველ რიგში, ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის და ასევე, ვთქვათ, თურქეთიდან შეერთებულ შტატებში ტაქტიკური გამანადგურებლების გადაფრენისას დასავლეთ ევროპის აეროდრომებზე დაუჯდომლად ჰაერში მათი საწვავით გაწყობისათვის; რომ თურქეთი იცავს CFE ხელშეკრულებით მისთვის დადგენილი შეიარაღების კვოტებს და მათ დარღვევას არ აპირებს; რომ ქვეყნის მმართველი წრეები ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამაარსებლის ქემალ ათა-თურქის ცნობილი ლოზუნგით — მშვიდობა შინ და მშვიდობა გარეთ — და არ აპირებენ საკუთარი ინტერესების მისაღწევად ომის გაჩაღებას; რომ თურქეთს მართლაც გააჩნია თავისი ინტერესები ეთნიკურად, ისტორიულად, კულტურულად, ეკონომიკურად მასთან დაკავშირებულ ქვეყნებსა და რეგიონებში, მაგრამ ამ ინტერესების განვითარებას იგი მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს.

ახლა ბატონ ატაშეს ზემოაღნიშნული არგუმენტებიც გავარჩიოთ. ჯერ ერთი, რაღაც არ გვგონია, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი „ვაშინგტონ პოსტში" ან „ნიუსუიქში" გამოსაქვეყნებელ ინტერვიუში გეოპოლიტიკის ისეთ საკითხებზე საუბრისას, რომლებშიც თავისთავად იგულისხმებოდა სსრკ-ს, ირანისა და ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის თუ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შებღალვა, მხოლოდ მისი კერძო მოსაზრება ყოფილიყოს გამოთქმული და მეტი არაფერი.

მეორეც, შეიარაღებათა მოძველებული სისტემების მოდერნიზაციისა და ახლით შეცვლის პროცესი სავსებით ბუნებრივი და აუცილებელია, მაგრამ ამ პროცესს, ჩვეულებრივ, თან ახლავს შეიარაღების რაოდენობის შემცირება, ვინაიდან ცხადია, რომ უფრო თანამედროვე და ძლიერი იარაღის შედარებით ნაკლები რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის იმავე დონეზე შესანარჩუნებლად. თურქეთის სახმელეთო ჯარებში კი 90-იან წლებში შეიარაღებიდან მოხსნეს უკვე გვარიანად მოძველებული მ-47 ტიპის 523 საბრძოლო ტანკი და მათ ნაცვლად მიიღეს გაცილებით უფრო თანამედროვე და მძლავრი მ-60 A1/A3 და „ლეოპარდ-1 A1/A3 ტიპების 1161 ტანკი. აგრეთვე 1100 ერთეული ასევე ძლიერ მოძველებული მ-59 და მ-213 ჯავშანტრანსპორტიორების ნაცვლად ჯარებს მიაწოდეს 1438 თანამედროვე ქვეითი საბრძოლო მანქანა (AJFV) და ჯავშანტრანსპორტიორი (AAPC, M113 A1/A2).

შემდგომი შედარებების გაუგრძელებლადაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 90-იან წლებში თურქეთის სახმელეთო ჯარებში ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ შეიარაღების განახლებას, არამედ მის მნიშვნელოვან რაოდენობრივ ზრდასაც, რის შედეგადაც ამ ქვეყნის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების საბრძოლო შესაძლებლობები დაახლოებით 2-2,5-ჯერ ამაღლდა.

მესამე, ამავე წლებში თურქეთის სახმელეთო ჯარების პირადი შემადგენლობა 55000 ადამიანით გაიზარდა. ამ ეტაპზე ჩვენთვის ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იმოქმედა ამან საბრძოლო ბატალიონების რაოდენობის გაზრდაზე. ერთი რამ კი ცხადია, 1991 წლის მონაცემებით, თურქულ არმიაში ნაჩვენები 14 დივიზიიდან, 13 იყო სხვადასხვა ტიპის ქვეითი დივიზია, ხოლო 23 ზოგადსაჯარისო ბრიგადიდან 10 ასევე იყო ქვეითი. შესაბამისად, თურქულ ჯარებში მაშინ მეტად დიდი იყო სწორედ ქვეითი (ფეხოსანთა) ბატალიონების ხვედრითი წილი. დღესდღეობით თურქეთის სახმელეთო ჯარებში არსებული ორი დივიზიიდან ერთი მექანიზებულია და ერთიც ა-ტიპის ქვეითი (სატანკო პოლკით). ხოლო 40 ზოგადსაჯარისო ბრიგადიდან მხოლოდ 9 ქვეითი. ამრიგად, 90-იან წლებში განხორციელებული გადაიარაღების შედეგად, ქვეითი ბატალიონების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირებულიყო და შესაბამისად, გაზრდილიყო ჯავშანსატანკო და მექანიზებული ბატალიონების რიცხვი. ჯავშანსატანკო ჯარების ცეცხლისა და დარტყმის ძალაზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც 1973 წელს არაბებისა და ისრაელის ომმა აჩვენა მექანიზებული ქვეითი ჯარების დიდი უპირატესობა ქვეით ჯარებთან შედარებით. ამრიგად, ამ მხრივაც თურქული არმიის დღევან-



დელი ქვედანაყოფების დიდი უმეტესობა გაცილებით უფრო ძლიერია 90-იანი წლების დასაწყისთან შედარებით.

მეოთხე, CFE ხელშეკრულება, როგორც ვთქვით, დიდია ნატოს ბლოკსა და ყოფილ ვარშავის პაქტს შორის და ითვალისწინებდა მათ შორის ძალთა ბალანსის დამყარებას. მაშინ თურქეთის წინააღმდეგ მოსკოვის ბრძანებით ერთდროულად გამოდიოდნენ ჯარები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ბულგარეთის, მოლდოვას, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საკუთრივ რუსეთის ტერიტორიებზე და შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებით თურქეთს დაუდგინეს შეიარაღებათა ისეთი კვოტები, რომლებსაც ყველა ამ მხრიდან წამოსული მუქარები უნდა გაენეიტრალებინა. დღესდღეობით ეს მუქარები პრაქტიკულად მიზერულ დონემდეა დაყვანილი და თურქეთისათვის ისევ ძველი კვოტების დატოვება ამ ქვეყნის თავდაცვითი საკმარისობის დონეს მრავალჯერ აღემატება.

მეხუთე, ტაქტიკური გამანადგურებლების ჰაერში საწვავით გამწყობი თვითმფრინავების თავდაცვითი მიზნებით გამოყენების ვერსიაც მეტად სუსტია, ვინაიდან თავდაცვით ბრძოლებში ჩაბმული ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენები ხარჯავენ არა მხოლოდ საწვავს, არამედ, ბუნებრივია, თან წაღებულ რაკეტებს, საავიაციო ბომბებს და ჭურვებსაც და ყოველივე ამის შესავსებად და ეკიპაჟების დასასვენებლად აუცილებელი იქნება საკუთარ ბაზებში (აეროდრომებზე) დაბრუნება; ხოლო რაკეტებისა და სხვა შეიარაღების დახარჯვის შემდეგ თვითმფრინავებისათვის ჰაერში საწვავის ჩასხმა და ისევ ბრძოლაში გაშვება, უბრალოდ, უაზრობაა.

რაც შეეხება ქემალ ათა-თურქის სამშვიდობო ლოზუნგს, ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გვახსოვდეს, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სწორედ ათა-თურქისადმი დაქვემდებარებულმა ოსმალურმა ჯარებმა დაიკავეს ერთა ლიგის მიერ საქართველოს შემადგენლობაში ცნობილი არტაანის, ფოცხოვის, ოლთისისა და ისტორიული მესხეთის სხვა ოლქები, ხოლო შემდეგ ბათუმის ოლქის (აჭარის) დაკავებაც სცადეს, საიდანაც ქართულმა ჯარებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით გაანდევნეს ისინი.

ასევე გვინდა დავიჯეროთ თურქეთის ოფიციალურ პირთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ თურქეთი არ აპირებს სამხედრო ძალის გამოყენებით საკუთარი გავლენის აღმოსავლეთისაკენ გავრცელებას, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ რამდენიმე წლის წინ თავად ნატოს ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური კავშირი აღმოსავლეთისკენ გაფართოებას არ აპირებდა და ეს განცხადებები აღმოჩნდა ელემენტარული სიცრუე.

ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, თურქეთისა და ნატოს ბლოკის ოფიციალურ პირთა სამშვიდობო განცხადებების ყველაზე უფრო საიმედო დადასტურება იქნებოდა ამ ქვეყნისა და მთლიანად ალიანსის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ CFE ხელშეკრულების ადაპტაციის მიმდინარე პროცესში თურქული შეიარაღებული ძალების შემცირება და ქვეყნის თავდაცვითი საკმარისობის დონესთან შესაბამისობაში მისი მოყვანა.

**ირაკლი ხართიშვილი**

მეორე გვერდიდან

რვად დახვეწილი ადამიანისადმი. არა მხოლოდ იმპერიულ-კომუნისტურ ელემენტს, რომელიც დღეს საქართველოს მართავს, არამედ ათწლეულების მანძილზე მასთან „ზავით შაკრულ" (ვაჟა-ფშაველას გამოთქმა გახლავთ) პოლიტიკურად პასიურ ელემენტსაც, რომელმაც ათწლეულები ისე გაატარა, რომ საქართველოს ინტერესთა დასაცავად ერთი წამოკნავლებაც კი აზრად არ მოჰსვლია, დღეს ქართველი პატრიოტი (ე. წ. „ნაციონალისტი") და ქართული აქტიური ეროვნული ცნობიერება გულით სძულს. სძულს არა მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებების გამო (დღეს ყველამ იცის, რომ დღევანდელი ანტიქართული ხროვის ბატონობას ჩვენს ქვეყანაში გრძელი ვადა არა აქვს), არამედ, პირველ ყოვლისა, ზემოხსენებული ფსიქოლოგიური მექანიზმის მოქმედების გამო. დღეს ეს სოციალური ფენა, ასე თუ ისე, მაღლა თაროზეა შემომჯდარი და შემთხვევას არ უშვებს, რათა ოფიციალური ხელისუფლების მიერ არაოფიციალურად შეძულებულ ეროვნულ სიწმინდეებს შეძლებისდაგვარად წიხლი უთავაზოს.

საბედნიეროდ, ეს ადამიანები ნიჭიერებით

# რაში ცდებიან ბატონი კოტე მახარაძე და მისი ვექილი

არ გამოირჩევიან. ბ-ნმა კოტე მახარაძემ ისე ჩაატარა თავისი მსახიობური მოღვაწეობა, რომ ერთი შთამბეჭდავი სცენური სახეც ვერ შექმნა. ძირითადი მასა ამ სოციალური წრისა არა მხოლოდ უტიფრობის, არამედ, პირველ ყოვლისა, ულიმღამობისა და უნიჭობის ეტალონებადაა შერაცხული საზოგადოებაში. არაა მოსალოდნელი, რომ მომავალში რომელიმე ადამიანმა, ვისაც ნიჭის ღვთიური ნაპერწკალი მოსდევს, თავი გაიმეტოს და ამათ რიგებს შეუერთდეს.

ახლა რაც შეეხება საკითხის იურიდიულ მხარეს. ბ-ნ კოტე მახარაძის ვექილმა ბ-ნმა ბერიშვილმა დაიწუნა იურიდიული თვალსაზრისით „ქეთევან წამებულის საზოგადოების" ქმედება, როცა ამ უკანასკნელმა სასამართლოს მიჰმართა. ვექილის აზრით, მისი მარწმუნებლის დაუსჯელობა გარანტირებულია იმით, რომ „დაზარალებული" (მისი ტერმინია) ანუ ქეთევან წამებული პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს. იგივე უკბილო დახასიათება — ესაა პროცესი, რომელშიც დაზარალებული არ მონაწილეობსო, — ირონიულად გაიმეორა და ეთერით გაავრცელა „რუსთავი-2"-მა. მაგრამ ვექილის ოპტიმიზმი საეჭვო ღირსებისა გახლავთ. ბ-ნ კოტე მახარაძის ქმედება არა მხოლოდ მხილებადია ზნეობრივად, არამედ დასჯადიცაა იურიდიულად. მასში „დაზარალებული" (კერძოდ, შეურაცხყოფილი) ვართ არა ქეთევან წამებული (მას ბ-ნ მახარაძის ფუჭსიტყვაობა, ცხადია, ვერ „დააზარალებს"), არამედ ქართული ეკლესიის მორწმუნეთა კრებული, რომელსაც სიწმინდე შეგვიგინეს, ერთის მხრივ, და ქართველი ერი, რომელსაც ეროვნული ისტორია შეგვიგინეს, მეორეს მხრივ. სარწმუნოებრივი შეურაცხყოფა და ეროვნული შეურაცხყოფა დასჯადი მოქმედებებია. რადგან ბატონ ვექილს ტყუილად ჰგონია, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლება გინების თავისუფლებაა. ეს ისეთივე ილუზია გახლავთ, როგორც აზრი, თითქოს მოძრაობის თავისუფლება მეზობლისთვის მუშტის მორტყმის ან პანჩურის ამოკვრის თავისუფლება იყოს. თავისუფლების პრინციპი საზოგადოებაში ხომ ისაა, რომ სხვას არ შეულახოთ იმის ანალოგიური უფლებები, რაც თქვენი თავისთვის გინდათ!

ბატონმა ვექილმა იმის დაცვა ინება, ვინც წამებულის დათხეულ სისხლს დინგი ამოჰკრა და ამით ის ცოდვა ჩაიდინა, რომელსაც გმობათა შორის ყველაზე დიდი გმობა ჰქვია.

ეს რეპლიკა ოპტიმისტურ კილოზე მინდა დავამთავრო. გზააბნეული ადამიანის ცდომა სიწმინდეს ვერ შებღალავს, რადგან სიწმინდეები ადამიანებში იმ საწყისს კი არ მიჰმართავენ, რომელიც მდარეა და წარმავალი, არამედ იმას, რაც ძირეულია, უქცეველი (ანუ უცვლელი) და ამაღლებული, თუმცა ხშირად ხდება, რომ ადამიანი თავისთავში ამ საწყისთა არსებობას ვერ ამჩნევს.

არჩევნები

ეროვნული მიმდინარეობა

# აუცილებელია ეროვნულმა პარტიებმა შექმნან ერთიანი საარჩევნო ბლოკი

იმისათვის, რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისადმი მტრულად განწყობილმა პარტიებმა (ანუ გარედან მართულმა ანტისახელმწიფოებრივმა პარტიებმა) — „მოქალაქეთა კავშირმა", კომუნისტურმა პარტიებმა და არაერთმა სხვამ — ვერ მიაღწიონ უმრავლესობას საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტში, ვერ გაძარცვონ საქართველო უკანასკნელ ძაფამდე, ვერ გაყიდონ ბოლომდე მისი უძრავ-მოძრავი ქონება, ვერ დააკანონონ მასში რუსეთის საოკუპაციო ჯარების დგომა, ვერ დააკანონონ საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა, ვერ დაყონ ჩვენი ქვეყანა ისტორიულ პროვინციებად (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და ა.შ.), ვერ გახრწნან ბოლომდე ქართველი ერის ცნობიერება და ვერ ჩაკლან საქართველოში მასობრივი განათლება, აუცილებელია, რომ საქართველოს ეროვნული მიმართულების (და, მაშასადამე, დემოკრატიული და პატიოსნური მიმართულების) პარტიებმა მოიპოვონ პარლამენტში

— როგორც მინიმუმი, ადგილთა 34%, რათა მტერმა ვერ შეძლოს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო **კონსტიტუციური** გადაწყვეტილებების მიღება (ამისათვის მას სჭირდება ხმათა 2/3)

— სასურველ შემთხვევაში ადგილთა 51%-ის მიღება, რათა ქვეყნის ერთგულმა ადამიანებმა შეძლონ **მთავრობის პირადი შემადგენლობის კონტროლი** (ანუ მინისტრებად, დეპარტამენტების თავმჯდომარეებად და სხვა თანამდებობის პირებად უპატიოსნო (კორუმპირებული) ადამიანების არდანიშვნა და ქვეყნისათვის საჭირო კანონების (მაგალითად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის ხელისშემწყობი საგადასახადო კანონების) მიღება

— უკეთეს შემთხვევაში, ადგილთა 67%, რათა ქვეყნის ერთგულ ადამიანებს შეეძლოთ პარლამენტში იმ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებათა გატარება, რომლებიც ქვეყანას სჭირდება

ამ შედეგების მისაღწევად აუცილებელია ეროვნული მიმართულების (და, მაშასადამე, დემოკრატიული, პატიოსნური მიმართულების) პარტიების გამოსვლა მომავალ არჩევნებზე **ერთ ბლოკად**. პარტიების ამგვარ ერთიანობას ხელს უშლის მხოლოდ ე.წ. არასაპატიო მიზეზები, როგორიცაა ლიდერთა პირადი ამბიცია და ის, რომ მრავალ მათგანს უფრო აინტერესებს თავისი და თავისი პარტიის სტატუსი (მდგომარეობა) საქართველოში, ვიდრე საქართველოს სტატუსი (მდგომარეობა) დანარჩენ მსოფლიოში. ამიტომ, პატივცემულო თანამებრძოლებო და კოლეგებო, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ:

**დახარჯეთ საამისოდ აუცილებელი შრომა და შექმენით ერთიანი ბლოკი ა.წ. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის,** რათა ამომრჩეველმა იცოდეს, ვის მისცეს ხმა და არც ერთი ხმა ტყუილად არ დაიკარგოს!

ამისათვის დრო ჯერ კიდევ გაქვთ.

გაერთიანება უნდა მოხდეს მინიმალური პოლიტიკური პრინციპების გარშემო, რომელიც ყველას საერთო გაქვთ, სახელდობრ, შემდეგი პრინციპების გარშემო:

— არავითარი კაპიტულაცია აფხაზეთში

— არავითარი სხვა (ახალი) ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიები, გარდა აჭარისა და აფხაზეთისა

— რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან (რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას ელის ჩაბმა დიდ ომში)

— საქართველოს გამოსვლა „ესენგედან"

ცხადია, ჩვენს საერთო პრინციპებს ეკუთვნის სახელმწიფოს ჯანსაღი სოციალური პოლიტიკის გატარებაც, რომელიც გულისხმობს მოქალაქის დაცვას შიმშილითა და უპოვარობით სიკვდილისაგან, მასობრივი გალატაკებისაგან, ბავშვთა მასობრივი გაუბედურებისაგან, საქვეყნო სიმდიდრის განიავება-დატაცებისაგან და ა.შ.

დაპირების თანახმად (იხ. გაზ. „საქართველო" №29) გთავაზობთ რეალისტურ ფორმას პარტიათა ერთობლივი მოქმედებისათვის (ბლოკის შექმნისათვის), რომელშიც გათვალისწინებული იქნება პარტიათა ყველა მთავარი უპირატესობები ერთმანეთთან მიმართებაში.

**საქართველოს ეროვნული (და, მაშასადამე, დემოკრატიული) მიმართულების პარტიათა საარჩევნო თანამშრომლობის (ერთობლივად გამოსვლის) ორგანიზაციული ფორმა**

1. პარტიებს შორის წინასწარი შეთანხმება ხდება არა მხოლოდ ადგილების განაწილებაზე პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა სიაში, არამედ ფუნქციების განაწილებაზეც საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (რათა პარტიები მოუმზადებელნი არ აღმოჩნდნენ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში).

2. წინასწარი შეთანხმებით პარტიები ადგენენ, რომელი ადგილი საარჩევნო ერთიან სიაში რამდენ პირობით „ქულად" ფასდება, აგრეთვე ადგენენ, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი რომელი აღმასრულებელი ფუნქციის აღება რამდენ „ქულად" ფასდება.

3. წინასწარი შეთანხმებითვე პარტიები ადგენენ, საარჩევნო ბრძოლაში გამოსაყენებელი რომელი უპირატესობა რამდენ „ქულად" ფასდება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

— როგორია ამა თუ იმ პარტიის წევრთა რაოდენობა

— როგორია მათ რეგიონულ (ადგილობრივ) ორგანიზაციათა რაოდენობა

— რამდენი ადამიანის ჩაბმა შეუძლიათ საარჩევნო ბრძოლაში (მეთვალყურეებად, კომისიების წევრებად, პროპაგანდისტებად და სხვ.)

— როგორია მათი ფინანსური წვლილი საარჩევნო ბრძოლაში

— პარტიის დღევანდელი სტატუსი (საპარლამენტოა თუ არა, აქვს მასმედიაში ტრიბუნა თუ არა და ა.შ.)

— პარტიის იმიჯი საზოგადოებაში, მის პოტენციურ მიმდევართა რაოდენობა და ა.შ.

შესაძლებელია, რა თქმა უნდა (შეთანხმებით) სხვა ფაქტორთა გათვალისწინებაც.

4. ხდება (ერთობლივად) ყოველი პარტიის აქტივში არსებულ ზემოხსენებულ „ქულათა" დაჯამება და ამ ჯამის მიხედვით საპარლამენტო სიაში ადგილების განაწილება, აგრეთვე აღმასრულებელი ფუნქციების განაწილება იმ შემთხვევისათვის, თუ საპარლამენტო უმრავლესობა იქნა მოპოვებული

5. ხდება შეთანხმება იმაზე, რომ ერთობლივ სიაში შეყვანილი კანდიდატებისათვის სავალდებულოა იმ პოლიტიკური პოზიციის დაცვა დეპუტატობის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია პარტიათა მიერ. შესაძლებელია ამ შეთანხმების განმტკიცება ფიცით კანდიდატთა მხრიდან.

**ნ. ნათაძე**

პრობლემა

# შენ არ ხარ ვენახი?!.

## მევენახეობა-მეღვინეობის დარგს სასწრაფოდ სჭირდება შველა

მევენახეობა-მეღვინეობას ტრადიციულად დიდი ხვედრითი წილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკაში. ეს ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო ქვეყანაში უცხოური ვალუტის, მარცვლეულის, სხვა საკვები პროდუქტების, ენერგო-რესურსების შემოტანისათვის. ამ დარგის აღორძინებას ამთავითვე განსაკუთრებული ყურადღება და გვერდში დგომა სჭირდება. თუ დღეს ქვეყანაში მდგომარეობა სტაბილურდება, მაშინ მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ტრადიციულ სამომხმარებლო ბაზრის აღდგენაზე.

სსრკ-ს პერიოდში საქართველო ცენტრალიზებულად ფინანსირდებოდა და მარაგდებოდა დამხმარე მასალებით, ტექნიკით, საწვავით, შხამქიმიკატებით და სხვა მრავალი სახის ინვენტარით (და ასევე ცენტრალიზებულად იძარცვებოდა).

ქვეყანაში 70%-ზე მეტი ვენახების ფართობები და ყურძნის გადამამუშავებელი 80%-მდე საწარმოები სახელმწიფო საკუთრება იყო. 60% ღვინომასალები რუსეთის ბაზარზე გადიოდა, 7% ექსპორტზე მიდიოდა, ხოლო 4-5 მილიონი დალი შიდა მოხმარების ბაზარს ხმარდებოდა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ფინანსების ადგილობრივად გამოძებნა. ამ კრიზისიდან გამოსვლისათვის დღის წესრიგში დადგა საკუთრების სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა. ამ გზების მოძებნა მოხდა არა ევოლუციურად, არამედ რევოლუციური „იერიშით", გატარდა „ველური" პრივატიზაცია მევენახეობაში, რამაც კატასტროფის წინაშე დააყენა ყურძნის მწარმოებლები და გადამამუშავებელი საწარმოები. უსახსრობის გამო მათ ვერ შეძლეს ვენახების დამუშავება და იგი ღმერთის ანაბრად იქნა მიტოვებული.

სამრეწველო საწარმოების ეტაპობრივი პრივატიზაციის ნაცვლად, მოხდა მათი დაჩქარებით აქციონირება და გაყიდვა. ეს მოხდა ყოველგვარი კანონის დარღვევით. საწარმოებში არსებული ღვინომასალები და სპირტები ქარხნებთან ერთად შესყიდული იქნა მიზერულ ფასებში (კუპონებში). სახელმწიფომ მილიონობით შემოსავალი დაკარგა. ეს გრძელდება დღესაც. არც მომკითხავი და არც განმკითხავი ჯერჯერობით არ ჩანს.

ასევე გაურკვეველ მდგომარეობაშია „სამტრესტის" რუსეთში დარჩენილი ღვინის ქარხნების მდგომარეობა. მათ მრავალი წელია არავითარი შეხების წერტილი არ გააჩნია ქვეყანასთან.

მევენახეობა-მეღვინეობის ობიექტთა მოუმზადებელი, ნაჩქარევი პრივატიზაცია გრძელდება დღესაც, რაიონებში ადგილებზე დაუდგენელია, თუ ვის რამდენი ჰექტარი ერიცხებოდა ჯიშების მიხედვით პრივატიზაციამდე. რამდენი ჰექტარი გადავიდა კერძო სექტორში, რამდენი ჰექტარი გაიჩეხა და რამდენი უკანონოდ ჩამოიწერა.

მიუხედავად მრავალი დადგენილებების და განკარგულებებისა, ყოველგვარი დარღვევით ხდება ვაზის სანერგე და სადედე მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასელექციო საცდელი სადგურების, მსხვილი მევენახეობის კომპლექსების საუკეთესო მიწის ფართობების გაცემა. უფრო მეტიც, მევენახეობის საცდელ ფართობში ბენზინგასამართი სადგური ჩადგეს და ამით შეწყვიტეს საცდელ-საკვლევი მუშაობა ახალი ჯიშების გამოყვანისათვის. უგულებელყოფილია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №166 დადგენილების შესრულება საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, მარნეულის, მცხეთის, ბოლნისის, ზესტაფონის რაიონებში სანერგეების ხელშეუხებლობის შესახებ.

არავინ ზრუნავს ადგილებზე ყურძნის მწარმოებელსა და გადამამუშავებელი საწარმოების ურთიერთინტეგრაციის პროცესზე, უფრო მეტიც, ადგილობრივი ხელმძღვანელები ხელს უშლიან ფერმერებს მიწისა და სათანადო სახსრების გამოყოფაზე. არავინ ზრუნავს ვენახებში მაღალი (25%) მეჩხერიანობის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებისათვის, არავის გახსენებია 1998 წელს მიღებული „ვაზისა და ღვინის" კანონის ამოქმედება და მისი დანიშნულებისამებრ წარმოებაში გამოყენება.

დაინგრა და გაიძარცვა ვაზის სასათბურო კაპიტალური შენობა-ნაგებობანი, სანერგეებს უკეთდება პრივატიზაცია, საუკეთესო მიწები შემთხვევით პირებზე იყიდება საგარეჯოს, ახმეტის, გურჯაანის, მარნეულის, ბოლნისის, მცხეთის, ზესტაფონის რაიონებში.

მთლიანად შეწყვეტილია ვაზის ნამყენი ნერგის წარმოება. მეტიც, გაუქმდა ვაზის სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტი.

მთლიანად განადგურებულია ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე ფართობები, რომელიც 2100 ჰექტარიდან 25 ჰექტარამდე შემცირდა, ხოლო, რაც დარჩა, ისიც ბედის ანაბარადაა მიტოვებული. შედეგად ამისა, 7 წელია, ქვეყანაში არ გაშენებულა არცერთი ჰექტარი ახალი ვენახის ფართობი.

არ დაადგა საშველი, რომ მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას გაითვალისწინოს პირველ და მომავალ წელს სათანადო ფულადი სახსრები 15-20 ათასი ტონა ყურძნის შესყიდვისათვის, რომლის გადამუშავებისა და რეალიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები, ამუშავდება გამოკეტილი საწარმოები, დასაქმდება მუშა-ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და გაუმჯობესდება მათი ეკონომიკური მდგომარეობა, შემცირდება უმუშევრობა.

1998წ. ყურძნის შესასყიდად იტალიიდან შემოტანილი ჰუმანიტარული მარცვლეულის რეალიზაციის ამონაგები თანხიდან გამოიყო 1 მილიონამდე ლარი. ყურძნის ნაცვლად შესყიდული იქნა 600 ათასი ლარის ღირებულების ღვინომასალა, ხოლო 400 ათასი ლარი სად წავიდა, ჩვენთვის უცნობია.

მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსწორდება, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ვენახი, ხილი, ჩაი), რომლებიც ქვეყნის ძირითადი შემოსავლების წყარო და მამოძრავებელი ძალაა, მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო სტრუქტურაში იქნება მოქცეული, განსაკუთრებით კი ვაზის სახელმწიფო სანერგე მეურნეობები. დღეს მათი სახელმწიფოს ხელში და მევენახეობის ინსტიტუტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებობა უფრო უპრიანია, ვიდრე მათი დღევანდელ დაქსაქსულ და განადგურებულ მდგომარეობაში დარჩენა.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების პროგნოზები. ამ საქმეში შემდეგი მაჩვენებლები გვაქვს: 1993 წელს უნდა დამზადებულიყო 365 ათასი ტონა. ფაქტიურად გადამუშავდა 71 ათასი ტონა, შესაბამისად, 1994 წელს — 160 ათასი და 13 ათასი, 1995 წელს — 100 ათასი და 38 ათასი, 1996 წელს — 120 ათასი და 60 ათასი, 1997 წელს — 100 ათასი და 46 ათასი, ხოლო 1998 წელს — 80 ათასი და 23 ათასი ტონა.



რაიონების მიხედვით კი ბოლო ორი წლის მონაცემებით შემდეგ სურათს გვაძლევს: საგარეჯოს რაიონში 1997 წელს გადამუშავდა 600 ტონა, ნაცვლად 300 ათასი ტონისა, შესაბამისად სიღნაღის რაიონში — 2540 ტონა და 7000 ტონა, ახმეტაში — 739 ტონა და 2000 ტონა, გურჯაანში — 9600 ტონა და 16000 ტონა, ლაგოდეხში — 950 ტონა და 2000 ტონა, კასპში — 0 და 200 ტონა, ხაშურში — 0 და 200 ტონა, მცხეთაში — 85 ტონა და 100 ტონა, ზესტაფონში — 580 ტონა და 3500 ტონა, თერჯოლაში — 2400 ტონა და 2800 ტონა, საჩხერეში — 0 და 900 ტონა, ვანში — 535 ტონა და 1100 ტონა, დედოფლისწყაროში — 0 და 500 ტონა, ხოლო არამევენახეობის რაიონებიდან გადამუშავებული არ არის არცერთი კილოგრამი ყურძენი. ანალოგიური მდგომარეობაა 1998 წელსაც, როცა გადამუშავდა მხოლოდ 23 ათასი ტონა და ისიც უცხოელების მიერ იქნა შესყიდული.

ერთი მიზეზია, ადგილებზე „ხელმძღვანელების" ზერელე დამოკიდებულება და უკონტროლობა. არც ცენტრიდან ინუხებს თავს ვინმე. თვალში საცემია, რომ რაიონებიდან ქვეყნის პარლამენტში წარმოდგენილი დეპუტატები თავს კარგად გრძნობენ, ისინი იმით „ეხმარებიან" რაიონებს, რომ ადგილებზე თუ რამე დარჩა სარეალიზაციო, სწრაფად „აგვარებენ" ამ საქმეს ბიუჯეტის შევსებისათვის, შემდეგ კი ქრებიან.

მოუთმენელია ქართლის რაიონებში შამპანური ვენახების მდგომარეობა. ეს რეგიონი გასულ წლებში ქვეყნის 70% საშამპანურე ღვინომასალებს იძლეოდა. მისი წარმოება 23 მილიონი ბოთლის ზღვარს სცილდებოდა. აქ, 1992 წელს 16 ათასი ჰექტარი საშამპანურე ჯიშის ვენახის ფართი ირიცხებოდა, დღეისათვის კი იგი 4 ათას ჰექტრამდე შემცირდა და ისიც მოუვლელობით მთლიანად დაკნინდა. დღეისათვის მთლიანად შეწყვეტილია საშამპანურე ღვინოების წარმოება და არც მომავლისათვის უფიქრია ვინმეს. ეს კი მხარის განადგურებაა და დანაშაულის ტოლფასია (ანალოგიურია მდგომარეობა იმერეთის ზონის საშამპანურე რაიონებშიც).

დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია სიცოცხლის ხელმეორედ ჩასახვა, თითქმის უსიცოცხლო პირობებში, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. შამპანურის მრეწველობის აღდგენა-განვითარება უპირველესი ამოცანაა რეგიონისათვის და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისათვის. სხვა დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, დარგისადმი არაკვალიფიციურობას, უუნარობას და წინასწარ გამიზნულ ღალატს ნიშნავს. ვაზი ტრადიციულად ერისა და ქვეყნის ფიზიკური სიძლიერისა და სულიერი სიმტკიცის წყარო, ჩვენი ტკივილი და იმედი იყო და არის. ჩვენს ქვეყანას კულტურული მევენახეობისა და მეღვინეობის ისეთი მდიდარი ტრადიციები და გამოცდილება გააჩნია და ეს დარგები ისეთია, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში იგი თავსაც შეინახავს და ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის დასაყრდენიც იქნება.

სწორედ ეხლა სჭირდება ქვეყანას, რომელიც დაადგა დემოკრატიული ქვეყნის აშენების აღმართს, — სწორედ ეხლაა საჭირო მდინარის დინების წინააღმდეგო სვლა, რომ უსწრაფესად აღიკვეთოს და გამოსწორდეს გასული წლების მწარე შეცდომები. ამით ქართული მევენახეობა და მეღვინეობა თავისი მომავალი თაობებით ნათელ გზაზე მყარად ივლის სალოცავი ტაძრისკენ.

**ო. ჩხატარაშვილი**
**დეპარტამენტ „სამტრესტი"-ს თავმჯდომარის მოადგილე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. დასაწყისი «საქართველო №7



შალვა ქოლიაური

# წარსულის გახსენება

### ბოლოთქმა

წარმოებაში მუშაობის რიტმი მოიშალა — პატიმართა მეტი წილი განთავისუფლების მოლოდინში იყო და მუშაობის გული აღარავის ჰქონდა, დანარჩენები კი, ვისზეც ამნისტია არ ვრცელდებოდა, გაბოროტებულნი ველარ უდებდნენ გულს სამუშაოს.

ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათების შედეგად, მეოთხე „პოდკამანდიროვკიდან" დაბრუნდა ჩემი ყოფილი ბრიგადირი, ივანე ლიხაშერსტოვი, რომელიც ადმინისტრაციული წესრიგის უხეშად დარღვევისათვის იყო იქ გამწესებული, მაგრამ ჩემთვის უფრო მეტად სასიხარულო იყო ის ამბავი, რომ მეორე „პადკამანდიროვკიდან" აქ გადმოიყვანეს ვანო საინაშვილი, რომლის რჩევა-დარიგებამაც ასე სასიკეთოდ გარდამქმნა.

ამნისტიის გამოცხადების შემდეგ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ჩემი ბრიგადა დაშალეს და მის მაგიერ ჩამოაყალიბეს ახალი ბრიგადა, რომელსაც ნასხეპი ტოტების შეგროვება და დაწვა ევალებოდა, ბრიგადის შემადგენლობაში ხუთასამდე კაცი იყო, მაგრამ სულ ისეთი ხალხი, ვისაც 99% ეხებოდა განთავისუფლება ამნისტიის საფუძველზე, მათ შორის ვიყავი მეც.

„საბძელი რომ გეწვებოდეს, ხელები მაინც მოითბე"-ო, ამბობს ქართული ანდაზა. ჩვენი ლაგერის უფროსობაც ამავე თვალსაზრისით ცდილობდა, რომ თუნდაც კაპიკის საქმე გვეკეთებინა, ოღონდ უმუშევრად არ ვყოფილიყავით. ძალზე იოლი სამუშაო იყო, თანაც სულ თავისუფლად დავხეტიალობდით. ხუთას კაცს ორი ბადრაგი დაგვყვებოდა და არც ისინი გვაქცევდნენ წესიერად ყურადღებას იმიტომ, რომ იმ ბრიგადაში სულ გასანთავისუფლებელი ხალხი ვიყავით, ვინ გიჟი გაიქცეოდა. ამავე დროს მოგვიჩინეს ზედამხედველები თუ სხვა ოფიციალური პირნი, რომელნიც სამუშაოდან ზონაში დაბრუნებულ პატიმრებს ჩამოგვისხდებოდნენ და ტვინს გვიხვრეტდნენ დატაფლული ენით, სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, განთავისუფლების შემდეგ დავრჩენილიყავით აქ ხე-ტყეზე სამუშაოდ, რისთვისაც ძალზე ხელსაყრელ პირობებს აღგვითქვამდნენ.

ასე მაგალითად: განთავისუფლების შემდეგ ერთთვიანი შვებულება უფასო ბილეთით, სახელმწიფო სესხი ბინის მშენებლობისათვის, საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრების გადაყვანა იმ ადგილას, უფასო მგზავრობით და ბევრი სხვა რამე, სიკეთე. აქა-იქ კიდევაც გამოჩნდნენ დარჩენის მსურველნი, ის კი არადა, თვითონ ლიხაშერსტოვსაც შეუჩნდა ცდუნების ჭია და მეც შემომთავაზა, დავრჩენილიყავით სამი წლის ვადით (ხელშეკრულება ასე ფორმდებოდა) და მანქანის საყიდელი ფული მოგვეგროვებინა, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი.

ერთ საღამოს ნარებზე წამოწოლილნი, მე და ლიხაშერსტოვი ვსაუბრობდით, რომ ადმინისტრაციის შიკრიკი წამოგვადგა თავზე და წარმოების უფროსი გიბარებთ ორივესო, გვითხრა. გულმა რეჩხი გვიყო, არ გვესიამოვნა, მაგრამ მაინც გავყევით, შევედით წარმოების უფროსთან, სალამზე სალამით გვიპასუხა და დაჯდომაც შემოგვთავაზა, მერე ჯერ ივანეს გაუბა საუბარი: ამნისტია დროზე შეგეშველა, თორემ რეჟიმის ციხეში ექვს თვეს გაძლება ძალიან გაგიჭირდებოდაო, მერე მე შემომხედა და სახლში წასვლა ხომ არ გეჩქარებაო, — შემეკითხა ღიმილით. გაღიმებული.

— ბევრიც რომ მეჩქარებოდეს, მე რა შემიძლია-მეთქი, — ვუპასუხე. უფროსი სკამიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, მერე ჩვენსკენ შემობრუნდა და ასე დაიწყო: ახალგაზრდებო, მე კარგად ვიცი, რომ ახლა მთელი გულისყური იქით გაქვთ მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეთ სამოქალაქო ცხოვრებას. მე ძალიან კარგად გიცნობთ ორივეს, ძალზე კარგი, სერიოზული ახალგაზრდები ხართ და სრულიად შემთხვევით ხართ მოხვედრილნი პატიმრობაში. რა თქმა უნდა, მალე იხილავთ თავისუფლებას, ერთადერთი თქვენი დაყოვნების მიზეზი ის არის, რომ პატიმართა განთავისუფლება ანბანის მიხედვით მიმდინარეობს და ჯერჯერობით ორივეს მოცდა მოგიწევთ გარკვეული დროის მანძილზე. ამიტომაც ჩვენ, ხელმძღვანელობა იმ აზრისანი ვართ, რომ თქვენ ორივენი დროებით აგიყვანოთ ბრიგადირებად, იმ ბრიგადებში, რომელთა ხალხიც უნდა განთავისუფლდნენ.

წარმოების უფროსის წინადადებას ცივი უარით ვუპასუხე — ასე მეგონა, თუ კიდევ ბრიგადირად დავიწყებდი მუშაობას, განთავისუფლების ვადას გამიგრძელებდნენ.

უფროსი უმალ დარწმუნდა, რომ ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ახლა ივანეს მიუბრუნდა დატაფლული სიტყვებით, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ივანემ დასტური მისცა ბრიგადირობაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ გათავისუფლების გადავადება არ მომხდარიყო. ასე დამთავრდა აუდიენცია, დავემშვიდობეთ უფროსს და გარეთ გამოვედით.

მე კვლავ ივანეს ბრიგადაში დავრჩი, დილით გავიდოდით სამუშაო ადგილას, რომელიც კარგა შემაღლებულ ადგილს წარმოადგენდა, მის ძირას კი დავაკებაზე გაწოლილიყო რკინიგზის ლიანდაგი. ამ ლიანდაგზე (დღეში ერთხელ) ყოველ დილით, დადიოდა ხუთვაგონიანი მატარებელი ე.წ. „ტეპლუშკა".

როგორც კი სამუშაო ადგილზე მივიდოდით და ხალხი სამუშაოდ გაიშლებოდა, ლიხაშერსტოვი ამოარჩევდა ორ მაღალ კუნძს (ისე, რომ ერთი მეორესთან ახლოს ყოფილიყვნენ) ერთზე თვითონ ჩამოჯდებოდა, მეორეზე მე დამსვამდა, — აქედან უფრო კარგად გამოჩნდება „ტეპლუშკა"-ო, რომლის დანახვაც ათასგვარ საფიქრალს გაგვიჩენდა. ვისხედით და ვოცნებობდით, როდის დადგებოდა ის დრო, რომ ამ „ტეპლუშკით" გავსულიყავით ტაიგიდან თავისუფლების სამყაროში.

ასეთი განცდებით გაიარა დრომ ცამეტ აპრილამდე, თოთხმეტი რიცხვი, ჩემი დაბადების დღე გახლდათ, ამიტომ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ ერთი ბოთლი თვითნახადი არაყი სადმე გვეშოვა, რათა ეს დღე რაღაცით აღგვენიშნა. ბადრაგს მოველაპარაკეთ, დავითანხმეთ არყის შემოტანაში, ის დღე (13) ჩვეულებრივ გავატარეთ, ხან ვმუშაობდით, ხან ანეგდოტებს ვყვებოდით, საღამოს კი გავუყევით გზას ლაგერისაკენ. ბარაკში მისულებმა კარტოფილის პიურეთი ვივახშმეთ, ზედ ჩაიც დავაყოლეთ, მერე ნარებზე წამოწოლილებმა გავაბით საუბარი, ვინ როგორ მოვიქცეოდით განთავისუფლების შემთხვევაში.

ამ ლაპარაკში ვიყავით გართული, რომ ბარაკის კარი გაიღო და მაჩალკინი შემოვიდა. მისი შემოსვლისათვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, ის კი დამიზნებულივით პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, საწოლზე წამოწოლილს ფეხში მტაცა ხელი და ისე ღონივრად დამქაჩა, რომ ნარიდან ძირს, იატაკზე გადმომაგდო: აქ რას ნებივრობ და გარეთ რა ხდება, იმას არ კითხულობო.

ერთი ვიფიქრე, ჭკუაზე ხომ არ შეიშალა-მეთქი და გაგულისებულმა მკერდში ისე ღონივრად ვკარი ხელი, რომ მთელი ტანით მეზობელ საწოლს მიასკდა და იდაყვზე იტაცა ხელი: — მომკლა ამ ოხერმა, მართლა მხეცი ხარ და მეტი არაფერი, ამით მიხდი სიკეთეს, შე უპატრონოვ, მკითხე მაინც, რა საქმეზე ვარ მოსული. — წამოიძახა მან.

მისმა ნათქვამმა დამაბნია და გამოშტერებულივით მივაცქერდი, იმის კითხვაც ველარ მოვახერხე, თუ რა საქმეზე იყო მოსული ჩემთან.

— რა საქმეა მისთანა, ნიკალაი, — გაისმა ივანეს ხმა, — მე ის ვიცი, რომ ჩვენი შალვა ალექსანდროვიჩი ხვალ თოთხმეტ აპრილს 24 წლის სრულდება, ე.ი. მისი დაბადების დღეა, მაგაზე კიდევაც ვიზრუნეთ, ხვალ არაყს შემოგვიტანენ და პატარა რაღაცით აღვნიშნავთ ამ თარიღს.

— სწორი ხარ, ივან ალექსეიჩ, — დაიწყო მაჩალკინმა, — ხვალ შალიკოს დაბადების დღეა, მაგრამ არა ისე, როგორც შენ ფიქრობ, არამედ მისი მეორედ დაბადების დღე, ხვალ ჩვენი შალვო გარეთ გადის, ახლახან სპეცნაწილში ვიყავი და სია გადმომცეს „სუხობეზვოდნიდან", იმ ხალხისა, ვინც ხვალ უნდა გაუშვან, სულ 17 კაცია, მათ შორის ჩვენი შალვო რიგით მეთოთხმეტეა. ასე რომ, ხვალ იგი თავის დაბადების დღეს გარეთ შეხვდება, სულ ბედნიერ გზაზე ატაროს ღმერთმა, თუმცა ცუდად გადამიხადა მადლობა, მაგრამ არა უშავს, მიპატიებია...

კიდევ რაღაცას ამბობდა, მაგრამ მე უკვე აღარ მესმოდა მისი ალარაფერი. ძალიან გულით მინდა გავიხსენო ყოველივე, თუმცა ამაოდ, რადგან ნორმალური მდგომარეობიდან კარგა ხნით გავითიშე. ისე კი, როგორც ბიჭებმა მითხრეს, ზედმეტი განცდით კინაღამ გავსულელებულვარ. ბოლოს გარეთ გამოვუყვანივარ ლიხაშერსტოვს და მაჩალკინს, გრილ ნიავზე გონზე მოვედი, მაგრამ ისე სუსტად ვიგრძენი თავი, რომ ბიჭებს ვთხოვე, ხელი არ გაეშვათ ჩემთვის და როგორმე სპეცნაწილში წავეყვანე, ასეც მოიქცნენ.

სპეცნაწილის შესასვლელთან ხალხმრავლობა იყო, ზოგი შედიოდა და ზოგი გამოდიოდა, რაღა თქმა უნდა, აუცილებელი საქმის გამო.

ივანემ და ნიკალამ პატარა „თავხედობა" გამოიჩინეს, რიგგარეშე შევიდნენ კაბინეტებში და მეც შემიყოლეს თან.

სპეცნაწილის უფროსმა გაგვიღიმა, მერე ივანეს და ნიკალას ასე მიმართა: — მოხვედით ხომ, არწივებო, მაგრამ ხვალიდან რაღას იზამთ, ეგ თქვენი შალვა ალექსანდროვიჩი რომ გაგექცევათ? ეს თქვა, ზე წამოდგა და ხელისჩამორთმევით მომილოცა თავისუფლება, ე.ი. აწ უკვე ახდენილი, ნანატრი ოცნება (ოდესღაც), მერე გასანთავისუფლებელი ხალხის სია გადმოიღო და ჩვიდმეტ კაცში რიგით მართლაც მეთოთხმეტე ვიყავი, საოცარი დამთხვევა გახლდათ: დაბადების რიცხვი თოთხმეტი აპრილი, განთავისუფლების რიცხვიც თოთხმეტი აპრილი, ასევე სიის მიხედვითაც რიგით მეთოთხმეტე აღმოვჩნდი. ეს ამბავი ბიჭებმა იქვე განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქციეს, რაღა თქმა უნდა, სასიკეთოდ ხსნიდნენ და ბედნიერებას მიწინასწარმეტყველებდნენ, თანაც გულთბილად მილოცავდნენ განთავისუფლებასაც და დაბადების დღესაც.

დაბნეულმა ყველას მადლობა გადავუხადე, მერე ვიკითხე, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. როდესაც ყველაფერში გავერკვიე, ავიღე შემოვლის ფურცელი, იმ საღამოსვე ჩავაბარე ლოგინი და სხვა რაღაცეები, რაც კი რამ მერიცხებოდა, შემოვლის ფურცელზე ყველას მოვაწერინე ხელი, ვინც საჭირო იყვნენ, მათი წესისამებრ, ამის შემდეგ საკუჭნაოდან ჩემოდანი გამოვიტანე და გულის ჩქროლით დაველოდე გათენებას. იმ ღამეს გვიან ხნობამდის ვისხედით და ლაპარაკში დროც შეუმჩნევლად გაილია.

ბევრი მეხვეწა ივანე, მის საწოლზე წამოვწოლილიყავი და ცოტა მაინც დამეძინა, მაგრამ ვერ დამიყოლია, ჯერ ერთი, სხვის ლოგინში ვერ ვწვები, მეორეც, ეს ერთი ღამე გინდაც ლურსმნებზე მწოლარე გავძლებდი. შიშველ ნარზე ივანეს ბუშლატი მივიფინე და ასე წამოვწექი თვალის მოსატყუებლად.

დილით სექციაში ყველას ეძინა, მე რომ ავდექი. ხელ-პირი დავიბანე, დაუთოებული სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავიცვი, ფეხთ ქრომის ახალი ჩექმები მოვირგე და ბარაკიდან გარეთ გამოვედი. შიგნით გული აღარ მიდგებოდა, არა მჯეროდა, თუ ნამდვილად ვთავისუფლდებოდი. ხომ შეიძლება კომენდანტის ლაგერიდან უკანვე დამაბრუნონ-მეთქი.

ივანესაც გაღვიძებოდა, საწოლზე რომ ველარ ვუნახივარ, დაფეთებულა, ხომ არ წავიდაო, გარეთ გამოსულმა დამინახა, კეთილად გამიღიმა. ბარაკის კიბე ჩამოირბინა, მეგობრულად გადამეხვია, გადამკოცნა, განთავისუფლებაც და დაბადების დღეც ორივე გულმხურვალედ მომილოცა. ისიც მითხრა: — დღეს უშენოდ გადავკრავო „სამაგონკას", შენს სადღეგრძელოს, დაბადების დღის და განთავისუფლებისასო. ამასობაში ქართველი ბიჭებიც მოვიდნენ ჩემს გაცილებაზე, მათ შორის იყო ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი ძია ვანოც.

სამუშაოზე ხალხის გაყვანა დაიწყო, ჩემოდნით ხელში მეც გავედი ვახტაზე, ივანემ „ნარიადნიკს" სთხოვა, მისი ბრიგადა ჩემი გამგზავრების შემდეგ გაეყვანათ სამუშაოდ, მის შემდეგ გვერდიდან აღარ მომცილებია. თავისი ახალი კოვერკოტის კარტუზიც მაჩუქა.

ჩემთან ერთად თავისუფლდებოდა ერთი ქართველი ახალგაზრდა, მიშა ცხოვრებაძე, რომელიც წარმოშობით კაჭრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთიდან იყო. ეს მეორე „ბოდკამანდიროვკიდან" გადმოიყვანეს. მას ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა და ერთი ხელი კოსტუმი და ერთი პერანგი მივეცი. ივანეს ჩემი მისამართი ჩავაწერინე, ვუთხარი, რომ განთავისუფლების შემთხვევაში წერილით დამკავშირებოდა.

აჰა, ღმერთო, ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთიც. ზონის მორიგე ოფიცერი ზედამხედველებთან და „ნარიადნიკთან" ერთად ვახტის წინ გამოდგნენ და წასასვლელი ხალხი (17 კაცი) გამოგვიძახეს. გულთბილად გადავკოცნე ჩემი გამცილებელი ყველა ქართველი და მათ შორის ივანე ლიხაშერსტოვიც და ნიკალა მაჩალკინიც, ვინც ასეთი მეგობრობა გამიწია სამშობლოდან მოწყვეტილს ტაიგაში. ყველას მალე განთავისუფლება ვუსურვე და ვახტის სამორიგეოში შევედი. აქ სათანადო საბუთებით შეგვამოწმეს. ბარგი გაგვიჩხრიკეს, მერე ერთ-ერთი ოფიცერი ჩვენი პირადი საქმეებით ხელში წინ გაგვიძღვა ბადრაგის გარეშე სადგურ „ლაპშანგისკენ", სადაც მალე ჩამოდგა „ტეპლუშკა". 17-ვენი გამყოლ ოფიცერთან ერთად ერთ ვაგონში მოვთავსდით. (აქ ერთი რამე გამომრჩა სათქმელი, კერძოდ, იქვე, განთავისუფლებამდე გამოგვიცხადეს, რომ პირად ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას სადგურ "სუხობეზვოდნში" საკომენდატო ლაგერში მივიღებდით). კაცმა უნდა სიმართლე თქვას, ყველაფერი მეუცხოვებოდა ვაგონში, ისე ვიყავი სამოქალაქო ცხოვრებას გადაჩვეული. ცხადია, ასევე იყვნენ სხვა პატიმრებიც.

ადამიანს მგზავრობა ათასგვარ საფიქრალს აღუძრავს ხოლმე, რატომღაც ჩუმა გამახსენდა. სულით ამაყი, მაგრამ ბედით უბედური ჩეჩენი, მასაც რომ შესწრებოდა ეს ამნისტია, ეგებ სიცოცხლეს მაინც შეუნარჩუნებდნენ. მერე კი, ... მერე ვინ იცის რა მოხდებოდა, თუმცა, ალბათ, ასეთი იყო მისი უკუღმართი ბედისწერა და ასეც მოხდა.

მე და მიშა ცხოვრებაძე აქედანვე შევთანხმდით, არც ერთი წუთით არ მოვცილებულიყავით ერთმანეთს. გზაც ერთი გვქონდა თბილისამდე, ისედაც კარგი ახალგაზრდა იყო, ისიც სამხედრო სამსახურიდან ჩავარდნილა პატიმრობაში და აქა-იქ ჯანჯლარში ბოლოს ჩვენს ლაგერში ამოჰყო თავი.

მატარებელში მსხდომნი (პატიმრები) ათასგვარ გეგმებს ვაწყობდით, თუ როგორ ჩავიდოდით ოჯახებში, ან როგორ შეგვხვდებოდნენ ოჯახის წევრები, ვლაპარაკობდით იმაზეც, თუ როგორ ავაწყობდით ჩვენს მომავალ ცხოვრებას და სხვა. „ტეპლუშკა" კი მიხრიგინებდა რკინის ლიანდაგზე და ჟამიდან ჟამზე კივილით შეახსენებდა თავს ტაიგის უსასრულო სივრცეებს, აფხიზლებდა მის უძრავ მდუმარებას. თითქოს ჩქარი სვლითაც მიჰქროდა, მაგრამ ჩვენი ფიქრები მაინც წინ უსწრებდა მის სვლას და ნეტარი ოცნების წყალობით უკვე საკუთარ ოჯახებში ვგრძნობდით თავს, თუმცა, იქამდე ჯერ კიდევ შორი გზა გვქონდა გასავლელი.

დღის თორმეტ საათზე ჩავედით სადგურ სუხობეზვოდნიში, აქ კი იმდენი ხალხი შეკრებილიყო სხვადასხვა ლაგერებიდან მოსული, რომ არამც თუ ბარაკებში, სხვენზეც კი აღარ იყო ადგილი, რათა კაცი სადმე მიწოლილიყო და მცირე ხნით ძილისათვის მიეცა თავი. ლაგერი მეტისმეტად გადატვირთული იყო, არ ხერხდებოდა განთავისუფლებული პატიმრებისათვის საბუთების დროულად გაცემა, ზოგის პირადი საქმეები კი, დაკარგულიყო. ასეთებს შორის აღმოვჩნდით მე და ცხოვრებაძეც. რა გვექნა, არ ვიცოდით. ბოლოს გამოცდილი და ჭკვიანი ხალხის რჩევით დავწერეთ განცხადება და სასწრაფოდ მოსკოვში ვაფრინეთ. რის შედეგადაც საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩამოვიდა კომისია, შეისწავლა დოკუმენტები და, ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ ორსამ დღეში ყველას გაგვიშვებდნენ იმ შემთხვევაში, თუ დავთანხმდებოდით უპასპორტოდ წასვლას უბრალო ცნობების ანაბარა, პასპორტებს ამ ცნობების საფუძველზედ თქვენს საცხოვრებელ ადგილზე აიღებთო.

დიდზე დიდი იყო აქედან გასვლის სურვილი და ყველამ ერთხმად თანხმობა განვაცხადეთ. იმ დღესვე გადაგვიღეს სურათები, მერე კი ანგარიშსწორებაზე ბუღალტერიას მივაკითხეთ, მაშინდელი ფულით 4900 მანეთამდე მქონდა ჩარიცხული პირად ანგარიშზე. უწყისებში ხელი მოვაწერე და ფულიც მომცეს (ცხოვრებაძეს არაფერი არ ერიცხებოდა, ამიტომ ჩემს იმედზე უნდა ყოფილიყო საქართველომდე). აქვე მოგვცეს მგზავრობის ბილეთები, სადაც მითითებული იყო ჩვენი სარკინიგზო მარშრუტის უკანასკნელი წერტილი. იქვე აღნიშნული იყო, თუ რომელი რიცხვისთვის უნდა დაგვემთავრებინა მგზავრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბილეთი ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა.

იმ დღეს მე და ცხოვრებაძემ ერთი ბოთლი რუსული არაყი ვიშოვეთ და გადავკარით (ზედმეტი ბარგი შემნახველ საკანში გვქონდა მიბარებული), სასმელმა საშინლად მომთენთა. მიშას ვუთხარი, მე დავიძინებ, შენ კი ფხიზლად იყავი-მეთქი, ავედი მაღლა, სხვენში, სადაც ისედაც ბლომად იყო მიძინებული ხალხი, ვიპოვე თავისუფალი ადგილი და მივწექი დასაძინებლად. მიშამ მონიშნა ჩემი საძინებელი ადგილი და წავიდა.

/გაგრძელება იქნება/

## წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან



ლეო რუხაძე

*ქართული ისტორიოგრაფია არა ერთხელ შეეხო 1924 წლის აჯანყებას. არსებობს მკვლევართა და მეცნიერთა სხვადასხვა აზრი ამ აჯანყების შესახებ. გარკვეული ჯგუფი ისტორიკოსებისა თვლის, რომ ეს აჯანყება საქართველოსათვის თავსმოხვეული ავანტიურა იყო, რადგან წინასწარ იყო ცნობილი მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის დამკომის ყველა მოქმედება, აჯანყების დაწყების გეგმა და სხვა. ხოლო ზოგი ჯგუფი თვლის, რომ ეს აჯანყება საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობისათვის იყო მიმართული.*

*ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო პერიოდში დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ფაქტისადმი დაინტერესებამ. მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით ისტორიკოსებისათვის, ცნობილია ამ აჯანყების შესახებ, მაგრამ ფართო მკითხველისათვის უცნობია მომხდარის შესახებ, ამიტომ ჩვენ მოკლედ ვიტყვით ამის შესახებ.*

*1924 წლის აჯანყება დაიწყო 28 აგვისტოს, ჭიათურის აჯანყებით, 29 აგვისტოს აჯანყება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიშალა, მაგრამ მიუხედავად აჯანყების მასობრივი გავრცელებისა, იგი საბოლოოდ 4 სექტემბერს იქნა ლიკვიდირებული, რის შემდეგ დაიწყო ბოლშევიკური ახალი ტერორი.*

*აჯანყების დამარცხება გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: ჯერ ერთი, რომ დამკომის (დამოუკიდებელი კომიტეტი) საქმიანობა წინასწარ იყო ცნობილი ბოლშევიკური რეჟიმისათვის, რის შედეგადაც აჯანყებამდე მათი მოთავეები იქნა დაპატიმრებული, მეორეც, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების არაერთსულოვნება; მენშევიკები ეჭვის თვალით უყურებდნენ თავადაზნაურული ინტელიგენციის მონაწილეობას ეროვნულ მოძრაობაში, რაც ხელს უშლიდა მთლიანი ფრონტის შექმნას. მესამე, ქართულმა ემიგრაციამ ვერ მოახერხა ევროპის ქვეყნებისაგან სათანადო დახმარების მიღება, რაშიც იგულისხმება პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, მეოთხე, აჯანყება არ იყო სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული, მეხუთე, აჯანყებულებმა ვერ შეაფასეს დამპყრობლის ძალა.*

*მეტად საინტერესოა 1924 წლის აჯანყების შესახებ ცნობა ლეო რუხაძის დღიურებიდან. ლეო რუხაძე იყო სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ერთ-ერთი წევრი. როგორც თვითონ აღნიშნავს, ის თავს თვლიდა გრ. ლორთქიფანიძის შვილობილად. მას უწევდა სხვადასხვა დროს გადასახლებებში და საპატიმროებში ყოფნა. დღიურები დაწერილია რუსეთის, ვლადიმერის გუბერნიის ქალაქ სუზდალის სამონასტრო საპყრობილეში ყოფნის დროს 1924-25 წლებში.*

*ეს დღიურები დღემდე შემონახულ იქნა ცნობილი პიროვნების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, სამხედრო და განათლების მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის ოჯახის მიერ. მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონ გრ. ლორთქიფანიძის მეუღლის, უკრაინელი ქალის, ქალბატონ ლუბა ტიმოთეს ასულ ავრამენკოს ღვაწლი ამ საქმეში, რადგან მან მძიმე პერიოდში სხვა საარქივო მასალებთან ერთად ეს დღიურები სათუთად შემოუნახა მომავალ თაობას. დიდ მადლობას ვუხდით ასევე მათ შვილებს, ქალბატონ დარეჯანს, ბატონებს თეიმურაზსა და ნოდარს ასეთი საისტორიო მასალის შენახვისათვის.*

*ეს დღიურები ჩვენ გაგვაცნო და გადმოგვცა გრ. ლორთქიფანიძის ვაჟიშვილმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ. დღიურები ქვეყნდება პირველად მცირეოდენი შემოკლებით და სტილის დაცვით.*

**გრიგოლ ზარქუა**

### 12 აგვისტო

„პრავდაში" დეპეშაა მოთავსებული: ტფილისში დაუპატიმრებიათ საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვალიკო ჯუღელი (ვალიკო ჯუღელი ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1924წ. 6 აგვისტოს ჩეკამ დააპატიმრა, რის შედეგადაც დახვრიტეს. ის ემიგრაციიდან (პარიზიდან) 1924 წლის მაისში ჩამოვიდა). ამ ამბავმა ჩვენ თავზარი დაგვცა. ამ ცნობით გავიგეთ, მისი ჩამოსვლა. იჭვებით ვართ სავსე, ნეტავ რა აზრი და მიზანი ჰქონდა ეხლა მის ჩამოსვლას.

### 17 აგვისტო, 1924 წელი

დღეს ჩვენს ციხეში ქორწინება იყო. ამას წინათ ჩვენს მეზობლად ნაცხოვრები ქალი და კაცი, რომელიც მოსკოვში ჰყავდათ საექიმოდ წაყვანილი, უკანვე დააბრუნეს და მოათავსეს 39 საკანში. მასთანვე გადაიყვანეს მემარჯვენე ესერი ბულიაევი, რომელიც ზამთარში მის მეზობელ საკანში ცხოვრობდა და კედლის კაკუნით გაცნობიან ერთმანეთს. ამ ნაცნობობის შედეგად მივიღეთ ეს შეუღლება. საერთოდ რუსეთის ციხეებში ეხლა ხშირია თხოვება-გათხოვება. ჩვენს ციხეში ხუთი ცოლქმარი ცხოვრობს. ორს ვგონებ ეტაპში მოუნახავთ ცოლები. ხშირია ისიც, რომ ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანის დროს ცოლქმარნი იყრებიან და სხვაგან და სხვასთან ისევ ულლდებიან. რა გაეწყობა, რუსულ-კომუნისტური „ახალი ბიტია". რაღაც უცხო, რამოდენიმედ ველური და მიუკარებელია ასეთი მოვლენები ჩვენთვის. როდესაც ვაკვირდები ჩვენს აქაურ ცხოვრებას და რუს პოლიტიკურებს, ხშირად ვფიქრობ: „რაოდენ ზღვარია ჩვენს შორის". არსებითად ხომ ეს მართლაც ასეა, რადგან ისინი პოლიტიკურებია, ჩვენ კი სამხედრო ტყვეები, დაპყრობილ საქართველოდან მძევლებად წამოსხმული რუსების მიერ, მაგრამ გარდა ამისა არის კიდევ რაღაც, რომელიც ჩვენ გვანსხვავებს. ალბათ, ეს არის ჩვენი ნაციონალური თვისება, ჩვენი ქართული ხასიათი. წარმოსადგენია განა ასეთი პირველყოფილი მოვლენა: ქალს არ იცნობდე, არც ის გიცნობდეს, თვალით არ გენახოს და ცოლად კი შეირთო. არც ის იცოდე, ვინ არის, სადაური, როგორი, ვისი რა საქმის!.. ის ხალხი, რომელიც ასეთ რამეებზე ფიქრობს და პატიმრობისას შესძლებს ამის შესრულებას, მე არ შემიძლია გავიგო. ჩვენი წუხილია სხვა წუხილი, ჩვენი ოცნება სხვა ოცნებაა, რა გაფიქრებს აქ კერძოზე და ისევ ისეთ სიმახინჯემდი მისულ კერძოზე, როდესაც ფიქრები არ გასვენებენ და რუსეთის ციხეებში ორი წლის დაუსრულებელი დღეების განმავლობაში ერთხელაც კი არ გიგრძვნია, რომ შენ რუსეთში ხარ და შენი სამშობლო შორს არის. არა ... ჩვენთვის, ქართველებისთვის მართლაც უცხოა ყველაფერი ეს...

### 19 აგვისტო

ციხის ცხოვრებაში არევ-დარევა მოხდა. მემარჯვენე ესერებმა დღეს შიმშილი გამოაცხადეს. შიმშილის მიზეზად ასახელებენ: „ჩვენის ცნობებით, ვგონებ, სუზდალის ციხის საავადმყოფოში მოყვანილნი არიან ხუთი ესერი. ვფიქრობთ, რომ ისინი შიმშილობენ, მოითხოვენ სხვა ამხანაგებთან შეერთებას, ამის გამო თანაგრძნობისათვის ჩვენც ვაცხადებთ შიმშილსო". დანარჩენ პატიმრებში ამან დიდი განხეთქილება გამოიწვია. ციხე დადგა ფაქტის წინაშე და არც აქვს სარწმუნო ცნობები მართლა არიან მოყვანილი ასეთი ესერები და მართლა შიმშილობენ თუ არა. ეს დანამდვილებით არც მემარჯვენე ესერებმა იციან. ციხის ადმინისტრაცია ფიცავს, რომ არავინაც არ შიმშილობსო. ქართველების პოზიცია ამ საკითხში გარკვეული იყო. ჩვენ განვაცხადეთ: „შიმშილი ჩვენს პირობებში სიკვდილს ნიშნავს, გაუგებარი და უცოდინარი საქმისთვის ჩვენ არ ვიშიმშილებთ, თანაც არაამხანაგობა და არაკოლეგიალობაა, როცა ერთი ნაწილი პატიმრებისა ფაქტის წინაშე გვაყენებს". მე კი ამხანაგებს ასე განვუცხადე: „ყველამაც რომ იშიმშილოთ ამ სასაცილო მოთხოვნილებისთვის, მე ამას არ ვიზამ. რუსეთში თავს არ მოვიკლავ რუსული საქმისთვის, თუნდა ამას რუსეთელ ამხანაგების ინტერესებიც მოითხოვდეს. მე წამოყვანილი ვარ საქართველოდან საქართველოსთვის. თუ თავს მოვიკლავ, მოვიკლავ მხოლოდ საქართველოსთვის. სამი დღე იშიმშილეს ესერებმა. აღმოჩნდა, რომ მათი მოთხოვნილება ჰაერის რხევა იყო. საავადმყოფოში თურმე არავინაც არ შიმშილობდა. არ არის კარგი სერიოზულ მოღვაწეთათვის ასეთი მასხარაობამდი მისული თამაში.

### 21 აგვისტო

დღეს ვასილიევის ცოლმა მოიტანა ამბავი, რომ ანდრო და უშანგი გაუშვესო. დანამდვილებით კი ვერაფერი გავიგეთ, სად გაუშვეს, როდის, და სად გაგზავნეს. ნახეს თუ არა ცოლები და რა შემოგვითვალეს ჩვენ. ახ, რა გლახა ამხანაგობაა, როცა იცი ამხანაგები ცნობას მოელიან, მოუთმენლად უცდიან შეპირებულ და შენ, ციხიდან გამოსული, ციხის კარებშივე ივიწყებ დაპირებულს, ამხანაგურად ნათქვამ პატიოსან სიტყვას! აბა, რა უჭირდათ გარკვევით შემოეთვალათ ორიოდე სიტყვა მაინც, რომ ჩვენ დავწყნარებულიყავით!..

დღეს მივიღე სამტრედიიდან 10 მანეთი. გადმომცეს მხოლოდ ფული, არავითარი წერილი არ მიმიღია. მე კი წერილი მერჩივნა ამ ფულსა. ოთხი თვეა ერთი განაწერიც არ მღირსებია. ხან რას ვფიქრობ და ხან რას. მთელი ჩემი სული და გული სოფელშია და ჩვენებთან. ჩემი დაჟინებით მომიტანეს ფულის კუპონი, რამოდენიმე სტრიქონია ზედ. მიგზავნის ვანო. მწერს, რომ წერილებს ჩვეულებრივად მწერს, მე კი დიდი ხანია აღარ ვღებულობ. ამ რამოდენიმე სტრიქონში იწერება, რომ მამა იყო ავად, მაგრამ ეხლა უკეთ არისო. ამ უკანასკნელი წლების უბედურ ტრიალში ორი და მომიკვდა. არც ერთი არ მინახავს. ვინ იცის, ვინ დამხვდება, ან ვნახავ კი როდისმე სოფელს და ჩემს შინაურებს? ან ვნახავ კი მეგობრებს, ჩემს მეგობრებს? ახ, რუსეთო, არასოდეს არ მეზიზღებოდი ისე, როგორც დღეს მეზიზღები მე შენ. გულგრილობა შენდამი მე ანი აღარ შემიძლია. მე მხოლოდ ზიზღი და გაბოროტებული სიძულვილი შემიძლია შენი. მე მხოლოდ გესლი მაქვს შენთვის. მაგრამ ვაი, რომ უძლური ვარ, სუსტი ვარ, პატარა ერის შვილი ვარ, მაგრამ სიძულვილი მაინც შემიძლია, ღრმა და დიდი სიძულვილი და ამას არ მოგაკლებ შენ, ამ შხამს მუდამ ვიშოვნი შენთვის ჩემი სამშობლოს ამკლებო და ამპარტახებელო' რუსეთო...

### 22 აგვისტო

ქართულ „კომუნისტში" ხელმეორედ მოუწოდებენ ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრები ციხეებში მყოფ და არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს ხელი აიღონ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკაზე და დადგნენ საბჭოთა ნიადაგზე. ძნელია აქედან თქმა იმისი, თუ რამ აიძულა ეს ამხანაგები ხელმეორედ მოწოდებისათვის. იქნებ ისინი ციხეში იყვნენ? მაგრამ ეტყობა, რომ ომის განახლების ტაქტიკა გრძელდება საქართველოში, ამის ნიშანია ვალიკოს ჩამოსვლაც. მაგრამ ნეტავ ვიცოდე, რა პერსპექტივა, რა იმედები აქვთ ამხანაგებს, ნუთუ ამ ორ უკანასკნელ წლებში დიდად განადგურებულ საქართველოს შესწევს რაიმე საგრძნობი ძალა, რომ განახლებული ომი მოიგოს? აქედან შეხედვით, საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამის ოდნავი იმედიც არ უნდა იყოს. ამ განცხადებამ მე შემაეჭვა. ავტორების გულწრფელობაში ეჭვი არ შემიძლია შევიტანო, ისინი არ უღალატებენ საქართველოს და არც პარტიას, ეს ღალატი მათგან შეუძლებელია. ერთია მხოლოდ, იქნებ ეხლაც ჩეკაში იძულებული გახდნენ ასეთი განცხადებით გამოსულიყვნენ.

### 23 აგვისტო

ლონდონის მოკავშირეთა კონფერენცია დასრულდა. გერმანიის საკითხი ასე თუ ისე მოგვარდა. ევროპა შედის მშვიდობიან ცხოვრებაში. ცხადია, ეს მშვიდობიანობა თავის გავლენას იქონიებს რუსეთზე, იქნებ ამას მოყვეს ახალი ცნობები და საქართველო, ალბათ, საბოლოოდ ამ პერიოდში მოხვდება საბჭოთა კავშირში. არც საფრანგეთი შეიტკენს ჩვენს შესახებ თავს, იქნებ სთქვან სიტყვა, მაგრამ მარტო სიტყვა... საქმედ ჩვენი საკითხი არ გადაიქცევა. საშინელია საქართველოსათვის ეს ხვედრი: განადგურებული, აპარტახებული რუსეთის, თვით საკოლონიო რუსეთის კოლონიად უნდა დარჩეს საქართველო. ეს არის ჩვენი ერისთვის ათეულ წლებით უკან დახევა და მისი დაგლახაკება. ყველაზე უფრო ველურმა და პირველყოფილმა იმპერიალიზმა დაგვიჭირა ჩვენ და გვახრჩობს.

„კომუნისტში" თეზისებია „თანამედროვე მენშევიზმზე". უმთავრესად ეხება საქართველოს სოც. დემოკრატიას და შიშობს, რომ ამა თუ იმ გასაძრომს პოულობს მენშევიზმი საბჭოთა დაწესებულებებში და მუშათა კლასშიო. არ არის არც ერთი ისეთი გაზეთი, სადაც არ იწერებოდეს სოც. დემოკრატიის სიკვდილზე, მაგრამ არც ისეთი გაზეთია, სადაც არ იყვეს ნერვიულობა იმის შესახებ, რომ მენშევიზმი გასაძრომს პოულობსო. ნეტავ მართლა თუნდ ერთი ისეთი რეგვენი კომუნისტი თუ მოიპოვება, რომელიც ფიქრობს, რომ გარდა კომუნისტურ იდეოლოგიისა მოკვდება და ბუნებრივადაც უნდა მოკვდეს სხვა დანარჩენი ყოველგვარი მიმართულება? ან განა რუსული კომუნიზმი იმას არ ხედავს, რომ საქართველოში გარდა კომუნისტური უტოპიისა და ველურობისა, ის პირწმინდა მატარებელია ნამდვილი რუსული ნაციონალისტურ-შავრაზმული დიდმპყრობელობისა? არა მგონია, რომ დღეს თუნდ ერთი ვირი იყვეს ისეთი, რომელსაც ეს არ ესმოდეს. და მაშ, რად ჰგონიათ, რომ მარტო ძალმომრეობით შეიძლება საქართველოში ყოველგვარი მოძრაობის და მსოფლმხედველობის მოკვლა, განა მარქსისტს, როგორც თვითონ უწოდებენ დამპყრობელნი თავის თავს, შეუძლია წარმოადგინოს ასეთი ზღაპარი და რუსული „ჩუში"? მაგრამ ისტორიულ აუცილებლობას აბა ვინ გაექცევა. ცხოვრება კისერს მოსტეხს ეხლანდელ კერპებსაც. ტკივილები და დიდი მსხვერპლით, ადრე თუ გვიან საქართველო მაინც თავისუფალი იქნება. მეოცე საუკუნემდე მოვატანეთ სული და ეხლა ველარ შესძლებს თუნდ მრავალმილიონიანი რუსეთიც კი ჩვენს დაკვლას და თავის სხეულზე შეხორცებას.

პირდაპირ საზიზღარ კამპანიას ეწევიან ქართულ გაზეთებში და რუსულშიც ვალიკოს შესახებ. ასე წარმოიდგინეთ, დადგენილებებსაც კი მიმართავენ, კრებებზე გამოაქვთ გადაწყვეტილებები ვალიკოს სიკვდილით დასჯის შესახებ. ამაზე გათახსირება შეიძლება?!..



მარჯვნივ, სამხედრო ფორმაში ველიკო ჯუღელი

### 30 აგვისტო

ამ ბოლო დროს, ცოტა შეუძლოთაც ვარ. ისე ვარ გამხდარი, მგონია ქარი წამიღებს. ვგრძნობ, რომ ფუთამდე მაინც დავიკელი. თვალის ტკივილმაც გამიჭირა საქმე. ჩვენს ციხეში თვალის ტკივილი მაინც ჩვეულებრივია. დღეს ამის გამო მოსკოვიდან მოსულ ექიმს ვეჩვენე. ჩემთვის მოულოდნელად გული დამიწუნა, საგრძნობლად გაქვს დაზიანებულიო. გრიგოლიც იყო ჩემთან ერთად. მას სკლეროზი აწუხებს. გამოგვიწერა წამლები, მარა ჩემს გულს განა ეს წამლები მოარჩენს? ვიცი მთელი მქონდა გული და დარდმა, გარდაუვალმა სევდამ ის დასერა და შეარყია. რა წამალი დაედება მალამოთ იმ გულს, რომელსაც წვეტიან ისარივით სჩხვლეტს ყოველ დღე საქართველოდან მოსული საშინელი ამბები, მითუმეტეს, რუსული წამალი არ მოარჩენს ამ გულს. მას არც წამალი უნდა. მომეცით საქართველო და მის ცის ქვეშ მე გავმრთელდები, თქვენი წამალი კი რუსულ გაქვავებულ გულზე მიიდევით, იქნებ გაგათბოთ...

/გაგრძელება იქნება/

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთის ტრაგედია

### თვითმხილველის მოგონებები

# აფხაზეთი – დევნილთა მუდმივი ოცნება და მოუშუშებელი ტკივილი



მიმდინარე წლის 27 სექტემბერს ექვსი წელი სრულდება სოხუმის დაცემიდან. თოთხმეტი თვე იცავდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა მეომრებთან ერთად სოხუმს. მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა: 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ქალაქის დამცველთა შემართება თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სიმბოლო თავდადებისა და გმირობისა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. სოხუმის დაცემა აფხაზეთის დაკარგვის მომასწავებელი იყო და ამის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით დაეცა სამ დღეში გულრიფში, ოჩამჩირე, 30 სექტემბერს წინააღმდეგობის გაუწევლად მტერს გალიც ჩააბარეს. მომავალი თაობა ამას ჯეროვან შეფასებას მისცემს, ვინაიდან ადგილი ჰქონდა ღალატს. ლაპარაკობდნენ, თითქოს აფხაზები გალს ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ბოევიკებმა არც გალელები დაინდეს, ასობით სახლი გადაწვეს და ათასობით უდანაშაულო მოსახლეობა დახოცეს. ფაქტებით დადასტურდა, რომ ამაში დიდი წვლილი ისევ ქართველებმა შეიტანეს.

დღემდე ვერ გავაცნობიერეთ აზრი ქვეყნის ხსნისა, რაზეც გენიალური ვაჟა თავის დროზე ამბობდა: „ნუთუ ძალიან ძნელი გაგება უნდა აზრს ქვეყნის ხსნისა? არა, ბევრს კარგად ესმის, კარგად გრძნობს, მაგრამ ძალად თვალებს და გონებას იბრმავებს, სჭირს პარტიული სიჯიუტე“. შემდეგ დასძენს: „ჩვენ ერთმანეთის ლანძღვას მოუნდით და აზრი დაგვავიწყდა .. აზრი ქვეყნის ხსნისა“. და ბოლოს გვაფრთხილებს: „დაჰგმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა, რამაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას“. ვერა და ვერ გავაცნობიერეთ ჩვენი დიდი წინაპრის ეს შეგონება, რამაც დღევანდელ უბედურებამდე მიგვიყვანა. ამასთანავე მახსენდება ერის სულიერი მამის ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის შალვა ნუცუბიძის სიტყვები: „წინაპრის ტრაგედიაზე“ და „ილიას ნაიარევ შუბლზე“ ლაპარაკი მძიმე საქმეა, როგორც მძიმეა ის ცოდვა, რომელიც ქართველი ხალხის სინდისს აწევს“. ეს სიტყვები მთლიანად მიესადაგება საქართველოში დატრიალებულ უმძიმეს მოვლენათა არსს.

სეპარატიზმი აფხაზეთში წარმოიქმნა და გაღვივდა 50-იანი წლების მეორე ნახევარში და 60-იანი წლების დასაწყისში ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს. 1955 წლამდე აფხაზებს დამწერლობა ჰქონდათ ქართული ანბანით. აფხაზურ სკოლებში სწავლება და საქმის წარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. 1955 წლიდან დამწერლობის ქართული ანბანი შეცვალეს რუსული ანბანით. სწავლება აფხაზური სკოლების პირველ-მეოთხე კლასებში შემოიღეს აფხაზურ ენაზე, V-X კლასებში კი რუსულ ენაზე. სასწავლო სახელმძღვანელოებიც აფხაზური სკოლებისათვის შეიცვალა რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებით.

1963 წელს ნ. ხრუშჩოვის „რეფორმების“ დროს სოხუმისა და გულრიფშის რაიონი შეუერთდა ოჩამჩირის რაიონს. აქ უკვე გამოიკვეთა მთავრობის მიერ აფხაზი ეროვნების პრივილეგია, ვინაიდან სოხუმისა და გულრიფშის რაიონი ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული. ამ რაიონების ხელმძღვანელობა ქართველები იყვნენ, ოჩამჩირის რაიონში კი ძირითადად აფხაზი მოსახლეობა ცხოვრობდა და მისი ხელმძღვანელობაც აფხაზი ეროვნების იყვნენ, რის გამოც ამ გაერთიანებული რაიონების ხელმძღვანელებად დარჩნენ ოჩამჩირის რაიონის აფხაზი ხელმძღვანელობა. იმ დროს ვმუშაობდი სოხუმის რაიონის ზემო ბირცხის საშუალო სკოლის დირექტორად. ოჩამჩირის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ კ. ლაბახუამ (ეროვნებით აფხაზი) 1963 წლის ოქტომბერში გამომიძახა და დამავალა ამავე რაიონის სოფელ აგუბედიის საშუალო სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შემოწმება. მივედი აღნიშნულ სკოლაში. სკოლის დირექციას მოვთხოვე წარმოედგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია (ეს სკოლა იყო აფხაზური). მათ წარმომიდგინეს I-X კლასის რუსული ენაზე, XI კლასის ქართულ ენაზე. ამან გამაკვირვა და სკოლის დირექტორს ბორის ამიჩბას ვკითხე, I-X კლასებში სწავლება და საქმის წარმოება გაქვთ რუსულ ენაზე, XI კლასში, როგორ მოხდა, ქართულ ენაზე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ 1954 წლამდე ამ სკოლაში სწავლება იყო ქართულ ენაზე და საქმის წარმოებაც. 1954 წ. მთავრობის დადგენილებით (ნ. ხრუშჩოვის მმართველობის დროს) სკოლაში სწავლების ქართული ენა შეიცვალა აფხაზური და რუსული ენით. ამ დადგენილების თანახმად იმ წელს პირველი კლასი მივიღეთ სწავლების აფხაზურ და რუსულ ენაზე. ეხლანდელი XI კლასი მაშინ (1954 წ.) იყო ქართულ ენაზე სწავლების მეორე კლასი. გასულ სასწავლო წელს გვყავდა ქართულ ენაზე სწავლების X-XI კლასები, წელს ეს XI კლასიც, რომელიც ქართულ ენაზე სწავლობს, დაამთავრებს და მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა იქნება აფხაზურ-რუსულ ენაზე სწავლებით. აღნიშნული ფაქტებიდან დასტურდება, რომ ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით უპირატესი უფლებები ეძლეოდა ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზ ეროვნებას, რამაც ხელი შეუწყო სეპარატიზმის წარმოშობას.

1954 წელს ჩემი თანაკურსელი მეგობარი აკაკი ქობალავა, მცხოვრები აბაშის რაიონში, განათლების სამინისტრომ სამუშაოდ განაწილებით გაგზავნა ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, სადაც მხოლოდ სამი პედაგოგი იყო ქართველი, სკოლის დირექტორი და მთელი დანარჩენი პედკოლექტივი კი აფხაზები იყვნენ. როცა ვხვდებოდი მას, იმ სკოლაში მუშაობის ცხრა წლის განმავლობაში და ვეკითხებოდი დირექტორთა და პედკოლექტივთან დამოკიდებულების შესახებ, ყოველთვის კმაყოფილებას გამოთქვამდა მათთან ურთიერთობით, აფხაზების სტუმართმოყვარეობით. 1963 წ. ივნისში შევხვდი აფხაზეთის განათლების მინისტრის მისაღებში განცხადებით და მითხრა, უნდა გავინთავისუფლო თავი და წავიდე აფხაზეთიდან ჩემს რაიონში, უკვე აღარ ღირს იქ მუშაობა, წინათ სკოლის დირექტორთან და აფხაზ პედაგოგებთან კარგი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, ახლა კი ქედმაღლობა დაიწყეს და ჩვენი დამცირება. ამიტომ უკეთესია გავეცალო და წავიდეო. მართლაც იძულებული გახდა აღნიშნული მდგომარეობის გამო აფხაზეთიდან წასულიყო.

ნიკიტა ხრუშჩოვიდან დაიწყო აფხაზეთში ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის გამწვავება. ხრუშჩოვი აქეზებდა აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ და რუსეთთან შესაერთებლად. იგი ეცნობოდა და ხელს უწყობდა ლიხნის აფხაზთა კრიმინალური კრებების ოქმებს. უამრავი ისტორიული დოკუმენტია იმის დამადასტურებელი, როგორი გონებაჩლუნგი იყო ხრუშჩოვი.

**სერგო ლომიძე**
**სოხუმიდან დევნილი პედაგოგი**

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

## პროფესიონალები

# სილამაზე ხელოვნებაა



დღევანდელი ნომრის სტუმარია საინტერესო და ნატიფი გემოვნების ქალბატონი, სილამაზის სალონ „ოცნების“ გენერალური დირექტორი — **დარეჯან ბეჟუაშვილი**. იგი 30 წელიწადზე მეტია, რაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მოღვაწეობს. ვფიქრობ, მისი გემოვნება თავისებურად განსაზღვრავს ქალაქში სტილსა და მოდას, რომლის წყალობითაც ჩვენი ქალბატონები (ამ მძიმე ეკონომიკურ პერიოდშიც) მომხიბვლელად გამოიყურებიან. ეს კი, ალბათ, დამსახურებაა ჩვენი დღევანდელი გმირისა, რომელმაც წლების განმავლობაში სილამაზის სამსახურში გარს საუკეთესო სპეციალისტები შემოიკრიბა.

**დარეჯან ბეჟუაშვილი** — სპეციალობით ინჟინერ-ქიმიკოსია.

1979 წლიდან 1987 წლამდე სილამაზის სალონ „ოცნების“ დირექტორი. შემდეგ გაერთიანება „პრიმზის“ წარმოების უფროსი, ქიმწმენდის საქალაქო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, დირექტორი, ქალაქის მერიის განყოფილების უფროსის მოადგილე, სილამაზის სალონ „აისის“ პროექტის იდეის სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი.

მუშაობდა გაერთიანება-ტრესტ „ჰერმესის“ გენერალურ დირექტორად, სამშენებლო ტრესტში და სხვა.

სწორედ ქალბატონ დარეჯან ბეჟუაშვილის ინიციატივა იყო პირველი კერძო ფირმის — „რიტუალი“-ს დაარსება მომსახურების სფეროში იმ დროს, როცა ფეხი აიდგა დამოუკიდებელმა საქართველომ. ეს ძლიერი ფირმა დღესაც არსებობს.

ქალბატონი დარეჯანი „ოცნების“ კოლექტივმა, დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამო, უკან „გაიტაცა“. ობიექტი სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა, ამჟამად სალონ „ოცნების“ ხელმძღვანელი კვლავ ქალბატონი დარეჯანია.

### ზოდიაქო, ინტერესთა სფერო, პირადი ცხოვრება

ზოდიაქოს ნიშანი — კურო, საყვარელი კუთხე — იმერეთი, უყვარს შავი და იასამნისფერი. ხიბლავს ინტერიერის პომპეზურობა, მისი გემოვნება დახვეწილი და არისტოკრატიულია, მოსწონს იშვიათი, ძვირფასი ნივთები. ალიზიანებს „სოლომონ ისაკიჩისებური“ ფსიქოლოგიის უგემოვნო ადამიანები.

მას სტუმრად წასვლას მათი მიღება ურჩევნია. ჰყავს ბევრი მეგობარი: მსახიობები, ჟურნალისტები, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სპეციალისტები ... იგი საოცრად სადად და ბუნებრივად გამოიყურება. კარგად კერავს და ხშირად საკუთარი შეკერილი ტანსაცმლით დადის. ჰყავს მეუღლე — ლერი კიკნაძე, პროფესიით ჟურნალისტი.

იგი შესანიშნავი დიასახლისია, ამზადებს უგემრიელეს კერძებს, ნამცხვრებს... მისი საყვარელი შვილიშვილები გიორგი და მარიამი კი გემრიელად მიირთმევენ ...

ქალბატონი დარეჯანი მშვენიერი მოსაუბრე აღმოჩნდა.

მკითხველს ჩემი კითხვებით თავს არ შევაწყენ, შეძლებისდაგვარად ვეცდები გადმოგცეთ ჩვენი საუბრის შინაარსი.

### რა არის კოსმეტიკა?! მისი განვითარების საფეხურები

კოსმეტიკა არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პირველყოფილი ადამიანი საკმაოდ მოხატული სხეულით დადიოდა. ითვლებოდა, რაც უფრო მეტად იყო დახატული სხეული, იგი ნაკლებად დაემორჩილებოდა ავი სულების ბოროტ გავლენას.

სიტყვა „კოსმეტიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. „კოსმეო“ ნიშნავს მორთვას, გალამაზებას. თუმცა ძველ ბერძნებამდე კოსმეტიკა უკვე ძალიან განვითარებული იყო ძველ ეგვიპტეში.

### ისტორიული ნელსაცხებლები და სუნამოები

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში დიდი ყურადღება ეთმობოდა სუნამოებისა და ნელსაცხებლების დამზადება-გამოყენებას. ისინი სპეციალურ ნელსაცხებლებს იყენებდნენ სხეულისათვის, თმების მოსაცილებლად, დასახვევად და გასასწორებლად. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელის და ფეხის ფრჩხილების მოვლას. შემორჩენილია ქანდაკებები, რომელთა ხელის და ფეხის ფრჩხილები საოცარი სინატიფით არის შესრულებული. მათზე წასმულია მანიკიური, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და აქამდე ისე მოვიდა, ფერი არ დაუკარგავს. წარბების და წამწამების სალებავი კეთდებოდა დანაყილი ნახშირისა და სხვადასხვა რკინის ნარევისაგან, ხოლო ტუჩის საცხი კი — სპეციალური წითელი ფერის მოლუსკებისაგან, თმასაც ილებავდნენ და პარიკებსაც ხმარობდნენ. კოსმეტიკური საშუალებების ხმარების ფუფუნება მხოლოდ შეძლებულ არისტოკრატიას გააჩნდა.

არსებობს აზრი, რომ პირველი სუნამოები სპარსელებმა გამოიგონეს. რომაელი ისტორიკოსი პლინიუსი წერდა, რომ „სპარსი ქალები სრულიად უცხო ნაზი სურნელებით აბრუებდნენ კაცებს“. მამაკაცი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, საცოლისათვის მიეცა თანხა კოსმეტიკური საშუალებების შესაძენად, რომელშიც შედიოდა საპონი, პემზის ქვა, ვარდისფერი ზეთი სახისათვის და სხვადასხვა ნელსაცხებელი.

### ჰიგიენური და დეკორატიული კოსმეტიკა

რომაელები, აგრძელებდნენ რა ძველი ბერძნების ტრადიციას, სულ უფრო ავითარებდნენ და ხვეწდნენ კოსმეტიკურ საშუალებებს. სწორედ რომაელებთან არის დაკავშირებული ორნაირი კოსმეტიკის არსებობა — ჰიგიენურის და დეკორატიულის.

პირველის შემთხვევაში რომაელი ოსტატები ცდილობდნენ სხეულის მოვლით, სწორი კვებით, ცხოვრების წესის დაცვით შეენარჩუნებინათ „კლიენტებისათვის“ ბუნებრივი სილამაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — დაეფარათ ნაკლი.

### მიმართულება „როკოკო“ საფრანგეთი — სილამაზის აკადემიის ფუძემდებელი

მე-17 საუკუნიდან საფრანგეთი ელიტარულ ადგილს იკავებს კოსმეტიკის განვითარებაში. დამკვიდრდა მიმართულება „როკოკო“, ამ მიმართულებამ დიდი კვალი დააჩნია ხელოვნებას, ლიტერატურას, არქიტექტურას, ხოლო კოსმეტიკაში „როკოკოს“ გავლენა გამოიხატა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დეკორატიული საშუალებების ხმარებაში. ამ დროს მოდაში იყო, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში სახისა და თმის შეპუდვრა განსაკუთრებული თეთრი ფხვნილით, რომელიც არაჩვეულებრივ სითეთრეს ანიჭებდა ადამიანს. სახეზე ინებებდნენ ათასნაირი ფორმის სამშვენისებს, რომელთაც „სილამაზის ქორფლს“ უწოდებდნენ.

მე-18 საუკუნეში იტალიის ბევრ ქალაქში გაჩნდა ე. წ. „აფთიაქები“, სადაც იყიდებოდა ათასნაირი კოსმეტიკური საშუალებები, მათ „სილამაზის ბურთულებს“ უწოდებდნენ.

### კოსმეტიკა, როგორც მეცნიერება

მე-19 საუკუნეში პირველად იქნა შესწავლილი მეცნიერულად კოსმეტიკის საფუძვლები. მის განვითარებაში ჩაერია ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა — ფარმაკოლოგია, ბოტანიკა, ქიმია, ფიზიკა, ფიზიოლოგია, ბიოლოგია. შეიქმნა ისეთი დარგი მეცნიერებისა, როგორიცაა კოსმეტოლოგია.

მე-20 საუკუნეში კოსმეტოლოგია ძლიერ განვითარდა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ კოსმეტიკური პრეპარატი უნდა შეირჩეს სწორად და გემოვნებით, თუ არ გვინდა სასაცილოდ გამოვიყურებოდეთ. გაუფრთხილდით ბუნებრივ სილამაზეს, ენდეთ მხოლოდ პროფესიონალების რჩევებს, ისარგებლეთ მათი კვალიფიციური მომსახურებით.

### სილამაზის მსახურება — შემოქმედებითი შრომაა

როგორც ორი მხატვარი ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვაგვარად აღიქვამს და დაიტანს ტილოზე, ასევე ერთი და იგივე ოსტატი ერთ საქმეს სხვადასხვაგვარად აკეთებს. სილამაზის მსახურება ხელოვნებაა. ეს შემოქმედებაა.

ადრე, საბჭოთა ქვეყანაში, საპარიკმახერო-კოსმეტოლოგიური დარგის მუშაკთა კონკურსები ტარდებოდა. მიცემული ამოცანის შესრულების მიხედვით ენიჭებოდა პიროვნებას „ოსტატის“, „ოქროს ხელების ლაურეატის“, „უმაღლესი კატეგორიის ხელოსნის“ წოდებები. „ოცნებას“ ბევრი ასეთი ოსტატი ჰყავდა და დღესაც საკმაო რაოდენობით არიან ისინი შემორჩენილი — კოსმეტოლოგიის, საპარიკმახერო, მანიკიურისა და პედიკიურის დარგში. მათთან იზრდება ბევრი ახალგაზრდა და საკმაოდ სერიოზულად ეუფლებიან ამ კეთილშობილურ საქმეს, რაც გულწრფელად შეიძლება ითქვას, ამინდს ქმნის, მიუხედავად ჩვენი შეჭირვებული ყოფისა, დედაქალაქის მოსახლეობის ესთეტიკურად მოწესრიგებისა და გალამაზების საქმეში;

დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე კონკურსების

*გაგრძელება მე-13 გვერდზე*

# ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა დაუშვებელია

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, საქართველოში დაიწყო ხელისუფლების კრიზისი, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ორგანოში, კრიზისმა თავი იჩინა ენერგეტიკაშიც. ენერგეტიკა ქვეყნისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგს. ენერგეტიკაზე არის დამოკიდებული მრეწველობა და ქვეყნის განვითარება. ენერგეტიკა ქვეყნისათვის მომგებიანი დარგია და მას შეუძლია, როგორც თავისი თავის შენახვა ასევე ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური თანხის შეტანა, რაც ასე სჭირდება ჩვენს გაღატაკებულ ბიუჯეტს. მაგრამ ხელისუფლება ენერგეტიკის გეგმაზომიერ ნგრევას ეწევა და დარგს ხელოვნურად არარენტაბელურს ხდის. ამის შემდეგ კი, როგორც წამგებიანს, მის გაყიდვას ცდილობს. 1990 წლის შემდეგ ენერგეტიკაში არ ჩატარებულა კაპიტალური რემონტები. ენერგეტიკაში მომუშავე სპეციალისტები ვერ იღებენ წლობით ხელფასებს. ენერგეტიკა გამოიმუშავებს ელექტროენერგიას და მიაწვდის მომხმარებელს, მაგრამ თანხები, რომლებიც მომხმარებლიდან უნდა მოდიოდეს, საქენერგომდე ვერ აღწევს. ის სადღაც გზაში იკარგება. ე.ი. ხდება სახელმწიფო ქონების დატაცება, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოები, ვისაც ევალება სახელმწიფო ქონებისა და მისი ინტერესების დაცვა — უშიშროება, პროკურატურა, შსს, ამაზე არ რეაგირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის სახელმწიფო მაფია, სტრუქტურები კი მაფიის ხელში არიან. ხელისუფლება, რომელიც ენერგეტიკას ძარცვავს, მის გაყიდვაზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის დარგის ობიექტები, კერძოდ ელექტროსადგურები წარმოადგენენ ქვეყნისათვის სტრატეგიულ ობიექტებს და მომგებიანი არიან, ვინ იცის, არჩევნების შემდეგ თუ მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, ის დაიცავს ქვეყნის ინტერესებს და ქვეყნისათვის მომგებიან ობიექტებს არ გაყიდის, მაშინ მაფია სოლიდურ თანხას (ასობით მილიონ დოლარს) დაკარგავს. რამდენიმ დღის წინ საქენერგოში ჩატარდა ენერგეტიკოსთა ფორუმი, სადაც მოწვეულნი იყვნენ სათბობენერგეტიკის სამინისტრო, ქონების მართვის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები. ენერგეტიკოსების შეკითხვაზე, არის თუ არა თბილსრესი, ენგურჰესი და სხვა დიდი ჰესები ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები, ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ, პასუხი ვერ გასცა. ვერც ის თქვა, საქართველო ამ ობიექტების გაყიდვით მოიგებს თუ წააგებს. რას იზამ, როცა საქმე სავარძელს და თანამდებობას ეხება, ქვეყნის ინტერესები მეორეხარისხოვანი ხდება. მკითხველს კარგად ახსოვს 1992 წელი, როცა აფხაზეთში ომი არჩევნებამდე ორი თვით ადრე დაიწყო. მაშინ ვერავინ გაბედა იმის თქმა, რომ მოდით ჯერ არჩევნები ჩავატაროთ და შემდეგ პარლამენტმა გადაწყვიტოს შევიყვანოთ თუ არა ჯარი აფხაზეთშიო, რადგან არჩევნების წინ ამის თქმას შეიძლება ხმების დაკარგვა მოჰყოლოდა და დეპუტატის მანდატი დაეკარგათ. ახლაც იგივე მეორდება, სწორედ არჩევნების წინ, ორი თვით ადრე, აპირებენ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვას და ვერავინ ბედავს იმის თქმას, რომ ეს არ შეიძლება, რადგან მას ქვეყანაში პრივატიზაციის მოწინააღმდეგედ ჩათვლიან და შეიძლება არჩევნებში ხმები დაკარგოს. ხელისუფლებამ კარგად იცის ჩვენი სუსტი მხარეები, რომელსაც კარგად იყენებს, მაგრამ იმედია, ქართველი ხალხი გამოიჩენს წინდახედულებას და ქვეყანას მაფიას არ ჩაუგდებს ხელში, მაფიას, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყიდის ქვეყანას. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს, კარგად დაფიქრდნენ და ისე გააკეთონ სწორი არჩევანი, თუ გვინდა, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს. მკითხველს ვთავაზობთ პროფესიონალი ენერგეტიკოსების მიერ მოწოდებულ მონაცემებს და მათ აზრს ენერგეტიკის შესახებ. ასევე ენერგეტიკოსების განცხადებებს.

**ელგუჯა ჩხაიძე**

### საქენერგოს (გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია) რეალიზაციის ოპერატიული მაჩვენებლები 1999 წლის 6 თვის მიხედვით

| სფერო | დარიცხული ენერგია მილ. კვტ. სთ. | დარიცხული თანხა ათ. ლარი | შემოსული თანხა ათ. ლარი | ნაღდი ფულის ამოღება | დებიტორული დავალიანება 01.07.99წ. |
|---|---|---|---|---|---|
| რაიონები და მუნიციპალური კომპანიები (თელასის გარდა) | 1122,9 | 52635,4 | 19799,1 | 4580,9 | 175389,8 |
| პირდაპირი მომხმარებლები მსხვილი საწარმოები (თელასის ჩათვლით) | 1611,9 | 70083,0 | 45137,6 | 32228,5 | 177573,8 |
| სულ ჯამი: | 2810,6 | 127843,6 | 67549,3 | 36809,4 | 355476,2 |

### საქენერგოს (გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია) რეალიზაციის ოპერატიული მაჩვენებლები 1998 წლის მიხედვით

| | დარიცხული ენერგია მილ. კვტ. სთ. | დარიცხული თანხა ათ. ლარი | შემოსული თანხა ათ. ლარი ჩათვ. | ამოღება % | დებიტორული დავალიანება 01.01.99წ. |
|---|---|---|---|---|---|
| რაიონები და მუნიციპალური კომპანიები | 2117,2 | 76109,6 | 40264,5 | 52,9 | 135622,7 |
| პირდაპირი მომხმარებლები მსხვილი საწარმოები (თელასის ჩათვლით) | 3751,4 | 129745,7 | 84915,2 | 65,4 | 158275,7 |
| სულ ჯამი: | 5868,6 | 205855,3 | 125179,7 | 60,8 | 293898,4 |

## ტექნიკური მონაცემები

საქართველოს თბოსადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენს: საშუალოდ 1550 მეტ-ს, საპროექტო გამომუშავება 9,5 მილიარდ კილოვატ საათს. ძირითადი სადგურია გარდაბანსრესი, რომელმაც გამოიმუშავა 1981 წელს 7,8 მილიარდი კვტ. სთ. 1991 წელს 5,6 მილიარდი კვტ. სთ. 1998 წელს 1,6 მილიარდი კვტ. სთ.

შესაბამისად, 1 კვტ. ელექტროენერგიის თვითღირებულება ტარიფის მიხედვით შეადგენდა 1991 წელს 4,1 კაპიკს, 1997 წელს 5,2 თეთრს, 1999 წელს 7,9 თეთრს. ე.ი. გამომუშავებული ელექტროენერგია მცირდება და ტარიფი იზრდება. დღესდღეობით მუშა მდგომარეობაშია ორი ახალი მე-9 და მე-10 ბლოკი, რომელთაც 1998 წელს გამოიმუშავეს 982,5 მილიონი კვტ. სთ., ხოლო № 1-8 ძველმა ბლოკებმა გამოიმუშავეს 686,3 მილიონი კვტ. სთ. გარდაბანსრესი ბაზისური სადგურია და განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც საქართველოს მდინარეებში წყალი კლებულობს და ჰესები ვერ აკმაყოფილებენ ქვეყნის ენერგეტიკულ მოთხოვნებს.

1999 წლის 6 თვის მონაცემებით სრესმა გამოიმუშავა 1,2 მილიარდი კვტ. სთ., რაც ფულად თანხაში შეადგენს 72 მილიონ ლარს (6 თეთრის პირ-ში).

## ჰიდრო (ანუ წყლის) ელექტროსადგურების მონაცემები

ამჟამად, მომქმედი ჰესების დადგმული სიმძლავრე საშუალოდ შეადგენს 2651 მეგავატს და 8,5 მილიარდ კვტ. სთ. საშ. წლიური გამომუშავებით (იგულისხმება საპროექტო გამომუშავება).

1989 წელს გამომუშავებული იქნა 8,7 მილიარდი კვტ-სთ. 1992 წელს 6,5 მილიარდი კვტ. სთ. და 1998 წელს 6,3 მილიარდი კვტ. სთ. შესაბამისად, თვითღირებულება კვტ. სთ-ზე შეადგენდა 1989 წელს 0,3 კაპიკს, 1992 წელს 4,4 კ-ს, 1999 წელს 0,9 თეთრს.

მთლიანად 1999 წლის 6 თვის მონაცემებით ჰიდროსადგურებმა გამოიმუშავეს 2,7 მილიარდი კვტ. სთ., რაც გასაყიდი საბითუმო ტარიფის მიხედვით (6 თეთრზე) შეადგენს 162 მილიონ ლარს. სულ ჯამში ჰიდრო და თბოსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასური შეადგენს საშუალოდ 200 მილიონ ლარს.

სინამდვილეში ენერგეტიკას არ დაუბრუნდა ამ თანხის 10%-ც კი და ასე გრძელდება მთელი 9 წლის განმავლობაში. ყოველივე ამას კიდევ ერთი უბედურება დაემატა, რაც მომხმარებლისათვის ტარიფის 9 თეთრამდე გაზრდამ გამოიწვია. ჩვენ ვამბობთ, რომ ტარიფის ამ დონემდე გაზრდა არ შეესაბამება ქართველი ენერგეტიკოსების და მომხმარებლის ინტერესებს, პირიქით, ეს კეთდება უცხოელების დაკვეთით, კერძოდ: მათ მიერ გენერაციის ობიექტების (სრესისა და ჰესების) იოლად შესყიდვის შემდგომ მათ საკუთარი მოგების უდიდესი შესაძლებლობები უჩნდებათ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მავნებლურ ერის საწინააღმდეგო ქმედებას ვერცერთი უცხოელი ვერ შეძლებდა, რომ არა პარლამენტში და მთავრობაში მოქმედი დიდი ჩინოსნების დახმარება, რაც, სამწუხაროდ, ფაქტია და თუ დროზე არ შეჩერდნენ, საქართველოს მოსახლეობა მივა უმძიმეს შედეგებამდე. უფრო მეტიც, მომავალ თაობას არ უტოვებთ გასაჩივრების შანსსაც კი.

## ჩვენი თვალსაზრისი

იმის გამო, რომ დარგი განიცდის კრიზისს, რაც პირველ რიგში გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან არასწორი მიდგომით და არ აძლევს საქართველოს ენერგეტიკოსებს დამოუკიდებლად მართვის საშუალებას, ენერგოობიექტების გასხვისება მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით და პირობებით:

1. მიეცეთ უცხოელ მყიდველებს საკუთრებაში თბილსრესი (ვალების გათვალისწინებით) უფასოდ იმ პირობით, რომ მყიდველი საქართველოს ენერგოსისტემას ასევე უფასოდ მიაწვდის გამომუშავებული ელექტროენერგიის 50%-ს, რაც არ უნდა ჩამორჩებოდეს 2 მილიარდ კვტ. სთ-ს წელიწადში (სეზონური დეფიციტის მიხედვით).
2. მიეცეთ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გამანაწილებელი ქსელი საკუთრებაში შრომით კოლექტივებს და დაინტერესებულ პირებს იმ ანგარიშით, რომ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის სრული ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად.
3. ჰიდროსადგურების 25 წლით მართვის უფლებით გადაცემა ყველა შემთხვევაში წამგებიანია ქვეყნისათვის, ამიტომ თუ მთავრობა აუცილებლად ითხოვს ამ სადგურების გასხვისებას, მაშინ მიეცეთ შრომით კოლექტივებს და ასევე ქართველ მეწარმეებს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით ღირებულების 51% (გარდა შრომითი კოლექტივის კუთვნილი უფასო 10%-ისა).
4. ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია ერთი და იმავე მფლობელისათვის, გენერაციისა და განაწილების ობიექტების მიყიდვა ან მართვის უფლებით გადაცემა.
5. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა კერძო და სახელმწიფო მეწარმეს, სწორად გაიაზროს ენერგეტიკაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და აქტიურად იმოქმედონ ხელოვნურად შექმნილი კრიზისის დასაძლევად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მოკლე ხანში თითოეული ჩვენთაგანი ვიგრძნობთ მძიმე შედეგებს და აქედან გამომდინარე, ქვეყანა აღმოჩნდება ეკონომიურად კაბალურ პირობებში, რისი უფლებაც ჩვენ არა გვაქვს.

მუდმივმოქმედი ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარე: მ. ფირცხელანი

## ბუნებრივი აირის გამოყენების შემთხვევაში ელექტროენერგიის ეკონომიის მაჩვენებელი

1 6 $м^3$ ბუნებრივი აირის თბოუნარიანობა შეადგენს 8000 კკალ.

1 კვტ. გვაძლევს 860 კკალ ე.ი. 9,3 კვტ ტოლფასია 16 $м^3$ ბუნებრივი აირი.

ფულად თანხაში 8000 კკალორია რომ მივიღოთ

ელექტროენერგიის შემთხვევაში 9,3X9 თეთრზე = 83,7 თეთრი

ბუნებრივი აირის შემთხვევაში 16 $м^3$ ბუნებრივი აირი = 28,8 თეთრი

სხვაობა 83,7-28,8=54,9 თეთრი

ანუ საშუალოდ 3-ჯერ ნაკლები თანხა დაჯდება ბუნებრივი აირის გამოყენება კომუნალურ და საერთოდ, თბურ მეურნეობაში.

ალნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

1. ენერგეტიკის დარგი ღრმა კრიზისშია, რაც გამოიხატება:

ა) წარმოებული, გადაცემული და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით, რაშიც წვლილი მიუძღვის ყველა ზემდგომ ორგანოს, ვისაც ენერგეტიკასთან კავშირი აქვს. მუნიციპალურ კომპანიებს და ადგილობრივ გამგეობებს, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან მიღებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე. მსხვილი საწარმოების მფლობელებს, რომელთაც ხელოვნურად გაიაფებული ელექტროენერგიის ხარჯზე დიდი მოგება მიაქვთ თავისთვის და არა ბიუჯეტისათვის.

ბ) თბო და ჰიდრო სადგურებზე, გადაცემის ქვესადგურებზე და ელექტროგადამცემ ხაზებზე გეგმიური რემონტების ჩაუტარებლობა.

გ) თვეობით და ზოგიერთ საწარმოში წლობით გადაუხდელი ხელფასები, რაც უარყოფითად მოქმედებს დარგის სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებაზე.

2. პარლამენტმა და სამინისტრომ ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად, ნაცვლად იმისა, რომ აღმოეფხვრა ზემოთ აღნიშნული მიზეზები და დარგი ჩაეყენებინა ქვეყნის ეკონომიკის სამსახურში, გადაწყვიტა გაასხვისოს დარგის მთავარი ობიექტები, თბო და ჰიდროსადგურები, რაც როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელია. მიუხედავად ჩვენს მიერ მრავალგზის დოკუმენტალური მტკიცებისა, რომ დარგი მომგებიანია და მისი სხვის ხელში გადაცემა, მითუმეტეს, უცხოელებზე, ყოვლმხრივ ქვეყნისათვის საზარალოა, ზემდგომი ორგანოები ყურად არ იღებენ, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ხალხის ზურგს უკან ხდება საქართველოსთვის ყოვლად მიუღებელი გარიგება.

ვინ აგებს პასუხს?

ადმინისტრაცია (დირექტორები), სამინისტრო, პარლამენტი, პრეზიდენტი, რეფორმატორთა ჯგუფთან ერთად; სამწუხაროდ, ამდენი ავტორი რომ ჰყავს ამ საქმეს, იმიტომაც ეიოლებათ პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა ეს ფაქტი ვერ შეამცირებს მათ პასუხისმგებლობას.

მივმართავთ დაინტერესებული ქვეყნების საელჩოებს, თავი შეიკავონ საქართველოს ენერგეტიკული სიმძლავრეების შესყიდვისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ჩავთვლით თავს მოვალედ მომავალში, როცა მოვა პასუხისმგებელი მთავრობა და პარლამენტი, დავიცვათ მათი უფლებები.

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან ან ჯგუფთან გავმართოთ დისკუსია და ამის საფუძველზე შევთანხმდეთ ორივე მხარისათვის მისაღებ პირობებზე.

## მიმართვა ქართველ ერს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მომავალ თაობას

დღეს, 1999 წლის 3 აგვისტოს, საქართველოს ენერგეტიკოსები დარგში არსებული უკიდურესი მდგომარეობის გამო, კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ და მოგმართავთ თქვენ შემდეგს:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკოსებმა უდიდესი ძალისხმევის ფასად შეუნარჩუნეს ქვეყანას დღევანდლამდე დარგი. დღეს კი მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით მთავარი ენერგოობიექტები, ჰიდრო და თბოსადგურები გასასხვისებლად გაამზადეს ანუ ე.წ. ძალად თავს მოხვეული რეფორმები ძალაში შედის და საბოლოო განაჩენი გამოაქვთ, დარგის და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ჩვენს მიერ დოკუმენტალურად არაერთხელ იქნა დამტკიცებული, სხვადასხვა ინსტანციებში (პრეზიდენტთან, პარლამენტთან და სამინისტროებთან შეხვედრის დროს). ის ფაქტი, რომ ენერგეტიკა ქვეყნისათვის გაცილებით მომგებიანია, ვიდრე რომელიმე სხვა დარგი, ხოლო თუ გაიყიდება ან, როგორც ამბობენ, გადაეცემა უცხოელებს მართვის უფლებით 25 წლით, ამ შემთხვევაში მოსალოდნელია:

1. საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა;
2. ელექტროენერგიის ტარიფის კიდევ უფრო გაზრდა;
3. ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტის მოშლა;
4. სპეციალისტებისა და აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის უმუშევრობის გაზრდა;
5. პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის მიმართ უნდობლობის გაღვივება.

საქართველოს ენერგეტიკოსებს ისლა დაგვრჩენია, რომ თუ მთავრობა და კერძოდ, ქონების მართვის სამინისტრო არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებებს, მივმართავთ ჩვენს ხელთ არსებულ კანონიერ რადიკალურ ზომებს და თუ ამანაც ვერ მოგვცა შედეგი, მაშინ ვაყენებთ საკითხს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. დაე, ერმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი მომავალი.

ენერგეტიკის მუდმივმოქმედი კომისიის სახელით:

თავმჯდომარე

წევრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლენინისა და ჯუღაშვილის გასაკეთებელი დღევანდელმა ხელისუფლებამ პირნათლად განახორციელა"

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის ომის შვიდი წლისთავს.

პრესკონფერენცია, რა თქმა უნდა, დღევანდელი მთავრობის „ჯვარზე გაკვრით" დაიწყო. 700 მოშიმშილე, რომელთა რიცხვი, თურმე თანდათან იზრდება, მოითხოვს მთავრობის გადადგომას და ხელისუფლების აღდგენას.

ხონის კოლონიაში შიმშილობა დაუწყიათ პოლიტპატიმრებს: იორამაშვილს, მურთაზ ჯალალონიას, გელა ნანაძეს და ვალერი წყაროზიას. მათთვის ხონის კოლონიის ხელმძღვანელობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ამჟამად, ისინი იმყოფებიან ორთაჭალის ციხეში და პატიმრობის ვადა გაუგრძელეს 2-3 წლით. კერვალიშვილმა განაცხადა, თუ კვლავ გაგრძელდება საბჭოური მეთოდებით პოლიტპატიმრებზე ზეწოლა, მიმართავენ უკიდურეს ზომებს.

აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ის პრესკონფერენციის ძირითად თემას დაუბრუნდა და პრეზიდენტს დასდო ბრალი აფხაზეთის ომის პროვოცირებაში, რამაც რუსეთს მისცა შესაძლებლობა განეხორციელებინა თავისი ზრახვები. ამ ომში დაიღუპა 60 ათასი ადამიანი — თითქმის ქართული გენოფონდი. პასუხი უნდა აგოს არამარტო არძინბამ, არამედ შევარდნაძემ და სახელმწიფო საბჭოს ყოფილმა წევრებმა. სანამ შევარდნაძე იქნება სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ — აცხადებს გიორგი კერვალიშვილი და დასძენს, რომ ავადსახსენებელი ლენინისა და ჯუღაშვილის გასაკეთებელი, დღევანდელმა პრეზიდენტმა პირნათლად განახორციელაო.

14 აგვისტო, — საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ბიმურზა აფრასიძის თქმით — გაგრძელებაა „პესტელის კონსტიტუციისა, რომელიც XVIII საუკუნეში შეიმუშავეს რუსეთში და ითვალისწინებდა კავკასიის ერებს შორის მხოლოდ მორჩილი ოსებისა და სომხების დატოვებას საკუთარ ტერიტორიაზე.

აღნიშნულ მოვლენასთან მიმართებაში ბატონმა ბიმურზამ სასტიკად გააკრიტიკა თამაზ ნადარეიშვილი:

— ეს გადატრიალება მიმართული იყო მთელი კავკასიის წინააღმდეგ. თვითონ ნადარეიშვილი ამბობდა, რომ „აფხაზეთის საკითხში მე არასოდეს ვყოფილვარ თავისუფალი, ჩემს თავთან ყოველთვის ვილაცა იდგა". ე.ი. ყოველთვის ვილაცის დაკვეთას ასრულებდა.

აფრასიძე თავისებურ შეფასებას აძლევს შვიდი წლისწინანდელ მოვლენებს. თურმე შევარდნაძეს რუსეთისგან მიუღია აფხაზეთის ჩაბარების გეგმა. მას უნდა დაეპირისპირებინა კავკასიის ხალხები. საინფორმაციო ომიც მისი დავალებით წაგვიგია:

— იცით როდის? როცა მიიღეს 24-ე რეზოლუცია, სადაც სწერია, რომ ქართველები გენოციდს უწყობენ ეროვნულ უმცირესობებს.

აფრასიძემ არც კავკასიის ხალხთა შორის ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე, მამუკა არეშიძე დაინდო:

— არეშიძე გადაცემებში „საღამო მშვიდობისა" ხაზს უსვამდა, რომ ჩეჩნები ხოცავენ ქართველებსო. ამით ის ასრულებდა რუსეთის დავალებას — იქმნებოდა მტრის ხატი — ჩეჩნების სახით. დღესაც დევნილებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან აფხაზეთს ჩეჩნეთი ესაზღვრებაო. ეს იყო წარმოებული პროპაგანდის შედეგი.

მისი აზრით, ქართველები კავკასიაში ჟანდარმის როლს ასრულებენ, რაც ხელს უშლის კავკასიური სახლის მშენებლობას.

აღსანიშნავია, რომ აფრასიძემ აღიარა დაღესტნის სახელმწიფო, მართალია, დეიურედ, მაგრამ დეფაქტოდ მალე ვიხილავთო.

აფხაზეთის ომის შედეგებზე ისაუბრა აგრეთვე, „ჰუნდიდის" თავმჯდომარემ, სოხუმელმა, სერგი საჯაიამ. მისი ნათქვამიდან:

— ქართველი დევნილები არიან მსოფლიოში შესაფერი სამუშაო ძალა, სექსი და ნარკობიზნესის ხელმისაწვდომი ნედლეული, ეს არის მოსახლეობის პერმანენტული გენოციდის სასაქონლო ღირებულებად ქცეული კრებითობა ქუჩებსა და ბაზრებში, მეტროებსა და სადგურებში და ა.შ. ეს არის გადაგვარების პერსპექტივა"...

საჯაიამ შევარდნაძის კიდევ ერთი ცოდვა შეახსენა საზოგადოებას. კერძოდ, პრეზიდენტის გამონათქვამი, როცა ის სოხუმის დაცემისას იძლეოდა ვაჟკაცურ სიტყვას, რომ ქალაქიდან ცოცხალი არ გავიდოდა.

— ჩემი თვალით ვნახე, როგორ გადმოალაჯა შევარდნაძის მეთაურობით მისმა ამალამ და წითელმა პროფესურამ... ვიყოთ ფხიზლად, რადგან მომავალში უარესი გველის... — დაგვაიმედა ბატონმა სერგიმ.

საჯაია დარწმუნებულია, რომ სადაც კი რეციდივისტი, ქურდი თუ ყაჩაღი არსებობდა, სპეციალურად იქნა შერეკილი სვანეთში, სვანური ქუდებით თავდაბურულები, რომ უღელტეხილზე გადმომავალი დევნილები დაეყაჩაღათ. ამავე დროს, ტელევიზია იუწყებოდა, რომ ზუგდიდში მეგრელები აფხაზეთიდან გადმოსულებს ძარცვავენო. მისი აზრით, ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ მიზნობრივად, რათა შუღლი ჩამოეგდოთ საქართველოს რეგიონებს შორის.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, ავთანდილ კვეტენაძემ აფხაზეთის შემოერთების გეგმა ჩამოაყალიბა. ამისათვის საჭირო ყოფილა:

1. პოლიტიკური ნება, რომელიც შევარდნაძეს არ გააჩნია;

2. არძინბასთვის პოლიტიკური ინიციატივის წართმევა, რათა მან არ იხელმძღვანელოს 1925 წლის კონსტიტუციით, სადაც აფხაზეთი საქართველოს ფარგლებში არ ფიგურირებს;

3. საჭიროა ფინანსები, რომელიც ვალში მოცურავე ხელისუფლებას არ გააჩნია. საქართველოდან გატაცებული ყოფილა 5-8 მილიარდი დოლარის ქონება და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ავტომატურად გამოიწვევს ფინანსების უკან დაბრუნებას;

4. აუცილებელია კავკასიელ ხალხთა მხარდაჭერა;

5. ძლიერი ქართული არმია (აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ქართულ ჯარში არ მსახურობს არცერთი ჩინოვნიკის შვილი იმიტომ, რომ ისინი იდეოლოგიურად დამტაცებლები არიან და ლოგიკურად ვერც აფხაზეთს დაიბრუნებენ — აცხადებს ბატონი ავთანდილი);

6. საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვონ რუსეთის საჯარისო ნაწილებმა.

ამ ჩამონათვალს ლაიტმოტივად გაჰყვებოდა აზრი, რომ ვერცერთი პუნქტი ვერ შესრულდება მანამ, სანამ არ აღდგება კანონიერი ხელისუფლება.

**ირმა ურბეხაშვილი**

## პრესკონფერენცია

# „ვარდიკოს არმიასა და თევზაძის არმიას შორის არავითარი განსხვავება არ არის"

დამოუკიდებელ საქართველოს, ასევე დამოუკიდებელი და ეროვნული არმია სჭირდება, ოღონდ არმია არა მშიერი, ღარიბღატაკთა, ჩამოძონძილ ფორმიანთა გროვა, რომელსაც ათასი ინფექციური დაავადება ემუქრება, არამედ არმია შემდგარი ლაღი, აშოლტილი „ღიმილის ბიჭებისაგან", რომლებსაც სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობა ამოძრავებთ. მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, არმიაში გამეფებული ძალადობისა და განუკითხაობის შესახებ, რაც ნაწილობრივ, თუ არ ვიტყვით მთლიანად, შეესაბამება სინამდვილეს. აბა, რას უნდა მივაწეროთ ჯარისკაცთა შორის თვითმკვლელობათა, მოძალადეთა რიცხვის ზრდა, ნარკომანია, ეს ყველაფერი კი ჯარში გამეფებულმა უდისციპლინობამ გამოიწვია და შესაძლოა ოფიცერთა განათლებისა და აღზრდის დაბალმა დონემ და ზნეობრიობის დეფიციტმა.

ამას წინათ ნაციონალისტთა ლიდერმა, **ზაზა ვაშაყმაძემ** პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენცია საქართველოს არმიაში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა. ვაშაყმაძის განხილვის საგანი მე-11 ბრიგადა გახდა, რომელსაც წარსულში მეთაურობდა თევზაძე და იგი დაინიშნა ყარყარაშვილის უშუალო ჩარევის შემდეგ.

ნაციონალისტთა პარტია თვითონ სწვევია მე-11 ბრიგადას და თავისი თვალით უნახავს, თუ რა ხდება იქ. ვერ ვიტყვით, რომ ბრიგადას კაპანაძის მეთაურობით შემდგომ უკეთესობა დაეტყო, პირიქით. იგი ყველა თვალსაზრისით გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აქ ნულზეა დაყვანილი. გამრავლებული მღრღნელები პირდაპირ იერიშზე გადადიან და აქ არაერთ ვირთხისგან დაკბენილი ჯარისკაცი გამოვლინდა. კვება იმდენად უვარგისია, რომ ჯარისკაცებს სხვადასხვა ინფექციური დაავადება ემუქრებათ. სასმელი წყალიც კი არა აქვთ ადგილზე და იძულებული არიან 500 მეტრის სიშორედან (კოდიდან) მოიმარაგონ. ჯარისკაცებს ფორმაც კი არა აქვთ, დახეულ-დაძონძილები დადიან. მიღებული რუსული ფორმა კი ოფიცრებსაც არ ჰყოფნით, — აცხადებს ვაშაყმაძე. დიდ უხერხულობას ქმნის ის ფაქტი, რომ ტრანსპორტი არ დადის ნაწილამდე. ოფიცრებმა აპრილის თვის ხელფასი ახლახან აიღეს, დანარჩენ თვეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და საერთო ჯამში, 6 თვის ხელფასი საერთოდ არ მიუღიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამგვარ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფებს ცოლ-შვილი რა დღეში ეყოლებათ. მათ ხომ ჭამაც უნდათ და ჩაცმა-დახურვაც, რომ არაფერი ვთქვათ სხვა დანარჩენზე, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის.

იქნებ ეს ადამიანური ელემენტარული პირობების ნაკლებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ დაახლოებით ერთი თვის მანძილზე 500 კაცი დეზერტირად იქცა? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯარისკაცების სახლებში შვებულებით გაშვება ხდება ე.წ. გამოსასყიდის, ანუ ფულის საშუალებით. ნუ ვილაპარაკებთ აქ მაღალი მორალური თვისებების ნაკლებობაზე. ყველა ერთნაირი ნებისყოფის არ არის. შინ თუ ავადმყოფი ცოლი ან სნეული ბავშვი ჰყავს ოფიცერს, ხელფასი კი არ არის და არ არის, შესაძლოა იგი იძულებული გახდეს ამ გზას დაადგეს. იქნება მას, რა თქმა უნდა, გამართლება არცა აქვს, თუმცა „სხვა სხვის ომში ბრძენიაო" — ამბობენ, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეს ბრიგადა მთავარსარდლის პირადი რეზერვია და იგი მაგალითი უნდა იყოს სხვა დანარჩენი ბრიგადებისთვის, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქნება იქ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვაშაყმაძე ასკვნის — საქართველოს არმია არ ჰყავს.

ბრიგადას სანვავიც კი არა აქვს, ამიტომაც ავტობუსს ვერ იყენებენ დანიშნულებისამებრ. უნდა აღინიშნოს, დღეს თუ ავტობუსი აქვს ბრიგადას, ეს ახალი უფროსის დამსახურებაა, რაც მისასალმებელია, თუმცა სანვავის პრობლემა უეჭველად უნდა მოგვარდეს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დისციპლინა იმდენად მოიკოჭლებს ამ ბრიგადაში, რომ გაურკვეველ ვითარებაში შემთხვევითი გასროლისას დაღუპული გუშაგის ბუცხრიკიძის ამბავი არავის ედარდება, ამიტომაც პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. ეს ამბავი ხომ აშკარად მეტყველებს ბრიგადის უფროსობის ინერტულობასა და გულგრილობაზე.

აღნიშნულ ბრიგადასთან მიმართებაში ვაშაყმაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მოქალაქეთა კავშირს. მე-11 ბრიგადის ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი შაუმიანშია განლაგებული. საქმე იმაშია, ამა წლის 5 აგვისტოს, მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა წევრებს მოუნახულებიათ მე-11 არმია და მათთან ჩაიტანეს წინასაარჩევნო საჩუქრები: ბურთები, ტრუსები, რაც მათი თქმით, 900 დოლარი დაუჯდათ. ხომ არ აჯობებდა ეს თანხა მოხმარებოდა ისეთი ელემენტარული და აუცილებელი ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა სასიცოცხლო მოთხოვნილებების პრობლემები — სასმელი წყალი, შუქი, საკვები და ა.შ. როგორც გავიგეთ, შაუმიანში შუქი დღელამეში მხოლოდ 1-2 სთ-ის განმავლობაშია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ, რომ ნაწილს გარესამყაროსთან კავშირი გაწყვეტილი აქვს და იგი ყოველგვარ ინფორმაციას მოკლებულია. დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია!!!

წარმოვიდგინოთ, თბილისში საგანგებო ვითარებაა — საჭიროა და აუცილებელი დაკავშირება შაუმიანთან, მაგრამ ეს შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ ნაწილს ამის შესაძლებლობა არა აქვს ზემოთ დასახელებულის გამო.

ვაშაყმაძემ ერთი სამარცხვინო ფაქტიც გაიხსენა: გაიქურდა სასურსათო საწყობი და გაქურდვიდან რამდენიმე დღის შემდეგ დღისით-მზისით მოპარული „ტუშონკები" იყიდებოდა ნაწილის ტერიტორიაზე არსებულ კაფეში ნაწილისავე ოფიცრებზე. აქედან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? რა თქმა უნდა, იმისა, რომ ნაწილში არამცთუ მოიკოჭლებს დისციპლინა, არამედ საერთოდ, რა დისციპლინაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ძალოვანი სტრუქტურების თვალწინ ხდება ასეთი ამაზრზენი ფაქტი — პროდუქტების მოპარვა მაშინ, როდესაც ჯარისკაცებს გემრიელი საჭმელი ენატრებათ. იქნებ სწორედ ეს ფაქტი უწყობს ხელს ჯარისკაცთა რიგებში დეზერტირთა ზრდას?

ასეთ პირობებში მყოფი ჯარისკაცები კი ვერ იქნებიან ფიზიკურად, მორალურად თუ სულიერად ჩამოყალიბებულნი — მათ ჯანმრთელობას ხომ სხვადასხვა საშიში ინფექციური დაავადება ემუქრება, სულიერი გაუწონასწორობა, დამთავრებული თვითმკვლელობით, რომლის არაერთი ფაქტი ასახულა დღევანდელ პრესაში.

ვაშაყმაძე შეახსენებს დავით თევზაძეს, რომ იგი მე-11 ბრიგადიდან არის წამოსული მინისტრის პოსტზე, ამიტომ კეთილი ინებოს და სათანადო ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ ბრიგადას.

იგი თავისებურ შეფასებას აძლევს რუსების თვითმფრინავების მიერ ომალოს დაბომბვის ფაქტს. ვაშაყმაძე აკრიტიკებს არსებულ ხელისუფლებას იმის გამო, რომ უსუსური განცხადებების მეტი ვერაფერი დაუპირისპირა რუსი სამხედროების საქციელს.

— თუ დღეს ომალო დაბომბეს, შესაძლებელია, რომ ხვალ თბილისი და ქუთაისი დაბომბონ, — აცხადებს ნაციონალისტთა ლიდერი.

იგი აღშფოთებულია სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის უფროსის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ „საზღვრის დარღვევა მესაზღვრეებისაგან შევიტყვეთო". არ შეიძლება ჩვენს უსუსურობას და სიბეჩავეს სახალხოდ გავუსვათ ხაზი, თუნდაც იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ პასუხისმგებლობა. ვერავის ვერ ვაძლევთ სათანადო პასუხს.

სასაცილო, შემარცხვენელი უწოდა მან ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მიერ მოწყობილ გამოსვლას რუსეთის საელჩოს წინ. ვაშაყმაძემ გამოთქვა ვერსია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კვლავ განმეორდება საქართველოს სივრცის ასეთი ხერხით დარღვევა, შესაძლებელია გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, მოხდეს არჩევნების ჩაშლა ან გადადება, რადგან პრეზიდენტი გრძნობს აშკარა ჩაძირვას და ამ პროვოკაციაზე წავა.

ბატონმა ზაზამ ჟურნალისტებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ნაციონალისტური პარტია აწარმოებს მოლაპარაკებას ბათუმურ ალიანსთან, მათთან გაერთიანების მიზნით, და არცთუ ისე უშედეგოდ. 20 აგვისტოს საბოლოოდ გადაწყდება ნაციონალისტები შეემატებიან თუ არა ბათუმურ ალიანსს.

**ნატა ძურხული**

# რომელი ინფექციური დაავადება გვემუქრება

*უჩვეულოდ ცხელმა ზაფხულმა, ტელევიზით თუ პრესით გაკეთებულმა განცხადებებმა, და შარშანდელი ზაფხულის გახსენებამ, როცა მოდებული იყო ინფექციური დაავადებები, ხალხში შიში და პანიკა გამოიწვია. ბევრი სასმელ წყალს, სანამ არ გადაადუღებს, არ სვამს. შიში ხალხისა უსაფუძვლოა თუ არა, მივმართეთ სხვადასხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციაში შედის მოსახლეობის ინფექციური დაავადებებისაგან დაცვა.*

**საქალაქო ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გ. ძერაშვილი:**

— რაც პრესაში ქვეყნდება და ტელევიზიით გადმოიცემა, ჩვენი მასალით არ დასტურდება. ექსტრაორდინალური შემთხვევები არ არის. საკმაოდ სტაბილური სიტუაციაა. შარშან ამ დროს უფრო მეტი პრობლემები გვქონდა ამებიაზის აფეთქებასთან დაკავშირებით. ის, რაც ქვეყნდებოდა ლისისა და კუს ტბებთან და თბილისის ზღვასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად ბანაობა აიკრძალა, ჩვენი მასალით არ დასტურდება. ვინც ჩვენთან შემოდით, მათ იქ ყოფნის ანამნეზი არა აქვთ. თავისი წესის მიხედვით, ინფექციებს თავისი სეზონურობა აქვს. ახლა მაღალი უნდა იყოს ნაწლავური ინფექციები, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენი მონაცემებით ეს არ დასტურდება. ამ ნიშნით ჩვენთან შეიძლება იწვეს 25-30 ავადმყოფი, რაც ამ დროისათვის განსაკუთრებული არ არის. თუმცა, უნდა ითქვას, შარშანწინ მთელი წყნეთი და თბილისის შემოგარენი ნაწლავური ინფექციით იყო დაავადებული, მაგრამ ჩვენთვის არ მოუმართავთ. მატება და მოძალებაა ვირუსული ჰეპატიტით დაავადებულთა, რომელიც ქვეყნის პრობლემა იყო და არის.

ყველაზე ცუდია ის, რომ არის მალარიის შემთხვევები. ამ დღეებში ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში ორი ავადმყოფი გადავაგზავნეთ წნორიდან და მარნეულიდან.

ერთს ვიტყვი, და ეს ელემენტარულია, უბრალოდ, შევახსენებ მოსახლეობას: თუ პიროვნება დაავადებულია ინფექციური დაავადებით, ხელები ხშირად უნდა დაიბანოს და არა მხოლოდ ავადმყოფმა.

**ქალაქის სანიტარული ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი წულაძე:**

— ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, რომ მოსალოდნელია დაავადებათა აფეთქებები. რაიმე ასეთი აფეთქება თბილისში და საქართველოში არ არის და არც საშიშროებაა. სასმელ წყალზე კონტროლია დაწესებული. ირეცხება რეზერვუარები, საერთოდ, ზაფხულში წყლისმიერი ინფექციების საშიშროება არის, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში კონტროლირებადია ყველაფერი ჩვენსა და წყალკანალის მიერ. არის შემთხვევები, როცა ზიანდება წყალსადენი, სისტემები მოძველებულია. წყალი უნდა გაიწმინდოს, რომელსაც აკონტროლებს თბილწყალკანალიც და ჩვენი სამსახურიც. ტარდება ლაბორატორიული გამოკვლევები. ჯერ არ გვქონია შემთხვევა, რომ სადმე წყლისმიერი მასიური დაავადება ყოფილიყო თბილისში. საერთოდ, ზაფხული ისეთი პერიოდია, საშიშროება ყოველთვის არსებობს. მთავარია, პროფილაქტიკური ღონისძიება როგორ ტარდება. ამაში, პირველ რიგში, ვგულისხმობ დასუფთავებას. თბილისის მერიასთან ერთად გამოვაცხადეთ სანიტარული დასუფთავების ორთვიური, ტარდება რეიდები, გადის საცხოვრებელი ნაგავი. ორშაბათის თათბირზე ბატონი ვანო ზოდელავა ყოველთვის ინტერესდება ამ საკითხით.

პრობლემა გვქონდა ლისის ტბასთან დაკავშირებით, ქოლერის ვიბრიონზე იყო საუბარი, მაგრამ დაავადების შემთხვევები არ გვქონია. მაინც ავკრძალეთ იქ ბანაობა. თბილისის ზღვაზე კი არავითარი პრეტენზია არ გვქონია, იბანაოს ხალხმა!

**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ირაკლი თოფურია:**

— 1970 წლიდან ჩვენთან მოხდა მალარიის ლიკვიდაცია. ფაქტიურად, მალარიით დაავადებული არ გვყავდა აქამდე. პარაზიტმატარებლობა მოისპო. მალარიისთვის 3 ფაქტურაა ეპიდემიოლოგიურად: უნდა იყოს გადამტანი, პარაზიტმატარებელი და ჯანმრთელი ადამიანები. კოღომ უნდა უკბინოს დაავადებულ ადამიანს, მიიღოს მისი სისხლი, რომელშიც პარაზიტებია, უნდა უკბინოს ჯანმრთელ ადამიანს და შეიყვანოს პარაზიტები. ამ სამი რგოლიდან გამოითიშა მხოლოდ ის, რომ პარაზიტმატარებელი აღარ არის, დანარჩენი ეპიდემიოლოგიური ფაქტორები, რომელიც არსებობდა, დარჩა. დარჩა აგრეთვე წყლის ფაქტორიც. ამავე დროს არის გარედან შემოტანილი შემთხვევები.

29 წელი შევინარჩუნეთ ის, რომ მალარია არ ყოფილიყო, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა. შემოტანილი შემთხვევებიდან გაჩნდა ადგილობრივი შემთხვევები — გარდაბანში, მარნეულში, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. მოდიან ავადმყოფები. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, გავიდეთ და ეპიდემიური კერები შევისწავლოთ, არც ტრანსპორტი გვყავს და არც სახსრები. მალარიით დაავადებულთა რიცხვი კი თანდათან მატულობს და შეიძლება მთელ საქართველოს მოედოს. მათი რიცხვი 30-მდე ავიდა. სამზე მეტი ავადმყოფი რომ გაჩნდება, ის უკვე აფეთქებაა. ერთ მალარიან ადამიანს შეუძლია 300-მდე ჯანმრთელი ადამიანის დაავადება.

ავადმყოფის სიმპტომებს რაც შეეხება, დაიწყება შემცივნება ისე, რომ პაპანაქება სიცხეში შეიძლება საბნები დაიფაროს ავადმყოფმა, რამდენიმე საათის მერე შემცივნება გაივლის. არის სამი სახის მალარია: პირველი, რომელიც დღეგამოშვებით იწვევს ციებას, მეორე — ყოველდღე, მესამე — ორდღეგამოშვებით. არის ტროპიკული მალარია. რამდენიმე შეტევის შემდეგ ციებცხელება ჩაქრება. ერთ-ორი თვის მერე ახალი რეციდივები იწყება. არის გაზაფხულის რეციდივებიც. ერთი ავადმყოფი 3 წლის განმავლობაში არის დაავადებული. ამ ხნის განმავლობაში თუ არაფერი მოხდა, ის განკურნებულია. მალარიის სეზონი იწყება 1 ივნისსა და 1 ნოემბრამდე გრძელდება. მასთან ბრძოლის ხერხებს რაც შეეხება, ვერ მოვსპობთ კოღოს, როგორც ბიოლოგიურ ერთეულს და წყლის ფაქტორს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ დასახლებული ადგილებიდან 5 კმ-ის რადიუსზე წყალსატევებში არ იყოს მალარიის გადამტანი კოღო. ავადმყოფებს უნდა, რაც შეიძლება ჩქარა, გამოვლინება, რომ ჩავაქროთ კერა, მივცეთ პროფილაქტიკურად წამლები, რომ ხელმეორედ არ განმეორდეს. ყველაფერ ამისათვის თანხებია საჭირო, რომელიც არა გვაქვს. კი მიიღეს სპეციალური პროგრამა, მაგრამ დაფინანსების გარეშე ცარიელი ხელებით ვერაფერს გავაკეთებთ.

**ამირტა ჯანაშია**

# პრესის ქმედითობის «საპანაშვიდო მუსიკა»



მოხდა ისე, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა.წ. პირველი ივნისიდან გამოქვეყნებულ ჩემს წერილებს (რუბრიკით „ჟურნალისტი იძიებს“), რომლებშიც ხაზგასმით აღვნიშნავდი აქციზური მარკების შესახებ კანონმდებლობის დარღვევებზე, სათანადო რეაგირების მნიშვნელობაზე, ერთადერთი გაზეთი „საქართველო“ გამოეხმაურა, თანაც როგორ!

1999 წლის 27 ივლისს, აფხაზეთიდან დევნილმა, თუ ჯერ კიდევ იქ მაცხოვრებელმა მათე გაბედავამ, ამ გაზეთის მეშვეობით დოკუმენტურად ამცნო მთელ ქვეყანას: აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლება სიგარეტის იმპორტიორ ფირმა „სთრაიქს“ „საქართველოდან თავის სავაჭრო პარტნიორად“ მიიჩნევს და მხოლოდ ის აწუხებთ, „სთრაიქს“ მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის № 355 ბრძანებულების დარღვევით, ანუ კონტრაბანდული გზით მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე ორჯერ შემოტანილი სიგარეტების პარტიიდან მისალები ფული არ დაეკარგოს არძინბას რეჟიმსო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაუცველობით აღშფოთებულ მათე გაბედავასა და მისი წერილის გამომქვეყნებელ გაზეთ „საქართველოს“ მადლობის მეტი რა ეთქმით გამოჩენილი მოქალაქეობრივი გაბედულობისათვის, მაგრამ ჩემს მიმართ „მსუბუქად“ გამოთქმულმა, დაუმსახურებულმა საყვედურმა მაინც მატკინა გული.

მათე გაბედავა, როგორც თვითონ წერს, მართლაც თუ იცნობს იმ პუბლიკაციებს, რომლებიც სიგარეტებზე აქციზური მარკების შემოღების მნიშვნელობისა და აქციზური მარკების კანონმდებლობის დაცვის აუცილებლობის თაობაზე გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, ისიც ეცოდინება: ფირმა „სთრაიქს“ მიერ შეძენილი აქციზური მარკების მესამე პირზე („ტაოზე“) გადაცემით დაფიქსირებულ დარღვევაზე სათანადო რეაგირება, რომ არ მოხდა, მე ამაში არავითარი წვლილი არ მიმიძღვის.

დიახ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე („შესაძლებლობის ზღვარზე“ — 1999წ. 22 ივლისი № 194) ფირმა „სთრაიქს“ დირექტორის მოადგილემ ოთარ ქიშმარეიშვილმა განაცხადა, რომ „არაფერიც არ დაგვირღვევია, ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმა შეცდომით გამოუგზავნეს ჩვენი მარკებით მარკირებული პროდუქცია „ტაოს“-ო, მაგრამ — კი, მასე იქნებოდამეთქი — დავეთანხმე? პირიქით, ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: ფირმა „სთრაიქს“ დირექტორის თალალ აზიზის მიერ აქციზური მარკების სამსახურში გაკეთებული განცხადება — „ჩვენი მარკირებული სიგარეტები შეცდომით გამოუგზავნეს „ტაოსო“ — სიმართლეს არ შეესაბამება. ფინანსთა სამინისტრომ გადაუმოწმებლად დაუჯერა მას და 1999 წლის 27 მაისს, უნიკალური ბრძანებაც გამოსცა: „სთრაიქს“ შეძენილი მარკები „ტაოზე“ გადააფორმეთ, ერთმანეთში არევიათო“. ერთმანეთში თუ აერიათ, „სთრაიქმა“ რატომ არ შემოიტანა „ტაოს“ მიერ შეძენილი აქციზური მარკებით მარკირებული პროდუქცია? — ვწერდი მე, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ამ კითხვაზე პასუხი ვერც მაშინ მივიღე, როცა ოთარ ქიშმარეიშვილს შევხვდი ინტერვიუს ასაღებად და, როგორც ჟურნალისტს, სხვა რაღა მელონა? ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ კი მათე გაბედავა მაინც ასეთ დასკვნას აკეთებს: „ამით, მათაც და ჟურნალისტმა თამაზ ქველაძემაც ამოწურულად ჩათვალეს ეს საკითხი. როგორც ჩანს, ჩვენთან საკმაოდ მოიკიდა ფეხი ამა თუ იმ დარღვევაზე „რეაგირების“ არაორდინალურმა ფორმამ — დამრღვევისა და ამ დარღვევის აღმომჩენი ჟურნალისტის დიალოგი საკმარისად ითვლება, რათა „სათანადო“ ზომები მიღებულად ჩაითვალოს და დარღვევაც დავიწყებას მიეცეს“.

მათე გაბედავას ამ ორიგინალურ შეფასებას, რომელშიც პრესის ქმედითობის „საპანაშვიდო მუსიკის“ ნოტები ისმის, იმ ნაწილში ვერ დავეთანხმები, რომ თითქოს მეც „ამოწურულად ჩავთვალე ეს საკითხი“. მეტი რაღა გამეკეთებინა, გარდა იმისა, რომ სათანადო ორგანოებისათვის შემეხსენებინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი, რომელშიც სწერია: „სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მომკვლევს, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს მოქალაქემ... ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“.

კარგით, მე ჩემი პუბლიკაციებით ვერ შევძელი აქციზური მარკების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირება მოეხდინათ, აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან ფირმა „სთრაიქს“ თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ გამაჩნდა, ოთარ ქიშმარეიშვილის პასუხში ეჭვი რომ შემეტანა, მაგრამ გაზეთ „საქართველოში“ ხომ გამოაქვეყნეთ ასეთი დოკუმენტი? თქვენ რა, მიაღწიეთ მასზე რეაგირებას?

ზემოთაღნიშნული კანონის თანახმად, „ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“, რაზეც აშკარად მეტყველებს ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ გაზეთ „საქართველოში“ (1999წ. 3 აგვისტო №29) გამოქვეყნებული შემდეგი სიტყვები: „გაზ. „საქართველოს 27 ივლისის პუბლიკაციას სიგარეტის იმპორტთან დაკავშირებით მოჰყვა არაერთი მკითხველის, მათ შორის შესაბამისი სამსახურის, დაინტერესება განხილული საკითხით“.

ჩვეულებრივ მოქალაქეთაგან განსხვავებით, „შესაბამისი სამსახურების დაინტერესება“ იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელთ კანონი ავალდებულებთ დანაშაულის ჩადენის შესახებ მოძიებული ცნობების შემოწმებას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად: „ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილების მიღებას“:

ა) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ;

ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;

გ) საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით მასალების გადაგზავნის შესახებ.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „შესაბამის სამსახურებს“, ჯერჯერობით, არცერთი ამ გადაწყვეტილებათაგანი არ მიუღიათ, არადა, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ, ხსენებულ დოკუმენტსაც თუ წაუყრუეს, ყველასათვის ნათელს გახდიან, ბატონ ნოდარ ნათაძის შემდეგი სიტყვების ჭეშმარიტებას: „ყოველი დოკუმენტი, ცნობა, მინიშნება, თუ სხვა სახის ინფორმაცია, გამოქვეყნებულ უნდა იქნას, ვინაიდან მუდამ არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ამ მონაცემის არმონაწილეობა შესაბამისი სფეროს მაკონტროლებელ ინსტანციათა საქმიანობის პროცესში ისევ და ისევ მაფიების ზემოქმედების შედეგია“.

ამ სიტყვებს მხოლოდ იმასღა დავუმატებდი, რომ სათანადო ორგანოებმა ხსენებულ მონაცემს მონაწილეობა შეიძლება კი მიაღებინონ თავის საქმიანობის პროცესში, მაგრამ საჭირო შეფასება აღარ მისცენ და კანონის დამრღვევის „პატივისცემის“ ნიშნად, „ჩაფარცხონ“ იგი, რაც „ისევ და ისევ მაფიების ზემოქმედების შედეგი“ იქნება.

პრესის ქმედითობის „საპანაშვიდო მუსიკის“ თანხლებით, რომელსაც „ტექსტად“ აქვს ცნობილი სიტყვები — „ვინც რა უნდა თქვასო...“, არაერთი სიმართლე დაუმარხავთ და გამორიცხული არ არის, ფირმა „სთრაიქს“ მიერ აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიაზე უაქციზო სიგარეტების შეტანის ჯერჯერობით ორი ცნობილი ფაქტიც ზედ მიაყოლონ.

თუ მართლაც ასე მოხდა, ბატონ გაბედავას, მისგან განსხვავებით, იმაში არ დავადანაშაულებ, რომ აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, ერთადერთი წერილის გამოქვეყნებით შემოიფარგლა. მას, რაც შეეძლო, ის გააკეთა და რა მისი ბრალია, ჩვენს ქვეყანაში კანონის წინაშე ყველას თანასწორობა თუ არ არსებობს.

**თამაზ ქველაძე**

# პასუხად ავტორს პუბლიკაციისა „გურული “ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში“

**კანონზე, რომელმაც „მცირე რევოლუცია“ და „ჯანყი“ გამოიწვია გურიაში, ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში პუბლიკაცია წარმოადგინა დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა გიორგი ვასაძემ. საუბარი იყო საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებულ კანონზე „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის“ შესახებ. ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობა აღშფოთებას გამოხატავს ამ კანონის მიმართ და პროტესტს გამოთქვამს, რადგან სახნავ-სათესი, საძოვრები, სათიბები კანონით დადგენილ ტერიტორიას განეკუთვნება.**

**კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გივი გიგინეიშვილს:**

მართალი გითხრათ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ კანონის მიღებას „კოლხეთის დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს კანონი პირველი მოსმენით 1996 წლის დეკემბერში მიიღო, ხოლო მეორე და მესამე მოსმენით კი — 1998 წლის დეკემბერში. ორი წელინადი სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ყველა პრობლემური საკითხი, რომელიც აღნიშნულ კანონში გაჩნდა, მოგვარებულიყო და არ გამხდარიყო კვლავ მსჯელობის საგანი მისი მიღების შემდეგ.

ამ კანონის მიღების აუცილებლობა განაპირობა საქართველოს შავიზღვისპირა ჭაობიანი და ჭარბტენიანი ეკოსისტემების უდიდესმა მნიშვნელობამ არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი უიშვიათესი ეკოსისტემები დაცვას საჭიროებს. სწორედ ამან გამოიწვია საქართველოს მიერთება „რამსარის“ კონვენციასთან, რომელიც საერთაშორისო ზედამხედველობას აწესებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ჭაობიან და ჭარბტენიან ტერიტორიებზე. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წელს მსოფლიოს აუწყა, რომ საქართველო თავისი ტერიტორიის 20%-ზე შექმნის დაცულ ტერიტორიებს უმდიდრესი ლანდშაფტური მოზაიკისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-რეაბილიტაციისათვის. ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი პოლიტიკური პრიორიტეტის წარმოჩენა და ოფიციალური განაცხადი. ამასვე ადასტურებს ბატონ ე. შევარდნაძის ვიზიტის შედეგები მთა-თუშეთში, რომელიც 3 აგვისტოს შედგა.

ერთი სიტყვით, საქართველოს მთა-ბარი შველას, ხელშეწყობას და მფარველობას საჭიროებს. ყოველივე ამის ფონზე, ჩემს გაოცებას იწვევს დამოუკიდებელი ჟურნალისტის გიორგი ვასაძის ვრცელი წერილის შინაარსი, რომელშიც ძირითადად უარყოფით პერსონაჟად მე ვარ წარმოდგენილი.

დამოუკიდებელი ჟურნალისტის პათოსი აგებულია ჩემს უტაქტო გამონათქვამზე ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს წევრების მიმართ, რომელიც ცხელ გულზე ვუთხარი ჟურნალ „სარკე“-ს კორესპონდენტს შეხვედრის დროს. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი ჟურნალისტი ამ უხერხულ ფრაზას მრავალგზის იმეორებს და ამით აშკარად აღიზიანებს ლანჩხუთის საზოგადოებას. ეს, რა თქმა უნდა, მისი უფლებაა, მაგრამ არსებობს აგრეთვე პრესის მუშაკისათვის აუცილებელი ატრიბუტი — ობიექტურობა, რასაც დამოუკიდებელი ჟურნალისტი რატომღაც თავს არიდებს. საქმე იმაშია, რომ გ. ვასაძე, მისი სტატიის მიხედვით, ჟურნალ „სარკე“-ს ერთგულ მკითხველად თვლის თავს და არ უმხელს მკითხველს იმას, რომ მე დაუყოვნებლივ ვთხოვე ამ ჟურნალის რედაქციას გამოესწორებინა ჩემი და „სარკე“-ს კორესპონდენტის მიერ დაშვებული უტაქტობა (ნუ განვიხილავთ, თუ ვინ იყო მეტად დამნაშავე — მე თუ კორესპონდენტი). ჟურნალმა ერთ-ერთ მომდევნო ნომერში უყოყმანოდ დასტამბა ბოდიშის მოხდის ტექსტი: „ჟურნალ „სარკის“ მიმდინარე წლის მე-14 ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ პარლამენტარ გივი გიგინეიშვილთან სათაურით „იესოს შემოსვლას ვზეიმობთ და ბუნებას ვანადგურებთ“, სადაც რესპონდენტმა ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს მისამართით არაკორექტული ფრაზა გამოიყენა. ბატონმა გივიმ აღნიშნული გამოთქმა ცხელ გულზე წარმოთქვა და არა პრესისათვის, რის შესახებ კორესპონდენტი გააფრთხილა კიდეც, მაგრამ მისი თხოვნა ჟურნალისტს გამორჩა. ბატონი გივი გიგინეიშვილი და ჟურნალისტი ბელა ჩეკურიშვილი ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს არაკორექტული გამოთქმისათვის ბოდიშს უხდიან“ („სარკე“ — №18, 5-12 მაისი, 1999, გვ. 5). მაშ რა გამოდის, თუ გ. ვასაძე, როგორც თვითონ აცხადებს, ამ ჟურნალის თავდადებული მკითხველია, ეს ინფორმაცია მას არ უნდა გამორჩენოდა, ამიტომ იკვეთება საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტი განგებ ამწვავებს ვითარებას და ლანჩხუთის რაიონის საზოგადოება, და არა მარტო ისინი, შეგნებულად შეყავს შეცდომაში.

„დამოუკიდებელი ჟურნალისტი“ თავის წერილში იძლევა იმ სავარგულების ჩამონათვალს, რომლებიც თითქოსდა კოლხეთის ეროვნული პარკის ჩამოყალიბების შემთხვევაში ჩამოერთმევა მოსახლეობას და ამით ის თითქმის გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდება. კანონის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ 46-ე მუხლის 1 პუნქტში კი ვკითხულობთ: „ამ კანონს არ გააჩნია უკუქმედების ძალა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში მიწათსარგებლობის სფეროში კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკის და იჯარით გაცემის სფეროში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით)“. რაც შეეხება მიწის დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკის გამოყენების უფლებას, ეს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის ეს კანონის ტექსტიდან ნათელი არ არის, შესაძლებელია კანონში საჭირო დამატებების შეტანა.

ცხადზე ცხადია, რომ გ. ვასაძის ეს უკადრისი ილეთი კვლავ პრესისადმი ნდობით გამსჭვალულ და გულუბრყვილო მოსახლეობის წონასწორობიდან გამოყვანაზე არის გათვლილი. რისთვის სჭირდება დამოუკიდებელ ჟურნალისტს ყოველივე ეს, თუკი ის მართლა დამოუკიდებელია და არ მოქმედებს ვილაცეების ბოროტი ზრახვების სასარგებლოდ. ეს საკითხი სერიოზულ გამოკვლევას საჭიროებს.

დამოუკიდებელი ჟურნალისტი გ. ვასაძე საკმაოდ ღრმად გაცნობილა ამ ახალი კანონის მიღებით გამოწვეულ ყველა ასპექტს. ამიტომ, კვლავ გაკვირვებას იწვევს მის ვრცელ სტატიაში სრული იგნორირება იმ სასიკეთო ძვრებისა, რომლებიც უნდა მოყვეს დაცული ტერიტორიების ამ სისტემის ამოქმედებას. სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით დამძიმებული მოსახლეობისათვის არ იქნებოდა ურიგო, რომ ეთქვა ეკოტურიზმით და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებით გარანტირებულ შემოსავლებზე, რაც ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობისთვის ცოტა არ უნდა იყოს.

ამის სანაცვლოდ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ისრაელის ფირმა „ეკოტექსის“ მოღვაწეობის პერსპექტივებს, რომელიც ცენტრალურ კოლხეთში ტორფის მოპოვება-დამუშავება-გასაღებით შეიძლება რომ დასაქმდეს. ამის თაობაზე ჩვენ გვქონდა შეხვედრები ამ ფირმის მესვეურებთან და გარკვეულ პრინციპებზე კიდეც შევთანხმდით, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტროში, სადაც უნდა გაცემულიყო ნებართვა მოპოვებაზე, წინააღმდეგობას წააწყდნენ. ფირმამ მათ წარუდგინა დოკუმენტაცია მხოლოდ ბიზნესგეგმის სახით, ყოველგვარი კონკრეტული მასალის გარეშე; არ წარუდგენია პროექტი და საბანკო გარანტიები. ფირმა ორიენტირებულია მხოლოდ ნედლეულის საზღვარგარეთ გატანაზე და არა შიდა მოხმარებაზე. ეს იმ დროს, როცა ერთი ტონა კომპოსტირებული ტორფის მასა ლონდონის ბირჟაზე, როგორც ამბობენ, 6-8 გირვანქა სტერლინგს არ აჭარბებს. დაახლოებით 5-ჯერ უფრო ძვირია გამდიდრებული და გადამუშავებული ტორფი. ღირს კი ასეთი შემოსავლების გულისათვის გავანადგუროთ ჩვენი უნიკალური ტორფნარები, რომელთაგან იმნათის საბადო ეკოლოგიურად განსაკუთრებით ძვირფასია.

და ბოლოს, ბევრი კანონი, რომელსაც პარლამენტი იღებს, არ არის დაზღვეული რაიმე ნაკლისაგან, რომელიც შემდგომ შეიძლება გასწორდეს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით. ყველასათვის ცნობილია, რომ დროთა ვითარებაში კანონმდებლობა და თვით ძირითადი კანონი — კონსტიტუციაც კი არ არის დაზღვეული ცვლილებების შეტანისაგან. ასე რომ, ამ კანონშიც შეიძლება შესწორება-დამატებების შეტანა, თუკი ისინი მკაცრად არგუმენტირებული და დასაბუთებული იქნება.

ასევე არ შეიძლება გვერდი ავუარო გ. ვასაძის საჯარო განცხადებას იმის შესახებ, რომ მას მოსვენებას აღარ აძლევენ ჩემი ახლობლები და ნაცნობ-მეგობრები, რათა მან ლმობიერება გამოიჩინოს და შეანელოს ჩემზე თავდასხმის ინტენსივობა. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ჩემი ახლობლებიდან არავინ არ არის საქმის კურსში ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველ შემთხვევაში, მე არავისთან არ მითქვამს და მითუმეტეს, არ მითხოვია დახმარება ვასაძის ჩემდამი განწყობილების შეცვლის თაობაზე. ამიტომ, ასეთი უპასუხისმგებლო და მკითხველის ნდობაზე გათვლილი არაკეთილსინდისიერი ილეთი ჟურნალისტის, რბილად რომ ვთქვათ, უწესობაზე მეტყველებს. განა არ შეეძლო „დამოუკიდებელ“ ჟურნალისტს იმ ოთხი თვის მანძილზე, როგორც თვითონ აცხადებს, რაც იგი ამ პრობლემას იკვლევს, ერთხელ მაინც ეთქვა ჩემთვის ამის შესახებ და დაესახელებინა ეს აბეზარა შემაწუხებელი პირები. მითუმეტეს, რომ ჟურნალისტი ძალიან ხშირად მხვდება და მაინც, მიუხედავად ნაკლები დროისა და სურვილისა, არასოდეს არ მითქვამს უარი შეხვედრა-საუბრებზე.

ერთი სიტყვით, ძვირფასო რედაქცია, მართალია, თქვენ პასუხს არ აგებთ შემოსულ მასალებზე და ეს მთლიანად ავტორებს აწევა კისერზე, მაგრამ კარგი კი იქნებოდა მეტი სიფრთხილე გამოგეჩინათ ზოგიერთი მათგანის მიმართ.

**გივი გიგინეიშვილი**
**პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე**

**რედაქციისაგან:** აღნიშნულ თემაზე გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ დამოუკიდებელი ჟურნალისტი გიორგი ვასაძის პუბლიკაციის გაგრძელებას.

# სატირის და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია

### ვისაც როგორ სურს, ჭრის და კერავს!

ქართველთა ბედის ვარსკვლავი ცაზე,
არც ისე მკვეთრად ბრწყინავს და ელავს,
ვის არ ვაბრალებთ ჩვენს სიდუხჭირეს,
ჰომო საპიენსს, ტურას თუ მელას,
ხალხის უფლებებს ვიღაცა ურცხვად
სურვილისამებრ ფეხებქვეშ თელავს,
ცხოვრება უჭირს პატიოსან ხალხს,
მეცნიერს, მუშას, გლეხსა თუ მკერავს,
„ბრბოდ" წოდებული ბოგანო „მასა"
უხმოდ ქვითინებს, ბორგავს და ღელავს,
თან, რაც დრო გადის, მთავრობამ ხალხის
ჯიბის და სისხლის უმატა „წველას".
აზრი მოსვლია ეი-ი-ეს „თელასს",
გადასახადი წაგვლეკიტონ ყველას,
კი, კი ბატონო, ეკუთვნით, გვჯერავს,
მაგრამ უფულოდ ვახერხებთ ვერას,
ვისაც როგორ სურს, ჭრის და კერავს,
ნეტავ მთავრობის ვინმეს თუ ჯერავს.

### რატომ შევაქო, რად მოვეფერო?!

ზოგჯერ, როდესაც ვაგინებ რუსებს,
ზოგსა ჰგონია, ვლანძღავ ნაციას,
არა, ვუგზავნი გინებას უშვერს
ქართველის მტერს და მიწატაციას.
მე შეურაცხვყოფ მოყვრად მოსულ მტერს,
ვინც სიკვდილს თესავს ქართულ მიწაზე,
ვინც ქართველები წელში მოკუნტეს
და წიხლით შესდგნენ გულის ფიცარზე.
იქ, სადაც რუსის ჩექმა აჩნია,
ვაზიანს, რუსთავს, მცხეთას, გაჩიანს,
უნდა ელოდო სიკვდილს ასიანს,
საწამლავს, ნაღმს და რადიაციას.
რატომ შევაქო, რად მოვეფერო?!
რუსი იქნება, თურქი, თუ სპარსი,
უნდა მივუზღოთ მტერს „გასამრჯელო"
აი, გინების აზრი და არსი!

### ქართველებო, აფრიკელებს ჩაუდექით ჯიბრშიაო

ქალი ვნახე მკერდშიშველი,
გენაცვალე ჯიშშიაო,
მოდიოდი, მოაქნევდი
დაუმწყვდეველს ლიფშიაო.
თეთრი წელი მოგიჩანდა,
ისე, როგორც ცირკშიაო,
გამვლელი და გამომვლელი
გიყურებდა ქიპშიაო.
ქართველებო, აფრიკელებს
ჩაუდექით ჯიბრშიაო.
რაც გაცვიათ გაიხადეთ,
შეინახეთ სკივრშიაო.

### განდაგანა
**(სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ვარიანტი)**

*სრულდება დოლ-გარმონის თანხლებით*

საქართველოს საქმეები
უკან მიდის თანდათანა,
მთავრობამ და პარლამენტმა
ხალხზე ხელი დაიბანა!
ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე
გაუმართავთ არიფანა,
რაც კი რამე კარგი გვქონდა
გაიტანეს განდაგანა.
ჰეი, ბიჭო, განდაგანა,
ვილუპებით თანდათანა!
პრეზიდენტმა სამშვიდობოდ
რუსის ჯარი მოიყვანა,
რუსი ისევ „ვერხვით" არის,
როგორც ქურდი გომთანა.
ზოგიერთმა ლაილაით,
ენა-პირი მოიფხანა,
შუა თითი, არათითი,
ცერია, თუ ნეკია,
როცა ქართველს ყველა ერთად,
რისხვის მუშტად შეჰკვრია,
უამრავი დამპყრობელი,
ტრაბახა და ბრეჭია,
საიდანაც მოთრეულან,
იქეთ გაურეკია,
ბოროტ დევებს ამარცხებდა
ჩვენი ნაცარქექია,
როცა რისხვით ყველა თითი
მუშტად შეუკრებია.

### ჩოფურა იოსების იუმორი

მამაჩემი იოსები (უფალო, ნათელში ამყოფე მისი სული), ანუ „ჩოფურა", როგორც მას ნაყვავილარი სახის გამო ეძახდნენ, ობლობაში და სიდუხჭირეში აღზრდილი, ფიზიკურად და სულიერად ნაწრთობი, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარი კაცი იყო. 7 წლის ყოფილა, თავის 6 დედმამიშვილთან ერთად ყაჩაღებს რომ დაუობლებიათ. იმ დღიდან უკან-უკან წასულა უკაცოდ დარჩენილი, წვრილშვილიანი ოჯახის საქმე, მაგრამ ქვეყნად კეთილ კაცს რა გამოლევს ... ერთ მშვენიერ დღეს, მენახირეს ნახირი რომ გაუტარებია, ცნობისმოყვარე ობლებისთვის მოუკრავს თვალი და ბებიაჩემისთვის — ფეფელასთვის უთქვამს მამაჩემზე: „ეს ბიჭი ნახირში გამატანე, პურს ვაჭმევ და ორ შაურსაც ფულს მივცემო". ასე დაიწყო „საქმიანობა" პატარა სოსომ და შეკოწიწებული ფულით პატარა დოლი იყიდა, რომლითაც შემდეგ დიდი სახელიც მოიხვეჭა და ოჯახის მცირე ბიუჯეტიც შექმნა.

16 წლის ასაკში, პირველ მსოფლიო ომში წასულა მოხალისე-მედოლედ. მათი დივიზია, რომელიც „კავკასიურ ველურ დივიზიად" იყო ცნობილი, შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეს. თუმცა, მამაჩემის საქმიანობა მხოლოდ დოლის დაკვრით შემოიფარგლებოდა. როგორც მამაჩემი იტყოდა ხოლმე, დივიზიას დაამწკრივებდნენ, მღვდელი პირჯვარს გადასწერდა, შემდეგ შესხდებოდნენ ცხენებზე და დოლის დაკვრით მიაცილებდნენ ცეცხლის ხაზზე. ეს იყო მამაჩემის საქმიანობა, რაშიც საკმაო თანხას უხდიდნენ.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო", რომ იტყვიან, ასე მოხდა მაშინაც. იმ ომის ქარ-ცეცხლში მამაჩემმა მთელი ევროპა შემოიარა ცხენით და ფეხით. ათასი რამ გადახდა თავს, ყველა ჯურის, ყველა ასაკის და სარწმუნოების ადამიანებთან მოუწია ურთიერთობა, რამაც განაპირობა მისი უდროოდ კაცად ჩამოყალიბება-დაბრძენება. ბრწყინვალედ ფლობდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს, კარგად იცოდა რუსული სალაპარაკო ენა და რაც მთავარია, ადვილად პოულობდა გამოსავალს ყველგან და ყველაფერში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ისწავლა მამაჩემმა დუდუკის დაკვრა და ერთ-ერთ სახელოვან მედუდუკედ ითვლებოდა საქართველოში (ერთნაირი წარმატებით უკრავდა ზურნაზე და კლარნეტზე).

ძირითადი, რამაც მამაჩემს მრავალი ჭირ-ვარამი გადაატანინა, ეს იყო ხალასი იუმორის ნიჭი, გონებამახვილობა და ენამახვილობა. სადაც მამაჩემი იყო, იქ ყოველთვის სიცილ-ხარხარი და მხიარულება სუფევდა.

მამაჩემის ნათქვამი და ნამოქმედარი დღემდეა ხალხში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი იუმორის და ანეკდოტის სახით. ერთი კია, რომ მამაჩემი ოჯახში არ ხუმრობდა, რის გამოც მისი იუმორის შეგროვება (რა თქმა უნდა, უმნიშვნელო რაოდენობით) ხალხში, მის თანამშრომლებში და ნაცნობ-მეგობრებში მომიწია. ვწუხვარ, რომ იმის მეათასედიც ვერ შევკრიბე, რაც გაბნეულია ხალხში.

სამაგიეროდ, იუმორის ნიჭი დაგვიტოვა გენში, სისხლში და ხორცში ხუთ შვილს და რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად შვილიშვილებს. მე პირადად იუმორით ვსულდგმულობ, ან როგორც კახელები ამბობენ: „ვტოკამ ჯორის ყურებივითა".

ახლა კი მინდა, მკითხველს გავაცნო „ჩოფურა" იოსების იუმორი და შეძლებისდაგვარად „გავაცოცხლო" მისი სახელი.

„ჩოფურას" იუმორს გაზეთის შემდეგ ნომრებშიც გამოვაქვეყნებთ.

### ძროხა გირაოდ

ჩოფურა, გარდა ძირითადი სპეციალობისა, კარგი მეურნე იყო. მეურნეობის საჭიროებისათვის სახედარი ჰყოლია, რომელიც თავისუფლად ჰყავდა გაშვებული და როცა სჭირდებოდა, მოჰყავდა ხოლმე. ერთხელაც, მიაკითხა და არ დახვდა სახედარი იქ, სადაც ეგულებოდა. მიჰყვა ნაკვალევს და კვალმა დღევანდელი იპოდრომის ტერიტორიამდე მიიყვანა. მაშინ იქ ყანები ითესებოდა და მამაჩემს უნახავს, რომ მის სახედარს და ვილაცის ძროხას ყანა გაეძოვათ და გაეფუჭებინათ. შევიდა მამაჩემი კანტორაში და გრძელულვაშა, გალიფეშარვლიანი და „აზიაცკებში" გამოწყობილი იმერელი დირექტორი დახვდა, სახელად კოწია.



— რამ შეგაწუხათ, ბატონო — წამოუდგა ფეხზე იმერული ზრდილობით დირექტორი მამაჩემს.

— ვირი და ძროხა დავკარგე, თქვენ ხომ არ გყავთ დაპატიმრებული. ზარალს აგინაზღაურებთ და გამატანეთო.

— კი, ბატონო, აგერ 36 მანეთი და 40 კაპიკი გაქვთ გადასახდელი, გადაიხადეთ და წაიყვანეთ.

ჩოფურამ მორიდებით უთხრა:

— ბატონო, ხომ ხედავთ, პირდაპირ ბაღიდან მოვდივარ, არც ერთი კაპიკი არ მაქვს ჯიბეში. ახლა ვირი გამატანეთ და ძროხის წასაყვანად რომ მოვალ, ფულს მაშინ მოვიტანო.

— კი, ბატონო, კი, ბატონო, როგორც გენებოთ — კვლავ იმერული ზრდილობით დაეთანხმა კოწია მამაჩემს.

წამოიყვანა ჩოფურამ ვირი და ისევ შემობრუნდა.

— თუ არ შეწუხდებით, ძროხა მოწველეთ, თორემ ცური გაუფუჭდებაო — ვითომ ძალიან ენაღვლებოდა ვიღაცის ძროხის ცური.

ის იყო და ის, წამოვიდა და წამოვიდა მამაჩემი, წამოიყვანა ვირი და სხვისი ძროხა დატოვა გირაოდ.

ერთი თვის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს მამაჩემი და კოწია ქუჩაში. მამაჩემი მიესალმა და შეჯდა კოწია ტყემალზე.

— ბოდიშს გიხდით, ბატონო, ვერ გიცანით, შემახსენეთ თქვენი თავი.

— მე იცით ვინ ვარ?! სხვისი ძროხა გირაოდ რომ დაგიტოვეთ და ჩემი ვირი რომ წამოვიყვანე, ის ვარო.

გაოცებულ კოწიას მეორედ ჩამოურთმევია ხელი და უთქვამს:

— რამ მოგაფიქრებინა, შე კაცო, ის ძროხა თათრების აღმოჩნდა და კინაღამ მომკლეს იმის გამო, რომ არ ვატანდიო.

### ხურდა

ჩოფურა თავის დასტით (ასე ჰქვია სამეულს: დამკვრელი, დამქაში და მედოლე) ორშაბათ დღეს რომელიღაც რესტორანში სხედან და მუშტარს ელოდებიან. მოსაღამოვდა და როგორც იქნა, ერთი მშიერი კაცი შევიდა რესტორანში, ხარჩო, მწვანილი და ლიმონათი შეუკვეთა. მათლაფა რომ მოასუფთავა და ლიმონათიც გამოწრუპა, მებუფეტესთან მივიდა და თუმნიანი გაუწოდა. მებუფეტემ ხელები გაასავსავა: „დღეს შენს მეტი არავინ შემოსულა, მაგის ხურდა სად მაქვს. მიდი, იქნებ დამკვრელებმა დაგიხურდავონო". მისულა კაცი და ჩოფურასთვის თუმნიანი მიუცია, ჩოფურას ამოუღია და 8 მანეთი დაუბრუნებია. მეტი ფული არა მაქვს, თუ გინდა 2 მანეთისას დავუკრავ და იცეკვეო.

— დაუკარით, მაგის დედაც ვატირეო — უთქვამს და იმდენი უცეკვია, იქვე მოუნელებია.

### გულმავიწყი მიცვალებული

ტაბახმელაში მოხუცი კაცის პანაშვიდია. დამკვრელებმა დაამთავრეს დაკვრა და ჭირისუფლები შეუდგნენ თავიანთი „მოვალეობის შესრულებას". ჯერ მეუღლემ დაატირა:

— სად მიდიხარ, კაცოოო, ჩემო შეშავ და ფიჩხოოო, ჩემო ყანავ და ბალჩა-ბაღოო. შენ შემოგეელოს შენი მარუსააა, იქ რომ მიხვალ, ჩემს უბედურ ძმას უთხარი, შენი შვილები ყველანი დაბინავებულები არიან-თქოოო; ძველი ქლიავები ამოვყარეთ და ვაშლები დავრგით-თქოოო, სათონესთან რო ბალი იდგა, ი ბალი მოვჭერით და ხეჭეჭური დავრგით-თქოოო.

ცოლმა დაამთავრა და შვილებმა დააბარეს რაღაც-რაღაცეები, მერე მეზობლებმა და ნაცნობ-მეგობრებმა დააბარეს ათასი წვრილმან-მსხვილმანი და ყველანი რომ გაჩუმდნენ, ჩოფურას უთქვამს:

— თითზე ძაფი შეაბით, თორემ მოხუცი კაცია, მაგდენს ვერ დაიმახსოვრებსო.

მეცხრე გვერდიდან

# სილამაზე ხელოვნებაა

ჩატარება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, იგი სოლიდურ ხარჯებს მოითხოვს, რისი საშუალებაც ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ მალე დადგება დრო, ქართველი ხალხი მეტი სერიოზულობით მოეკიდება საპარიკმახერო-კოსმეტოლოგიური დარგის განვითარების საქმეს. ამ მიმართებით არა მარტო კონკურსები ჩატარდება, არამედ ლაბორატორიებიც და აკადემიაც შეიძლება გაისხნას.

### ქალი ოჯახისა და სახელმწიფოს ბურჯია

ქალი ჭკვიანია, ბევრად უფრო ჭკვიანი და ანალიზისუნარიანი, ვიდრე ეს ჩვენს მამაკაცებს მიაჩნიათ. ქალი ოჯახისა და სახელმწიფოს ბურჯია და რაოდენ დასანანია, რომ დღეს თანამდებობებზე, თუნდაც პარლამენტში, ქალთა უმცირესობაა წარმოდგენილი.

ქალს მეტი ასპარეზი სჭირდება, რაც ასე ადვილად არ ეთმობათ თანამდებობისათვის თავგანწირვით მებრძოლ მამაკაცებს. მათ მიაჩნიათ, რომ ქალის ადგილი მხოლოდ გაზის ქურასთანაა და არა სხვაგან, არადა ქალი გაზის ქურასთანაც კარგად უძლევა თავის საქმეს და არანაკლებად თანამდებობაზეც. იგი ჰუმანურია, ნაკლებად რისკიანი, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა გააჩნია და ურიგო არ იქნებოდა, თუ ქალის გონებას და უნარს სერიოზული საქმის გასაკეთებლად გამოიყენებდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ქალები, თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ინფარქტებს არ იმართებენ, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ჩვენს მამაკაცებს ემართებათ.

### გაუფრთხილდით ჯანმრთელობას

ბოლო პერიოდში, ქართველმა ქალმა თამბაქოს ინტენსიურად მოწევა დაიწყო, რაც მეტად დასანანია. თამბაქოს კვამლი, ნიკოტინი, ხომ ძალზედ უარყოფითად მოქმედებს სილამაზით განთქმული ქართველი ქალის სახის კანსა და კბილის ფერზე.

განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ასე თავგანწირვით იბრძვიან დღევანდელ დღეს მავანნი, არათუ ქალებმა, არამედ მამაკაცებმაც თითქმის აკრძალეს თამბაქოს მოწევა და თუ ჩვენი არ სჯერათ, ახალგაზრდა ლამაზმა გოგონებმა და ქალებმა, თუკი სილამაზის ხანგრძლივად შენარჩუნება სურთ, მათი მაინც დაიჯერონ — ნაკლებად მოსწიონ თამბაქო!

### აქ რომ არ ვიყო, ჩემს თავს სად დავინახავდი!

მართალი გითხრათ, საყოფაცხოვრებო მომსახურების სიტემაში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, ჩემს მომავალს, ახლადსკოლადამთავრებული, მეცნიერებაში ვხედავდი, მაგრამ ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე. მე ერთი რამ მწამს: ადამიანი სადაც მოღვაწეობს, იქ უნდა იყოს ჩართული მთელი თავისი მონაცემებითა და პასუხმგებლობით, საქმეც მაშინ გამოგივა. არ არის აუცილებელი ყველა მეცნიერი იყოს, თუმცა დღეს, ალბათობა იმისა, რომ შენს ნიჭს ვინმე „გზას მისცემს ფართოს" და რაიმეს ნორმალურს შემოგთავაზებს, ნოლის ტოლია, მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება. ჩვენ როგორც ვიცხოვრეთ, ვიცხოვრეთ ... ახალგაზრდებმა კი მეტი ბრძოლის უნარი უნდა გამოიჩინონ და გული არ უნდა გაიტეხონ.

### დამშვიდობება – „ოცნებაში" ოცნება ახდენილია

„ოცნება" ერთ-ერთი ცნობილი, საუკეთესო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტია საქართველოში. ადრეც და ახლაც, იგი საჩვენებლად განკუთვნილი შენობა გახლდათ საქართველოში ჩამოსული სტუმრებისათვის. წარსულში ფირმა „ველლამ" აქ სარემონტო სამუშაოები შეასრულა. ამჟამად საბოლოოდ განახლდა სამივე დარბაზი.

ბავშვთა განყოფილება ტრადიციულად შეინარჩუნა სალონმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით იგი ერთადერთია.

სალონის თანამშრომლები ცდილობენ მაკიაჟის და ვარცხნილობის სწორი არჩევანით, მომსახურების უმაღლესი პროფესიონალიზმით მოხიბლონ მიმსვლელი. თუ სხვაგან ვარცხნილობა ძალიან ძვირია, აქ არ აწყენინებენ სტუმარს. მაგალითად, მოდური ვარცხნილობა „პოდიუმი", რომელიც სხვაგან 25 დოლარი ღირს, აქ 18 ლარად შეგიძლიათ გაიკეთოთ. პედიკიურის, მანიკიურის, კოსმეტიკის კაბინეტი უზადო ჰიგიენის დაცვით, სისუფთავით იზიდავს მომხმარებელს, თანაც ფასებიც მისაღებია.

ბედნიერი სახით გამოდიან „ოცნებიდან" ადამიანები. სილამაზის მსახურება მართლაც რომ დიდი ხელოვნებაა! ამ მძიმე დროში ბედნიერად რომ იგრძნობ თავს, მოულოდნელი მშვენიერი გარდასახვით მოკვეთეს რომ განაცვიფრებ და მტერს შურით გააოგნებ, ეს მართლაც ცოტას არ უნდა ნიშნავდეს.

**ქეთი ჩადუნელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა







## ცნობილი მომღერალი, ერთ-ერთი „ჯუჯა“ ორიდან — ვახტანგ ტატიშვილი „ელადავა“ — მურმან მერკვილიშვილი

**— ბატონო „ჯუჯა“, რას გვეტყვით, რით გაგვახარებთ? მოგვიყევით რაიმე თქვენი ცხოვრებიდან.**

— რით გაგახარებთ და არჩევნები იწყება.

**— ეგ ვიცით, ისე, არჩევნებისთვის როგორ ემზადებით?**

— ჩამოვაყალიბე ალიანსი: „ორი ჯუჯა“. ჩვენი ბლოკი დანარჩენ „აგურებთან“ შედარებით საკმაოდ მონოლითური და გამძლეა. პარალელურად, ვმუშაობ დისერტაციაზე, რომლის თემაა: „რა ვქნათ ჯუჯებმა, როდესაც მთელი საქართველო „იჯუჯება“ შიმშილით?

**— წარმატებებს გისურვებთ, იმედია, მსოფლიო „საჯუჯეთი“ გამოეხმაურება თქვენს ინიციატივას. ახლა საქმე —**



### ასე მირჩევნია

ერთი მეზობელი მყავს. ძალიან უყვარს ქელეხებში სიარული. ვეკითხები ერთ დღეს:

— ბიჭო, ბიქტორა, რაია ე ქელეხებში სიარული, შე კაი კაცო, ქორწილში შენ არ დადიხარ და დაბადების დღეზე მეთქი.

— რას ამბობ, ჩემო ვახო, ქელეხს, ქორწილი და დაბადების დღე როგორ შეედრება?

— მაინც, რატომ, ჩემო იმანო-მეთქი.

— ჯერ ერთიო, — მეუბნება, — ქორწილ-დღეობაში კაი, კაცური საჩუქარი უნდა მიიტანო, რის საშუალება, მე კი არა, შენც არ გაქვს, რომ დადიხარ კაზინოში, ჩადობ 200 დოლარს და იგებ 10 დოლარს (ისიც გიხარიაო).

მეორეც, ქელეხზე, მიუხედავად იმისა, რომ კაცის სიკვდილი ძალიან „მიტყდება“, თავს ლაღად ვგრძნობ. შეერევი ხალხში. ვინ გკითხავს, აქ რა გინდაო?

მესამეც, რომ მახსენდება, ჩემს უშუქო, უგაზო და უწყლო სახლში მისვლა, გადაცივებული კარტოფილი და ნახევარი პური ... გული მიჩერდება და იმიტომ ... მიხთი ახლა?

— მეც კი დამიჯდა მაგი ჭკვაში, მარა სირცხვილს და თავმოყვარეობას რას ეუბნები, მეთქი?

— რას ამბობ, ბიჭო შენ .. ჭკვიანი კაცი ხარ, კაი ცხელ-ცხელ ხაშლამას და შილაფლავს რომელი სირცხვილი დეემორჩილება, თუ გიყვარდე. ხაშლამა ... ოჰ!

— კი მაგრამ შენ რო მოკვდები 300 წლის მერე, სხვა როგორც შენ იქცევი მასთე რომ მოიქცეს, გაგეხარდება? — ვეკითხები ინტერესით.

— ჯერ ერთი, ყვავი შენ თვითონ ხარ. მეორეც, რომ მოვკვდები, შენ ჭამე ი ხაშლამა (თუ იქნა) და გამეხარდება. თუ მეწყინა, მერე გეტყვიო.

— მაგარი ხარ ... მაგარი.

— მაგი კი არა, ბიჭო, მამაჩემის გასვენებაზე ვარ ნაჭამი ხაშლამას ..., ხოო და ...

— მომიყევი თუ არ გეჩქარება — შევეხვეწე.

— მამაჩემი რო კვდებოდა, ასე მითხრა: „შვილო, ბიქტორა, ვკვდები ბაბა ახლა მე, მარა ერთი სურვილი მრჩება შეუსრულებელი და რა მომასვენებს საფლავშიო“.

— რაა ასეთი, მამიიი! — დავშტიმე თვალები.

— რა, შვილო და, მე ხომ ვიცი, ხაშლამიზა რო ირევი და გადადიხარ ჭკუიდან.

— კი, მამიი-მეთქი ... იიი! მამიიი ...

— ხო და, რომ მოვკვდები, შვილო, აუცილებლად უნდა გქონდეს ჩემს ქელეხზე ხაშლამაო.

— მაგი მასთე რომ იქნება, რა სალაპარაკოა, მამი, ჯერ მოკვდი, დანარჩენი მე ვიცი-მეთქი.

— მერე, მერე! — ველარ ვითმენ.

— მერეო, შვილოო, ბიქტორაო, რომ ჩამაგდებ მიწაში და ერთ ტონა მიწას რომ დამაყრი, მერე უკან რომ მობრუნდებით, ხომ დაჯდებით საქელეხედ?

— კი, მამი, დავჯდებით, აპა, ფეზე ხომ არ ვჭამთ-მეთქი.

— მერე, შენ რო ხაშლამის დანახვაზე აგიცმაცუნდება ტუჩები ...

— ხოო, ხოო-მეთქი, — გადავყლაპე ცრემლი და ნერწყვი ერთად.

— ხო და, ერთ ნაჭერს რომ გადმოიღებ, დამატებით მარილს რომ მოაყრი, ჩალმურძლავ ...

— ჰოო! — მივაყოლე მეორე წყვილი ცრემლ-ნერწყვი ერთმანეთს.

— მერე, მეორესაც რომ გადმოიღებ ...

— ხოოო! მამიიიი!

— აქაა ჩემი აუსრულებელი ოცნება, შვილო.

— რაა, მამიიი- — ავზლუქუნდი.

— რა და ... მესამე ნაჭერსაც რომ დაითრევ და გააქანებ პირისკენ, ნეტა, მაშინ წამომაყენა და მათხლეშია შენს მსუნაგ ცხვირ-პირშიო ...

— ხა, ხა, ხა! — გადავბჟირდი. მერე რა ჰქენი შენ?

— ორი ნაჭერის მეტი არ მიჭამია. ისე დიდები კი იყო, სამს თავისუფლად უდრიდა ...

### ინციდენტი

იმ დღეს ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები გავაცილეთ აეროპორტში.

რა თქმა უნდა, პატივი ვეცით და საკმაოდ „შეუუუუნებული“ ვბრუნდები ქალაქში ჩემი მანქანით.

საერთოდ, უნდა ალვნიშნო, რომ ნასვამს მანქანის ჩქარა ტარება არ მიყვარს. მოვდივარ 20-40 კმ-სთ სიჩქარით, ხოჭოსავით.

სასტვენის ხმა! არა, ეს მსაჯი არაა, ინსპექტორია. ნელა მივდიოდი და მანქანა ადვილად გავაჩერე.

— „რიადავოი სერჟანტი“ კოწო ჟინჟლილავა, — წარმომიდგინა თავი „გაიშნიკმა“. ვატყობ, ჩემზე მეტადაა „ჩატვირთული“.

— რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ? — გადმოვიდა „შენობით“ ფორმაზე.

— ტატიშვილი ვარ, ვახო, „ივერიიდან“.

— აუჰ, დიდუბეში რო „ივერიაა“, პარფიუმერიჩესკი, ხო? ადეკალონის სუნზე გიცანი...

— არა, კაცო, ანსამბლ „ივერიიდან“, ტატიშვილი ვახო.

— ბასილაია რაა შენი? (მაინც მეგრელია).

— სცენაზე ვენათესავებ-ვემეზობლებით ერთმანეთს, ასე, ორ მეტროში როიალიდან-მიკროფონამდე.

— კვარაცხელიას ჯიშის ძროხა რომ ყავს ხომ?

— კი, ბატონო.

— დედაა, ახლა მივხვდი, მაგრამ არ მჯერა, ოლეგია პოპოვივით გაქვს სახე და ცხვირი გაწითლებული. ისე, ოლეგია პოპოვი რაა შენი?

— მისი შვილიშვილი ჰყავს მონათლული ჩემი დეიდაშვილის ძმაკაცს .. ვნათესაობთ.

— ნუ ლადაობ, თუ გიყვარდე. მართლა ვახო ტატიშვილი ხარ შენ?!

— კი, კი ...

— აპა, დამიმტკიცე.

გადმოვილე გიტარა უკანა სავარძლიდან, ავახმიანე: „ჩაგუნია-ჩაგუნადააა“.

ასე არ უნდაო და ააცეკვა ფეხები. იმდენი ასარსალა ასფალტზე, სანამ ქანცი არ მიელია და კინაღამ ჩამოეძინა ცეკვა-ცეკვაში. გავაჩერე გიტარა.

კვერცხდადებული დედალივით გამომხედა, ყეყეჩი თვალებით:

— მართალი ყოფილხარ, ძამა ... კაი ბიჭი ხარ. მომეცი ერთი შენი პრავა.

— რად გინდა? — მეყრება ამხელა „კონცერტი“ და შრომა წყალში.

— პატარა მოვესიყვარულები და დაგიბრუნებ.

მივეცი.

— ა, ასთე უნდა ამას, — დააჩხაკუნა და ... გახვრიტა ტალონი.

— რას შობი, ბოშო, ტყუილა გიმღერე „ჩაგუნიე? — გადავირიე მე.

— ახლა, ბევრი არ ილაპარაკო. ასეთი საამაყო და სათაყვანებელი, პარფიუმერიის ანსამბლ „ივერიას“ ხელისგულზე სათაყვანებელი და გასაფრთხილებელი კაცი ხარ. ახლა ტალონი გაგიხვრიტე და თუ კიდევ დაჯდები მთვრალი საჭესთან, მერე გაგიხვრიტავ მაგ ... მაგ ... რა კაი სატყვიე შუბლი გაქვს, შე შეჩვენებულო!“.

### კინაღამ დავიღუპე

მოსკოვში ჩავფრინდით საგასტროლოდ. სასტუმროში მოვეწყვეთ თუ არა, სასწრაფოდ მოვიძიე ბლოკნოტი — ბოლოს და ბოლოს, ვისზე ნაკლები ვარ. სხვებს თუ ალია, ტანია, ანია და გალია ჰყავთ, მე ერთი ნინა რომ მყოლოდა, რა, ქვეყანას დავაქცევდი, მართლა და მართლა? ეს ნინა, ადრე, თბილისში ცხოვრობდა (ქართველი იყო) და „მეგობრობდა“ ჩემთან. მერე ვილაც რუსზე გათხოვდა მოსკოვში.

ხო და, ახლა ვურეკავ, მაგრამ არ იღებს, არ გადის რაღაც.

სამი ცდის შემდეგ, მაინც რომ ვერ გავედი იმ ნომერზე, გადავწყვიტე, ცოლისთვის მეცნობებინა, რომ მშვიდობით ჩავფრინდით მოსკოვში. არც თბილისის ნომერი იკრიფება. ახლა, ისევ ნინას ნომერი ავკრიფე ... მერე, ისევ თბილისის, მერე ისევ ... გავსავათდი კაცი და უცებ ... გავიდა!!! გავიდა და საოცნებომ ყურმილი აილო.

— გისმენთ — მესმის სანატრელი ხმა.

— ნინა ხარ?

— დიახ.

— ნინა, გამარჯობა, ვახტანგი ვარ მე ... ვახო ... „ივერია“.

— გაგიმარჯოს ვახტანგ!

— როგორ ხარ, ნინა, ჩემო სიცოცხლევ? — ვდნები ყურმილში, — როგორ მომენატრე, შე მადლიანო, შენა...

— კარგად ვარ, ვახტანგ. მეც ძალიან მომენატრე.

— უი, რა კაია! — გამეხარდა, რაც შეიძლება მაგრად.

— ჩემთვისაც კაია! — მესმის პასუხი.

— ის ხომ გახსოვს, ჩემო ნინიკო, ის, რა ქვიაა ... ხო, ჩვენი სიყვარული? — გამახსენდა გრძნეული სიტყვა — კონცერტის მერე რო ვეფერებოდით ერთმანეთს და მერე რო — ის .. ხოლმე? ხო გახსოვს?

— კი, რა დამავიწყებს — ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— კონცერტზე, რესტორანში, ქუჩაში, სახლში, შხაპის დროს, სულ შენზე ვფიქრობ, ნინიკო. დავდნი კაცი, 92 კილო ძლივს ვარ.

— რა მოგდის ვახო, ავად ხომ არ ხარ? — მეკითხება ტელეფონის მეორე მხარე.

— რას ჰქვია ავად. ავად კი არა, შახტას გავბურღავ, თუ ჩამიშვეს შით ...

— სულ ნუ შაყირობ, ვახო, შენ — ეცინება ქალს.

— რას ჰქვია ვშაყირობ, აეროპორტში დავკრიფე შენზა ყვავილები-მეთქი.

— მართლა ასე გიყვარვარ, ვახო.

— უფრო მეტად, რომ იცოდე-მეთქი.

— რით დამიმტკიცებ?

— რით და ... ახლავე მოვალ შენთან, მარტო თუ ხარ?

— რა მოგივიდა, ვახო, ახლახან არ გაგაცილე სახლიდან?

... თურმე თბილისში ველაპარაკები ცოლს. იმასაც ნინა ქვია ...

დამცეცხლა თავში, მაგრამ რას ვიზამდი.

— რა ვქნა, ძვირფასო, რომ მიყვარხარ, რა, ჩემი ბრალი ხომ არაა-მეთქი — ავასარსალე სიმწრით ფეხები. აგერ ვარ ჯერ თბილისის აეროპორტში, რეისი იგვიანებს-მეთქი.

დამიჯერა ... გადავრჩი.

შეგონება: არასდროს გააბათ რომანი ცოლის სეხნასთან ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 17 – 22 აგვისტო

## 17 აგვისტო, სამშაბათი

7.30 ალიონი. 9.05 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 მო-TV. 18.30 მესაკუთრე. 18.45 "ინტერმეცო". 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 "პოლიტიკური პორტრეტები". 22.00 ვესტნიკი. 22.25 "ასპარეზი". 22.35 ნიცის ჯაზ-ფესტივალი. (საფრანგეთის-TV პროგრამა). 23.35 კამერატონი. 0.20 მხ.ფ. "ციური მერცხლები".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 "ექიმის მოსვლამდე..." 20.00 სუპერ-მატჩი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 პოზიტივი. 22.15 მხ.ფ. "თავგადასავალთა მაძიებლები". 0.05 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.50 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ონავრები". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "კოშმარების ქუჩა". 23.55 სერიალი. 0.50 მხ.ფ. "მერია". 3.00 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 "ილია". 11.55 მხ.ფ. "იქ, სადაც სიმართლეა". 18.10 მხ.ფ. "წავედით სათევზაოდ". 19.40, 0.35 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან-1". 22.20 მხ.ფ. "ცოფიანი ხარი". 0.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე". 0.50 სერიალი "ჰიპერნავტები-1".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. "წითელი დრაკონი". 0.15 მხ. ფ. "ლეგენდა სისხლიან ქვაზე". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. "ფრთხილად, კარები იკეტება!" 18.05 ბიზნეს-კურიერი. 19.00 "ზვავი..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუსიკალური სამშაბათი. 22.30 მხ.ფ. "ჩემი ბიძაშვილი ვინი".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 "ოჯახის ღირსება". 12.20 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 18.55 მხ.ფ. "აფეთქება წარსულიდან". 2.45 "უმაღლესი მოტივი". 22.30 მხ.ფ. "ანა". 0.05 მხ.ფ. "ზნედაცემული სიყვარული". 2.25 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 12.15 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.15 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Каламбур". 19.40 "Тема". 20.20 "Здесь и сейчас". 20.40 Х/Ф "МОЛОДАЯ ЕКАТЕРИНА". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "КО МНЕ, МУХТАР. 00.25 Поет Т. Овсиенко. 01.25 Сериал "ПЯТНИЦА, 13-Е". 02.15 Сериал "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

08.00, 10.30 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.20 "У всех на устах". 08.45 Телеигра. 10.15, 0.45 Дежурная часть. 11.00 Х/Ф "АЛАВЕРДОБА", "ОХОТНИК АШОФ, МЛАДШИЙ БРАТ СЧЕТОВОДА АХМЕДА". 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00 ВЕСТИ 12.35 "Абзац". 13.30 "Моя семья". 14.25 Мультфильмы. 15.30 Х/Ф "ЦЕНА ГОЛОВЫ". 16.55 Док. фильм. 17.10 "Музыка, музыка..." 17.20 "Гомеопатия и здоровье" 17.30 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.00 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 19.55 Выборгский фестиваль российского кино. 20.25 "Любовь с первого взгляда". 21.40 "Подробности". 21.45 Х/Ф "ОДИН ПРОТИВ ЯКУДЗЫ" 23.30 "Урмас Отт с ..." 01.30 Мастер-ралли-99. 02.00 "Магазин на диване"

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Катастрофы. 19.30 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.35 Где-то течет река. 21.00 Специалисты. 21.30 Экспедиция. 22.00 Дикая природа подает сигнал SOS. 22.30 Дикая Африка. 23.30 Катастрофы. 0.00 Леген ды ис то рии. 1.00 Эндшпиль. 2.00 Египет. 3.00 Приспешники Гитлера. 4.30 Очарование севера. 5.00. Юрассика. 5.30 Экспедиция. 6.00 Война Сталина с Германией.

## 18 აგვისტო, ოთხშაბათი

7.30 ალიონი. 9.05 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 "რა ხდება?!" 21.25 "უჩარჩოოდ" - უ. ჯაფარიძე. 22.10 ვესტნიკი. 22.35 ვიდეოპატრული-02. 22.45 ვლადიმერ უგრეხელიძე-60. 23.05 ტელე-სინევიდეო. 23.45 მო-TV. 0.20 მხ. ფ. "დედინაცვალი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 5/5. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "ახლო ხედი". 22.30 ქართ.მხ.ფ. "ბრავო, ალბერ ლოლიშ". 0.00 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.40 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ონავრები". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ "ექსცენტრიკანი დამნაშავე". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "შორეული ოცნებები". 2.50 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "ჯაშუშობა მძიმეა, მაგრამ საამაყო". 13.15 "ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.10 მხ.ფ. "ლიფტი". 19.40 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან-2". 22.20 მხ.ფ. "საზედისწერო გასროლები". 23.45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: ირლანდია-საფრანგეთი. 1.45 დოკ. ფ. "ბრძოლა წესების გარეშე". 2.10 სერიალი "ჰიპერნავტები-2".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. "სარკე გაიბზარა". 0.05 მხ.ფ. "კრიპტონის სიგრაზე". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. "ჩემი ბიძაშვილი ვინი". 18.05 მუსიკა. 19.00 "ზვავი..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 სპორტ.პროგრამა. 21.30 დოკ.ფ. 22.30 მხ.ფ. "ყრუმუნჯების ქვეყანა".

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ. ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "ანა". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.05 მხ. ფ. "ედი". 20.35 მხ. ფ. "ამერიკელი დრაკონები". 22.10 მხ. ფ. "კასაბლანკა". 0.00 მხ. ფ. "შავი ბროკერი". 1.40 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.20 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Джентльмен-шоу". 11.45 Домашняя библиотека. 11.55 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 12.45 Мультфильм. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.15 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Классная компания". 17.00 Зов джунглей. 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Лучшие из лучших". 19.35 "Человек и закон". 20.15 "Здесь и сейчас". 20.35 Х/Ф "МОЛОДАЯ ЕКАТЕРИНА". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "ЧЕСТНАЯ КУРТИЗАНКА". 01.35 Сериал "ПЯТНИЦА, 13-Е". 02.25 Сериал "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

08.00, 10.30 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.20 "У всех на устах". 08.45 Телеигра. 10.15, 1.20 Дежурная часть. 10.45 "Товары-почтой". 11.10 "МИЛЕДИ". Телесериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.35 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 2.35 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.10 "Музыка, музыка..." 17.20 "Гомеопатия и здоровье" 17.30 "Позвоните Кузе". 18.30 БАШНЯ. 19.00 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 19.55 Док. фильм. 20.25 "Аншлаг" представляет. 21.40 "Подробности". 21.55 Х/Ф "СВОЙ СРЕДИ ЧУЖИХ, ЧУЖОЙ СРЕДИ СВОЙХ" 23.45 Концерт-акция. 02.05 АВТОШОУ

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Катастрофы. 19.30 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Где-то течет река. 21.00 Юрассика. 21.30 Экспедиция. 22.00 Ветеринар. 22.30 Дикая Амазонка. 23.30 Катастрофы. 0.00 Детективы-медики. 1.00 Криминалисты. 2.00 Архивы ФБР. 3.00 Реактивный самолет XXI века. 4.00 Суперконструкции. 5.00 Беспечные ездоки. 5.30 Сигнал тревоги. 6.00 Есть ли друзья у летучих мышей-вампиров?

## 19 აგვისტო, ხუთშაბათი

7.30 ალიონი. 9.05 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 უკრავს ია ისაკაძე. 18.40 "პიგია". 19.00 ტელესკოპი. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 ვიდეოპატრული-02. 21.00 "ფერისცვალება". 21.15 "მრავალსახეობა". 21.50 ტელესკოპი. 22.10 ვესტნიკი. 22.25 ეკო-დაიჯესტი. 22.50 მო-TV. 23.00 "საღამო მშვიდობისა!" 0.20 მხ.ფ. "უსიამოვნების მოყვარული".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 საუბრები მართლმადიდებლობაზე. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 შვიდეული. 22.30 მხ.ფ "დაკარგული კაპონე". 23.55 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.05 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ონავრები". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "დიდი მანევრები". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "ჩინური კვარტალი". 3.15 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "ჩრდილზე მონადირე". 18.10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: ირლანდია-საფრანგეთი. 20.35 მხ.ფ. "ექიმი დულიტლი". 22.10 მხ.ფ. "ღრმა ცისფერი ზღვა". 23.35 მუს.ტაიმ-აუტი. 23.50 დოკ.ფ "ბრძოლა წესების გარეშე". 0.15 სერიალი „ჰიპერნავტები-3".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "ღამის ცეცხლი" 0.15 მხ. ფ. "ფრთხილად, კარები იკეტება!" 1.50 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 "სტუდია-25". 11.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. "ყრუმუნჯების ქვეყანა". 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 "ზვავი..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.35 პოლიტიკური პორტრეტი. 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 მხ.ფ. "გაანალიზე ეს".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "კასაბლანკა". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 18.55 მხ.ფ. "ზოგი რამ მარტას შესახებ". 20.20 მხ.ფ. "მომავლის სპორტი". 22.05 მხ.ფ. "მებადრაგეები". 23.50 მხ.ფ. "ქალაქური ლეგენდები". 1.30 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.00 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Каламбур". 11.50 Домашняя библиотека 12.00 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 12.50 Мультфильм. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.20 Мультфильм. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 Три репортажа о необычных событиях и людях. 17.00 "Улица Сезам". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Лучшие из лучших". 19.30 "Маски-шоу". 19.45 "Здесь и сейчас". 20.10 Х/Ф "ТЕЛОХРАНИТЕЛЬ". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "ЗОЛОТО ПАРТИИ". 00.30 "Тихий дом". 01.15 Сериал "ПЯТНИЦА, 13-Е". 02.05 Сериал "СЛУЖБА НОВОСТЕЙ".

08.00, 10.30 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.20 "У всех на устах". 08.45 Телеигра. 10.15, 0.45 Дежурная часть. 10.45 "Товары-почтой". 11.10 "МИЛЕДИ". Сериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 1.30 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.10 "Музыка, музыка..." 17.20 "Гомеопатия и здоровье". 17.30 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.00 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 19.55 "Диалоги о рыбалке". 20.25 "Сам себе режиссер". 21.40 "Подробности". 21.55 "Два рояля". 22.45 Х/Ф "ПОХИЩЕНИЕ ПРЕМЬЕР-МИНИСТРА". 23.50 "Слушается дело".

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Катастрофы. 19.35 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Где-то течет река. 21.00 Юрассика. 21.30 Поворотные моменты истории. 22.00 Ветеринар. 22.30 Дикая Амазония. 23.30 Катастрофы. 0.00 Охотник на крокодилов. 1.00 Босоногий бушмен. 2.00 Как животные делают это? 3.00 Экстремальные машины. 4.00 Архивы ФБР. 5.00 Древние воины. 5.30 Поворотные моменты истории. 6.00 Бессмертный человек.

## 20 აგვისტო, პარასკევი

7.30 ალიონი. 9.05 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 "რა ხდება?!" 21.25 მო-TV. 21.35 "კავკასიური სამკუთხედი". 20.00 ვესტნიკი. 22.25 "თბილისის დროით..." 22.55 ვიდეოპატრული-02. 23.05 ასპარეზი. 23.15 ტელესკოპი. 23.20, 0.20 კონცერტი "მღერის "ოთხი გია". 1.00 მხ. ფ. "ინკოგნიტო".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.35 მხ.ფ. "დანაშაული ეჟვეარეში". 0.05 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 112.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.40 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "მაშველები". 10.20, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ონავრები". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "საბრძოლო თევზი". 0.50 "სიმფსონები". 1.20 "ფანტაზიები". 1.50 მხ.ფ. "ბერლინური რომანი". 3.50 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "შავი ბროკერი". 18.10 მხ.ფ. "ჰარვი". 19.40, 0.30 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "მეტრო". 22.35 მხ.ფ. "გენიალური ახალშობილები". 0.05 დოკ.ფ "ბრძოლა წესების გარეშე". 0.40 სერიალი "ჰიპერნავტები-4".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. "როცა მამაკაცს უყვარს ქალი". 0.15 მხ.ფ. "ქუჩების სიგიჟენი". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. "გაანალიზე ეს". 18.05 მუსიკა. 19.00 "ზვავი..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 "კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 22.30 მხ.ფ. "ცხოვრება მშვენიერია".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "მებადრაგეები". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.10 მხ.ფ. "კოსმოსური კვერცხები". 20.45 მხ.ფ. "20000 ლიე წყალქვეშ". 22.55 მხ.ფ. "მისტრალის ქალიშვილი". 1.55 მხ.ფ. "ტყუილის კანონებით". 3.35 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.10 "Маски-шоу". 11.40 Смак. 12.00 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 12.50 Мультфильм. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.20 Мультфильм. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.40 Х/Ф "СЛОМАННАЯ ПОДКОВА". 19.15 "Джентльмен-шоу". 19.45 "Женские истории". Н. Гвоздикова. 20.15 Док. фильм "Суперкрот". Дело генерала Калугина. 20.45 "Поле чудес". 21.45 "Спокоиной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "КОЛОМБО ТЕРЯЕТ ТЕРПЕНИЕ". 00.10 Приглашает Концертная студия "Останкино". Вия Артмане. 01.25 Х/Ф "ОПЕРАЦИЯ "ЛАЗЕР".

08.00, 10.30 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.20 "У всех на устах". 08.45 Телеигра. 09.15 Тысяча и один день. 10.15, 0.10 Дежурная часть. 10.45 "Товары-почтой". 11.10 "МИЛЕДИ". Сериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.25 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 МОЯ СЕМЬЯ 14.30, 2.25 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.10 "Музыка, музыка..." 17.20 "Гомеопатия и здоровье" 17.30 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.00 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ" 19.55 "Устами младенца". 20.25 "Городок". 21.40 "Подробности". 21.55 Х/Ф "ВХОД И ВЫХОД" 23.35 "Подиум д,Арт". 00.55 Х/Ф "ТАМ, ГДЕ СКРЫТА ТАЙНА"

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Катастрофы. 19.30 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Где-то течет река. 21.00 Юрассика. 21.30 Экспедиция. 22.00 Дикая природа подает сигнал SOS. 22.30 Портреты природы. 23.30 Катастрофы. 0.00 Сюрпризы погоды. 1.00 Удивительная Земля. 2.00 Планета Океан. 3.00 Парящая свобода. 4.00 Недающие по коя высоты. 5.00 Пчелы убийцы. 5.30 Архивы право судия. 6.00 Век войн.

## 21 აგვისტო, შაბათი

10.00 დილის პროგრამა. 12.05 სერიალი "კობრა". 13.35 კონცერტი. 13.50 "...და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 14.30 "ობიექტივშია მსოფლიო". 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.15 „კვალი". 15.45 მხ.ფ "გზა მშობლებისათვის". 18.15 მესაკუთრე. 18.30 "საოჯახო ლოტო" 19.00 "მუსიკალური ფეიერვერკი". 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 ტელესკოპი. 21.00 "მაესტრო". 22.00 ვიდეოპატრული-02. 22.15 "მჯერა!" 22.45 მო-TV. 23.00 „ტრიუმფატორი" - ნ.რამიშვილი. 0.20 "ილუზიონი" - მხ.ფ. "მეგობარი ქალები".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 ჩიპო. 20.00 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 21.10 ავტოსპორტი. 21.25 ჯაზ-სპრიტი. 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ... 22.05 მხ.ფ. "გოროტები და კეთილები". 0.00 ჰიტ-პარადი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 0.40, 3.30 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 "სიმფსონები". 12.30, 20.05 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 19.40 მაპეტისი დღეს საღამოს. 21.50 ფსიქო - მხ.ფ. "საყვარელი ეგე, ძვირფასი გოგი". 0.50 "ფანტაზიები". 1.20 მხ.ფ. "ხასიათი". 3.40 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 17.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 17.10 დოკ.ფ. 17.55 "ვარსკვლავი". 18.30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. 20.10 აჩიკუდა. 20.25 მუსიკა. 20.40 მხ.ფ. "48 საათი-1". 22.20 "ბედნიერი ერი". 22.25 მხ.ფ. "ზვიგენების თავდასხმა". 0.05 მუს.ტაიმ-აუტი. 0.20 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე". 0.55 მხ.ფ "სტრიპტიზი".

12.00, 15.15, 18.10 მულტფილმი. 13.10, 20.20, 21.45, 23.45 მუსიკა. 13.30 მხ.ფ. "ბანქო, ფული და ორი ლულა". 15.40 მხ. ფ "გადამწყვეტი რაუნდი". 17.30 რელიგიური პროგრამა. 18.00 ოქროს რაფსოდია. 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. "მონადირეთა მთვარე". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ. ფ. "ქალთა კლუბი". 1.30 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00 "სტუდია-25". 11.30, 18.35 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 მხ.ფ. "უკან მომავალში-1". 13.50 დოკ.ფ. 14.00 შეხვედრა მწერალთან. 15.00 თქვენი ადვოკატი. 16.00 მხ.ფ. "მარათონელი". 18.00 სცენის ოსტატები. 19.00 "შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 "სტილი". 20.15 მხ.ფ. "შურისძიების წყურვილი". 22.10 მუსიკა. 22.30 მხ.ფ. "ევიტა".

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "ტყუილის კანონებით". 12.15, 18.00 მულტფილმები. 13.30 მხ.ფ. "სული". 15.15 კლიპ-მიქსი. 19.20 მხ.ფ. "კლასი". 21.00 მხ.ფ. "მტრული განზრახვა". 22.35 მხ.ფ. "მისტრალის ქალიშვილი". 1.40 მხ.ფ. "მივიწყებული მოგონებანი". 3.20 ნონ-სტოპი.

09.00 Х/Ф "ЭДГАР И КРИСТИНА". 10.25 Слово пастыря. 10.45 "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 00.35 Новости. 11.15 "100%". 11.45 "Утренняя почта". 12.20 "Здоровье". 12.50 Смак. 13.10 "История одного шедевра". 13.35 "Возможно все". 13.55 Х/Ф "Я, СЛЕДОВАТЕЛЬ...". 15.25 "Цивилизация". 16.15 В мире животных. 16.55 "Как это было". Олимпиада в Хельсинки. 1952 г. 17.35 Футбол. Чемп. России. "Динамо" - "Локомотив". 20.00 "Ералаш". 20.25 Х/Ф "КАПИТАН". 22.00 Время. 22.50 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.50 Х/Ф "ГАМЛЕТ".

09.00, 10.30, 13.45 Мультфильм 09.20 Х/Ф "БЕЛЯНОЧКА И РОЗОЧКА". 11.00 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.35 САМ СЕБЕ РЕЖИССЕР 12.05 "Сто к одному". Телеигра 12.50 "Любовь с первого взгляда" 13.15 "Золотой ключ" 13.30 "Хорошие новости" 14.00 "Папа, мама и я - спортивная семья". 15.00, 21.00 ВЕСТИ 15.30 Х/Ф "СЛУЧАЙ В ПЕКАРНЕ". 15.45 Х/Ф "2001". 18.00 Русский бой. 19.00 МОЯ СЕМЬЯ 20.00 СТАРАЯ КВАРТИРА. 21.30 "Досье". 22.00 Х/Ф "ЛЮБИТЬ ПО-РУССКИ". 23.45 Легкая атлетика. Чемп. мира. 01.15 Горячая десятка.

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Парусники. 19.35 Первые полеты. 20.00 Великие полководцы. 21.00 Танки. 22.00 Проклятие Тутанхамона. 23.00 Эндшпиль. 0.00 Внутренний голос. 2.00 Голливудские полицейские. 3.00 Сексуальный императив. 4.00 Архивы ФБР. 5.00 Орудия войны. 6.00 Первые полеты.

## 22 აგვისტო, კვირა

10.00 დილის პროგრამა. 12.05 სპა. 12.35 სერიალი "კობრა". 13.20 კონცერტი. 13.35 "სოფლის ქრონიკები". 13.55 დოკ.ფ. „ევროპის ველური ბუნება" (საფრანგეთის TV პროგრამა). 14.55 "ბავშვები - უპირველეს ყოვლისა". 15.00, 17.45, 0.00 მოამბე. 15.15 „ეძიე ქალი..." 15.35 "მსოფლიოს ახალი ამბები". 15.55 მხ.ფ. "კასპერი-2". 17.30 "ენერგია". 18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი: „თბილისი"-„დინამო"(ბათუმი). 19.50 "ლატარია ყველასათვის". 20.10 მო-TV. 20.45 ვიდეოპატრული-02. 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 "ფორტუნა". 22.40 "დიდების ზღაპარი". 23.00 კრივი. 23.30 კონცერტი "მღერის "ფორტე". 0.20 მხ.ფ. "კუზიანი".

19.00 კვირა დღე: მულტფილმი, "გაილიმე", სუპერ-მატჩი, ძველი ალბომი, "კერპები", მხ.ფ. ღამის ქალაქი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 1.20, 3.20 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ. სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 0.50 "სიმფსონები". 12.30, 20.05 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 18.40 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 19.40 სპორტული პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ.ფ. "დიდი გეთსბი". 1.30 მხ.ფ "პატივი დამდე". 3.30 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.05, 22.20 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. "დრაკონის გული". 18.40 გასართ.პროგრამა. 19.10 დოკ.ფ. 20.10 აჩიკუდა. 20.20 მუსიკა. 20.35 მხ.ფ. "48 საათი-2". 22.00 ავტოპილოტი. 22.25 მხ.ფ "ურჩხული". 0.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 2.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე". 2.45 მხ.ფ "ანგელოზები და მწერები".

12.00 ინდ.მხ.ფ. "ჯალათი". 14.35 მულტფილმები. 15.00 დეტექტ სერიალი "ლემპსი და მიტფისი". 16.35 დებიუტი-99. 17.30 რელიგიური პროგრამა. 18.00 ოკეანეს რაფსოდია. 18.20 "ფეხბურთის ლეგენდები". 19.00 მხ.ფ. "სახიფათო მოსახვევები". 20.25, 21.45 მუსიკა. 20.30, 0.00 დღეს. 21.00 ვარსკვლავები. 21.15 მხ.ფ. „სიკვდილი ნილოსზე". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ.ფ. "გამანადგურებელი". 2.15 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00 "ცისკრის ზარები". 11.05 მოკლ.მხ.ფ. "რეკორდი". 12.00 დილის ლოცვა. 12.05 ქართ.მხ.ფ. "აკაკის აკვანი". 13.30 მუსიკა. 13.45 ქართ.სერიალი "მშობლიური ჩემო მიწავ". 15.00-18.00 რელიგიის საათები. 18.00 დოკ.ფ. "გაძარცვის კვალდაკვალ". 18.50 "მღერიან და ხუმრობენ ექიმები". 20.40 მხ. ფ. "მაცივარში ვილაც ივდა". 21.50 მოკლ. მხ. ფ. "სერენადა". 22.20 კონცერტი. 22.40 ქართ. მხ. ფ. "მოცურავე".

10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ.მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე. 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "კლასი". 12.15, 18.00 მულტფილმები. 13.30 მხ.ფ. "ორშაბათის შვილები". 15.05 კლიპ-მიქსი. 18.20 მხ.ფ. "ედის ტელევიზია". 20.30, 20.00 მხ.ფ. "ბეჭედი". 23.30 მხ.ფ. "თითრითოვლა-სამიზელი ზღაპარი". 1.10 ნონ-სტოპი.

09.00 Мультфильм. 09.10 Х/Ф "СЛУЧАЙНЫЕ ПАССАЖИРЫ". 10.30, 16.15, 16.45 Дисней-клуб. 11.00, 16.00 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.35 "Пока все дома". 12.10 "Утренняя звезда". 13.00 "Армейский магазин". 13.30 "Играй, гармонь любимая!". 14.00 "Крестьянские ведомости". 14.25 "Все путешествия команды Кусто". 15.20 "Смехопанорама". 17.15 Хоккей. Кубок "Спартака". Финал. 19.55 "Ералаш". 20.10 Х/Ф "ВСЕ БУДЕТ ХОРОШО". 22.00 Время. 22.35 Х/Ф "БАНЗАЙ". 00.25 "Абажур". 00.55 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МАЙКА ХАММЕРА ".

09.00, 15.35 Мультфильмы. 09.30 "Служу Отечеству." 10.00 "Сельские вести" 10.30 "Почта РТР" 11.00 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ" ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.00 Городок. 12.30 "Устами младенца" 13.00 РУССКОЕ ЛОТО 13.40 "Мир книг с Леонидом Куравлевым" 14.00 Сериал "СТРАСТЬ И РАЙ". 15.00 ВЕСТИ 16.10 Ток-шоу "На здоровье!" 17.10 "ЗАКОН И ПОРЯДОК". 18.05 ДИАЛОГИ О ЖИВОТНЫХ 19.00 Х/Ф "КУБАНСКИЕ КАЗАКИ". 21.00 "Зеркало". 21.55 Х/Ф "НЕ БУДИТЕ СПЯЩУЮ СОБАКУ". 00.20 "К-2" ПРЕДСТАВЛЯЕТ. 01.15 Легкая атлетика. Чемп. мира. 02.30 Дежурная часть.

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Ультранаука. 20.00 Крылья. 21.00 Экстремальные машины. 22.00 Юрассика. 23.00 Охотник на крокодилов. 0.00 Легенды истории. 1.00 Черный ящик. 2.00 Взятие Сайгона. 3.00 Одинокая планета. 4.00 Журнал открытий. 5.00 Архивы правосудия. 6.00 Божественное волшебство.

# სკანვორდი



- აშშ-ის ერთ-ერთი შტატი (6)
- რეგბდაბრილი ხარ. ბელეშა (4)
- გველის სახეობა (5)
- ერთგვარი თავაკი კავკასიაში (5)
- ყველაზე პატარა თითი (4)
- სოფელი ოზურგეთის რაიონში (5)
- წელზე შემოსარტყმელი ხელების ჯოხი (6)
- ქალაქი და უმსხვილესი პორტი თურქეთში (6)
- მსახიობი ანტაკე (3)
- იტალიელი მსახიობი ... სორდი (7)
- [illegible] (5)
- მდინარის საფრანგეთო ბრეტანელ-იმპერატორის ანი გზები (5)
- წყლის ასაღები ჭურჭელი (7)
- ახლად გამოგზავნილი ყლორტი (4)
- ქველფური წნილის ერთეული (3)
- იტალიური კუნძული ბირენის ზღვაში (5)
- შავი მკვრივი მასა (4)
- საავდრო ნაჩხუარი (5)
- მდინარე ჩრდილოეთ ამერიკაში (8)
- ისტორიული რომანი „დედოფალი ...“ (5)
- ქართული ლუდი (4)
- მუსიკალური მექანიკური ადრეული უდაბნოში (6)



## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი და მასთან არსებული კოლეჯი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ: საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს; მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერტიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები; ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში; შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ისწავლოთ ქალაქის ცენტრში, მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**1. სამართალმცოდნეობა; 2. ავტოტექნიკური ექსპერტი; 3. საგარეო ურთიერთობა; 4. ფინანსები და კრედიტი; 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 6. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 7. წარმოების ეკონომიკა და მართვა; 8. საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა; 9. ისტორია; 10. ქართული ენა და ლიტერატურა; 11. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 12. პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი; 13. ხელოვნებათმცოდნეობა.**

საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17 საათამდე, V სართული, ოთახი 502. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე.

გამოცდები ჩატარდება 26-30 აგვისტოს.

უმაღლესდამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.

ინსტიტუტის კოლეჯში მიიღება ინარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

**1) სამართალმცოდნეობა; 2) ფინანსები და კრედიტი; 3) საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 4) საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური).**

მიღება იწარმოებს როგორც 9 კლასის, ასევე 11 კლასის ბაზაზე.

***ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ლეო ჩიქავა.***

ჩვენს მეგობარს და კოლეგას, ზაზა და ნინო ალადაშვილებს ვულოცავთ ქალიშვილის, პატარა მარიამის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო შვილი. გამრავლდით და იბედნიერეთ. *გაზეთ „საქართველოს" რედაქცია*

*თამუნა სამხარაძეს*

*ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თამუნა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ მომავალს, ულევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს და საინტერესო ცხოვრებას.*

*შენი განუყრელი მეგობრები*
*შორენა და ელისო*



**მადლობას ვუხდით დიდი გულისხმიერებისათვის და თავაზიანი მომსახურებისათვის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ვარკეთილის დასახლების საპასპორტო მე-5 განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსს, ბატონ ვაჟა ტაბატაძეს.**

ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ პაატა დავითაშვილს მამის, **გიორგი დავითაშვილის** გარდაცვალების გამო.
*გაზეთ „საქართველოს" რედაქცია*

ძმისშვილები ეთერი, ლაურა, მანანა, ლარისა და ვაჟა კაპანაძეები, სიძეები ბესარიონ მერმანიშვილი, ალეკო ბაბუაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შოთა პაპას ძე კაპანაძე**
გამოსვენება 19 აგვისტოს 15 საათზე, ზესტაფონის რაიონი, სოფელი ბოსლევი

მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.